პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 64, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ. რედაქტორის 14—76, მდივნის 10—58, ღამის მორიგეს 18—30.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ. № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი. ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ., საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განცხადებული გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ელირება 30%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

კვირა, 22 იანვარი 1928 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 18 (2061)

დღიური

— ლატვიაში შესდგა ახალი მთავრობა.
— რევოლუციონურ რკინისგზელების გამარჯვება საფრანგეთში.
— პორტო-რიკო დამოუკიდებლობას მოითხოვს.
— კომუნისტების აჯანყება ხუნანის და ხუბეის პროვინციაში.
— ნორვეგიის მემორანდუმი უშიშროების კომისიის შესახებ.
— გერმანიის ბიუჯეტის განხილვა რეიხსტაგში.
— ხანძარი ტოკიოს საბჭოთა საელჩოში.
— შეერთ. შტატების კოლონია.

ა. წ. იანვრის 23 საღამოს აჭარისტანის ა. ს. ს. რ.

ქ. ბათომში გაიხსნება

სრულიად საქართველოს საბჭ. ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტის მორიგი

მესამე სესია

სესიის დღის წესრიგი:

1. მოხსენება ავტ. ს.ს.რ. აჭარისტანის მთავრობის მოქმედების შესახებ. მომხ.—ამხ. გოგიბერიძე.
2. პროექტი დებულებისა ს.ს.ს.რ. ქალაქის საბჭოების შესახებ. მომხ.—ამხ. მათიკაშვილი.
3. საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კოდექსის პროექტი. მომხ.—ამხ. ვარძიელი.
4. პროექტი ს.ს.ს.რ. სისხლის სამართლის კოდექსის ცვლილებათა და დამატებათა შესახებ. მომხ.—ამხ. ვარძიელი.
5. განხილვა და დამტკიცება საკანონმდებლო აქტებისა, რომელიც პრეზიდიუმის იერ მიღებულ იყო სესიიდან სესიამდე. მომხ.—ამხ. ვარძიელი.

მატარებელი ცაკის წევრებით და კანდიდატებით გავა სადგ. თბილისიდან სადგ. ბათომში ა. წ. იანვრის 22-ს საღამოს 9 საათ. 40 წუთ. მოსკოვის დროით.

ს.ს. ცაკის მდივანი—შ. მათიკაშვილი.

ცაკის სესია

აჭარისტანის დედა-ქალაქ ბათომში ხვალ გაიხსნება საქართველოს საბჭოების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის მორიგი სესია. ამ ფაქტს, ე. ი. სესიის მოწვევას აჭარისტანის რესპუბლიკაში, უეჭველად აქვს დიდი პოლიტიკური აზრი და მნიშვნელობა. ერთი მხრივ ეს არის მასებთან საბჭოთა ხელისუფლების მჭიდრო კავშირის მაჩვენებელი, ხოლო მეორე მხრივ ყველა ხალხთა სრული თანასწორ-უფლებიანობის და მათი ძმური თანამშრომლობის დემონსტრაცია. ყველაფერი ეს უჩვეულო რომ იყო ძველ დროს, ყველაფერი ეს შესაძლებელი გახდა მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციის წყალობით, მუშურ-გლეხურ ძალა-უფლების დამყარების შემდეგ.

მენშევიკების დროს, რო არ ვილაპარაკოთ მეფის რეჟიმზე, აჭარისტანის მასებიც განიცდიდენ ჩაგვრას. „არაშკითხე“ მენშევიკური „მზრუნველნი“ აჭარისტანის მოსახლეობას თვითგამორკვევის და თვითმოქმედების გასაქანს არ აძლევდენ. ამ ნიადაგზე უნდობლობა და მტრობა ხელოვნურად იქნა გაღვივებული აჭარისტანის და საქართველოს დანარჩენ მასებს შორის. საბჭოთა წყობილებამ წარსულის ეს ნაშთი ძირ-ფესვიანად ამოთხარა და ყველა ხალხების შორის ურყევი სოლიდარობა განახორციელა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მთელ საქართველოში, კერძოდ კი აჭარისტანში ნამდვილად არავითარი შემოქმედებითი მუშაობა არ სწარმოებდა. დღეს კი აჭარისტანი დანარჩენ საბჭოთა რესპუბლიკებთან ერთად სამეურნეო და კულტურულ აღორძინების მკვიდრ გზაზეა დამდგარი და სოციალისტურ მშენებლობაშია ჩაბმული. ამ მხრივ მიღწეულ უდაოდ დიდი შედეგების შესახებ სესიას მოხსენებას წარუდგენს აჭარისტანის მთავრობა. ეჭვი არ არის, რომ მიუხედავად თვალსაჩინო მიღწევებისა მშენებლობის დარგში, აჭარისტანს ჯერ კიდევ მრავალი პირობა აქვს, ან გაცილებით უფრო მეტია გასაკეთებელი მისი მეურნეობის და კულტურული ცხოვრების უფრო მაღალ დონეზე ასაყვანად. სესია ყველაფერ ამას დაწვრილებით გაეცნობა და აჭარისტანის ხელმძღვანელ მუშაკებთან ერთად გამოიმუშავებს საჭირო ღონისძიებებს აჭარისტანში აღმშენებლობის ძედდგომი გაძლიერებისათვის.

სესიის დღის წესრიგში კიდევ მრავალი მნიშვნელოვანი საკითხი დგას. კერძოდ, მიწის კოდექსში ცვლილებების და დამატებათა შეტანა, მიწის ნაციონალიზაციის პრინციპის გაფართოვება და მისი უფრო მტკიცე დაცვა, მიწადმოწყობის დაჩქარება, ხელის შეწყობა დაქსაქსულ გლეხურ მეურნეობებიდან კოლექტიურ მეურნეობაზე გადასვლისათვის — აჲ ეთია ამ პროექტის უმთავრესი მომენტები. ამ ღონისძიებათა გატარება დიდად შეუწყობს ხელს სოციალისტური მიწადმოქმედების განვითარებას, სოფლად სოციალიზმის განხორციელების დაჩქარებას.

დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კოდექსის ახალ პროექტს, რომელსაც სესია განიხილავს: აქ მთავარია ფაქტიური ქორწინების გათანაბრება ფორმალურ ქორწინებასთან, რაც პრაქტიკაში უკვე ტარდება. ამას მოჰყვება [illegible] წევრების—ქალთა და ბავშვების ქონებრივი და უფლებრივი ინტერესების უფრო მეტი დაცვის უზრუნველყოფა. ამ პროექტს საკმაო დიდი ცვლილებები შეაქვს მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებაში, რომლის გარდაქმნა ახალი წარმოების მიხედვით, ჩვენი ერთი მთავარი ამოცანათაგანია.

სესია მოისმენს დებულებას ქალაქის საბჭოების შესახებ. ეს დებულება მიზნად ისახავს საბჭოების უფრო მეტ გამოცოცხლებას, მათთვის მეტი უფლებების მინიჭებას და მასასთან უფრო მჭიდრო დაახლოვებას.

ყველა ამ და სხვა საკითხებს, რომელზედაც სესია თავის გადაწყვეტილებებს გამოიტანს, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ექნება. საქართველოს ხალხთა თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცებისა, მათი ეკონომიური და კულტურულ დონის გაუმჯობესებისა და სოციალისტურ მშენებლობის განვითარებისათვის. საეჭვო არ არის, რომ ეს გადაწყვეტილებანი სწორედ ამ ამოცანების წარმატებით გადაჭრას შეუწყობს ხელს.

მუშათა საწარმოო კონფერენციის შედეგები

რამდენიმე დღის მუშაობის შემდეგ დამთავრდა პროფკავშირების საბჭოს მიერ მოწვეული რესპუბლიკანური მუშათა საწარმოო კონფერენცია. აღსანიშნავია, რომ კონფერენცია უმეტეს ნაწილათ შესდგებოდა დაზგის მუშებისაგან. კონფერენციას დაესწრენ აბხაზეთის და აჭარისტანის წარმოებების მუშების წარმომადგენლებიც. აქტიური მონაწილეობა მიიღო კონფერენციის მუშაობაში ინჟინერ - ტეხნიკოსთა პერსონალმა.

კონფერენციაზე გაირჩა ფრიად მნიშვნელოვანი საკითხები: — საქართველოს სახალხო მეურნეობის მდგომარეობა, ახალ წარმოებათა მშენებლობა, წარმოების რაციონალიზაცია, მუშათა გამომგონებლობა და მისი წახალისება, საწარმოო თათბირების მუშაობა და თათბირების საკონტროლო კომისიების მოწყობა. საკითხების გარჩევა ფრიად საქმიანი თვალსაზრისით ჩატარდა. ყველა ამ საკითხების ირგვლივ მოხდა გამოცდილების ფართო გაზიარება.

სახალხო მეურნეობის და ახალ წარმოებათა მშენებლობის დარგში გამოაშკარავებული იქნა მთელი რიგი დეფექტები. გამოაშკარავებული იქნა შეცდომები ახალ წარმოებების აგება-მოწყობაში და მათი მუშაობის პროცესის დაყენებაში. ახალ წარმოებათა დელეგატები მიუთითებდენ არა მარტო წარმოების მოწყობის დეფექტებზე, არამედ შეფერხებებზედაც მიმდინარე მუშაობაში, რაც გამოწვეულია სხვადასხვა საჭირო მასალების დროზე მოუმარაგებლობით. გაცხოველებული კამათი გამოიწვია იმ საკითხმა, თუ ვისი ბრალია ახალი წარმოებების მშენებლობის დეფექტები (ცუდათ მოწყობა, სიძვირე, მშენებლობის გაჭიანურება, მშენებლობის პროცესში უკვე გაკეთებულის დარღვევა და გადაკეთება და სხვ.) იყო ამ დეფექტების პასუხისმგებლობის ინჟინერ - ტეხნიკურ პერსონალზე მთლიანათ დაკისრების ტენდენცია. კონფერენციამ უარყო გადაჭარბებულად ყველა ინჟინერებსა და ტეხნიკოსებზე ბრალის დადება. თვით ინჟინერ - ტეხნიკოსთა მუშაკთა წარმომადგენლები აღნიშნავდენ, რომ ეს დეფექტები ნაწილობრივათ სამეურნეო ორგანოების ბრალიც არისო. გარდა ამისა, ისინი მიუთითებდენ, რომ მათ რიგებში ხვდებიან ისეთები, რომელნიც თავის თავს აცხადებენ ინჟინერებათ, ნამდვილათ კი ასეთები არ არიან. რომ არ იქნეს ამგვარი ცრუ ინჟინერების სამუშაოზე დაშვება, სამეურნეო ორგანოებმა ინჟინერების აყვანა უნდა შეათანხმონ პროფკავშირებთან არსებულ ინჟინერთა სექციებთან. კონფერენციამ ეს წინადადება მიზანშეწონილათ ჩასთვალა. აღსანიშნავია კიდევ ინჟინერთა მუშაკების გამოსვლაში ერთი მომენტი. ისინი მიუთითებდენ, რომ საქართველოში ამჟამად მიმდინარე ახალ წარმოებების ფართო მშენებლობა მათთვის ახალი საქმე არის და ამიტომ დეფექტებსაც აქვს ადგილი. უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული ის გარემოებაც, რომ ტეხნიკა წინ მიდის. ამერიკაშიაც ახალ წარმოებათა მოწყობის დროს ადგილი აქვს პროექტების შეცვლას. ეს ხდება მიტომ, რომ ხშირათ ის მანქანა, რომელიც ტეხნიკის უკანასკნელ სიტყვას წარმოადგენს, არქივში ჩასაბარებელი ხდება, ვინაიდან იგონებენ მასზე უკეთესს. ცხადია, ტეხნიკის ეს ცვალებადობა გავლენას ახდენს ახალ წარმოებათა მოწყობის პროცესზე და წინასწარ დასახულ პროექტებში ცვლილების შეტანას იწვევს.

წარმოების რაციონალიზაციის შესახებ აღნიშნული იყო, რომ რაციონალიზაცია ჩვენს წარმოებაში სუსტად მიმდინარეობს და არ ექცევა მას დიდი ყურადღება. კონფერენციამ მიუთითა, რომ მუშათა მასების ჩაბმა რაციონალიზაციის საქმეში არ არის რიგიანად დაყენებული. სამეურნეო ორგანოები ხშირად არ ატარებენ დირექტივას, რომლის მიხედვით მუშები (საწარმოო თათბირები) წინასწარ უნდა გაეცნონ ადმინისტრაციის მიერ გასატარებლად დასახულ რაციონალიზაციის ზომებს.

მუშათა გამომგონებლობის დარგში კონფერენციამ აღიარა, რომ ამ გამომგონებლობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ამასთანავე აღნიშნა, რომ საქართველოში ამ საქმისადმი არ არის სწორი მიდგომა არც სამეურნეო ორგანოებში და არც პროფესიონალურ კავშირების ძირითად ორგანოებში (საქარხნო და ადგილობრივ კომიტეტებში). გამომგონებლობის და მუშათა სასარგებლო წინადადებების დაჯილდოვება იშვიათად ხდება. არსებული დირექტივებით კი ის ფართოდ უნდა წარმოებდეს. ამას გარდა, თვით ჯილდოს რაოდენობის გამოანგარიშება არ ხდება ნორმალური წესით. იმის მაგივრათ, რომ აილონ ჯილდოთ იმ ეკონომიის ნაწილი, რომელიც შეუძლია მოუტანოს წარმოებას ამა თუ იმ გამოგონების გატარებამ ერთი წლის განმავლობაში, გამომგონებელს აძლევენ ერთი თვის ან რამოდენიმე დღის ხელფასს. ხშირათ ეს ჯილდო ფრიად მცირე არის. მაგალითად, იყო შემთხვევები ხუთი მანეთის და სამი დღის ხელფასის ჯილდოთ მიცემის. ცხადია, ასეთი მიდგომა საკითხისადმი ვერ წაახალისებს მუშათა გამომგონებლობას. თვით ჯილდოს მიცემას ზოგან აწარმოებენ არა გამოგონების სარგებლიანობის გამოაშკარავების შემდეგ, არამედ წლის ბოლოში. თვით გამოგონების განხილვა და დამტკიცება მთელი თვეობით მიმდინარეობს, მაშინ როცა არსებული დებულებით ორი კვირის განმავლობაში უნდა იქნეს განხილული. მიუხედავათ არსებული დირექტივებისა ბევრს წარმოებებში არ არის გამოყოფილი გამოგონებათა და საქმიან წინადადებათა დაჯილდოვების პრემიალური ფონდები. არ წარმოებს ამ ფონდების შევსება იმ ეკონომიის ნაწილიდან, რომელსაც იძლევა გამოგონებათა ცხოვრებაში გატარება.

საწარმოო თათბირების საკითხის შესახებ კონფერენციამ აღნიშნა, თათბირების მუშაობის გასულ პერიოდთან შედარებით გაძლიერება და თვით თათბირების მუშაობის ხარისხის გაუმჯობესება. მათი საშუალებით გამოსწორდა წარმოებების ბევრი დეფექტები. ამასთანავე კონფერენციამ აღნიშნა თათბირების მუშაობის მთელი რიგი დეფექტები. უმთავრესი მათგანი გამოიხატება იმაში, რომ ზოგიერთ წარმოებებში თათბირების მუშაობას არ აქვს მასიური ხასიათი, მათში მხოლოდ მუშათა მცირე ნაწილი იღებს მონაწილეობას და ისიც მაღალი კვალიფიკაციის მუშები. მსხვილ წარმოებებში არ ეწყობა საამქრო თათბირები. მთელ რიგ დარგებში, როგორც სააღმშენებლო და სხვ., და აგრეთვე ახალ წარმოებებში თათბირები სუსტად მუშაობენ. საკითხების შერჩევის მხრივ დიდი გაუმჯობესება არის. თათბირებზე ისმება კონკრეტული საწარმოო საკითხები. მაგრამ ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორც კალკულაცია, ნაწარმოების თვითღირებულება, ზედმეტი ხარჯები და სხვ., ჯერ კიდევ ბევრს წარმოებებში არ ირჩევა.

ადმინისტრატიულ - ტეხნიკური პერსონალი გასულ პერიოდთან შედარებით მეტ ყურადღებას აქცევს თათბირებს, აქტიურ მონაწილეობას იღებს მათ მუშაობაში და თათბირების დადგენილებათა უმეტეს ნაწილს ცხოვრებაში ატარებს. მაგრამ აქა იქ კიდევ არიან ისეთი უვიცი ადმინისტრატორები, რომელთაც არ ესმით თათბირების მნიშვნელობა და ამიტომ არ უწევენ მათ ანგარიშს.

კონფერენციამ მოისმინა აგრეთვე მოხსენება საქართველოს რამოდენიმე წარმოებაში თათბირების საკონტროლო კომისიის მოწყობის შესახებ. ის კომისიები მოწყობილი იქნება როგორც ცდა შვიდ მსხვილ წარმოებაში. კომისიების მოწყობას მიზნათ აქვს თათბირების მუშაობის გაღრმავება და მთელ რიგ სერიოზული საწარმოო საკითხების დამუშავება. კომისიების ნაყოფიერი მუშაობა უფრო დაახლოვებს მუშათა მასას წარმოების საქმიანობასთან.

საერთოთ კონფერენცია ჩატარდა ცხოვლათ და მისი მუშაობა ფრიად ნაყოფიერი იყო. სასურველია ამ გვარ მუშათა საწარმოო კონფერენციის ხშირი მოწვევა.

ს. ბ.

გერმანიის ფინანსთა მინისტრი მოითხოვს დაუესის გეგმის გადასინჯვას

მოლაპარაკება კონფლიქტის მოგვარების შესახებ გერმანიის ლითონის მრეწველობაში უშედეგოთ დასრულდა

უთანხმოება ამსტერდამის ინტერნაციონალში.—ინტერნ. სესიის სხდომა გადაიდო

ამხ. დოვგალევსკი ბრიანთან.—ამერიკის მუშათა დელეგაციის ანგარიში საბჭ. კავშ. შესახებ

გერმანია მსოფლიო განკირების ბრჭყალებში

გერმანიის ფინანსთა მინისტრი მდგომარეობას აუტანლად თვლის

ბერლინი, 20 იანვარი. ვოლფის სააგენტო იტყობინება:

„გერმანიის 1928 წლის ბიუჯეტის განხილვა რეიხსტაგში დაიწყო ფინანსთა მინისტრის კელერის სიტყვით. კელერმა განაცხადა, რომ გერმანიის მეურნეობა განიცდის არაჩვეულებრივ ცვლილებებს, რომელმაც მოლოდინს გადააჭარბა. ამის გამო შემცირდა ხარჯები უმუშევრობაზე და საგრძნობლად იმატა გადასახადების შემოსვლამ. კელერმა განაცხადა, რომ გერმანიის 1928 წლის ბიუჯეტი, რომელიც პირველად ითვალისწინებს დაუესის გეგმით განსაზღვრულ ნორმალურ გადასახადს, და რომელიც ახალ ფაზას ქმნის გერმანიის საფინანსო პოლიტიკაში, განსაზღვრულია 9.500.000.000 მარკით გასავლის და ასეთივე რაოდენობით შემოსავლის ნაწილში. საერთო სახელმწიფოებრივი და ადმინისტრატიული ხარჯები სამხედრო ხარჯებთან ერთად, რომლებიც ომის წინათ შეადგენდა 2.400.000.000 მარკას, 1928 წელში შემცირდა 1.700.000.000 მარკამდე. საგადასახადო შემოსავალი კი 1927 წელთან შედარებით უნდა გაიზარდოს 942.000.000 მარკამდე. **ეკონომიური პოლიტიკის თვალსაზრისით ეხლანდელი საგადასახადო ტვირთი**.—კელერის სიტყვით,—**მეტად მძიმეა. თუ ასეთი მდგომარეობა გასტანს დიდხანს, ის აუტანელი გახდება. მაგრამ ყველაზე უფრო მძიმეა ბიუჯეტის ის ნაწილი რომელიც დაკავშირებულია სარეპარაციო გადასახადებთან, რადგან დგება პირველი ნორმალური წელიწადი, როცა გერმანიის მეურნეობამ უნდა გადაიხადოს 2.500.000.000 მარკა სარეპარაციო გადასახადების ანგარიშში.**

გერმანიის მთავრობის საბიუჯეტო წინადადებები, ამბობს შემდეგ კელერი, მოწმობენ იმას, რომ ჩვენ გვაქვს სურვილი შევასრულოთ სარეპარაციო ვალდებულებები. **ამ ვალდებულების შესრულება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენათ მოგვცემენ უცხო სახელმწიფოები ექსპორტის შესაძლებლობას**“.

„რეპარაციების გენერალურმა აგენტმა,—სთქვა შემდეგ კელერმა,—აღნიშნა, რომ საჭიროა აღიძრას საკითხი გერმანიის სარეპარაციო ვალდებულებების განსაზღვრის შესახებ რამიმე აბსოლუტურ სათქმელზე და გაუქმდეს უცხოეთის კონტროლი. თვით ექსპერტების გეგმაც აღნიშნავს ამ საკითხის საბოლოოდ მოწესრიგების აუცილებლობას, რადგან სარეპარაციო პრობლემის მოუწესრიგებლობა არის ის მთავარი მიზეზი, რომლის წყალობით იტანჯება არა მარტო გერმანიის ხალხი, არამედ სხვა ერებიც“. (ადს).

კონფლიქტი გერმანიის ლითონის მრეწველობაში

მოლაპარაკება უშედეგოთ დასრულდა

ბერლინი, 20 იანვარი. მოლაპარაკება, რომელიც სწარმოებდა შუა-გერმანიის ლითონის მრეწველობაში წარმოშობილ კონფლიქტის მოგვარების მიზნით, უშედეგოთ დამთავრდა. რადგან ორივე მხარე ბრძოლისათვის ემზადება, შრომის სამინისტრომ ვერ სცნო შესაძლებლად სავალდებულოდ გამოეცხადებინა საშედიატორო სასამართლოს დადგენილება. რეფორმისტული ლიდერების [illegible] ხილებს ბრძოლის ფრონტის გაფართოების შესახებ და აღნიშნავენ, რომ შესაძლებელია შეთანხმების მიღწევა მოლაპარაკების გზით. მუშები კვლავ მოითხოვენ ხელფასის მომატებას 15 პროცენტის რაოდენობით საათში. შუა გერმანიის მელითონეთა გაფიცვის ზეგავლენით მეტად გაძლიერდა საქსონიის ბრძმედის მუშათა საგაფიცვო მოძრაობა. რადგან მეწარმეებთან გამართული მოლაპარაკება უშედეგოთ დამთავრდა, გერმანიის მელითონეთა პროფკავშირის გრეიცის და რიზეს რაიონულმა კომიტეტებმა კავშირის ცენტრალურ კომიტეტს მოსთხოვეს ბრძოლის ფრონტის გაფართოება და მისი გავრცელება საქსონიის ლითონის ყველა წარმოებებზე.

რიზეში კომუნისტებმა შეიტანეს წინადადება გაფიცულთა დამხმარე ფონდისათვის შემოწირულებათა შეგროვების შესახებ. რეფორმისტებმა ეს წინადადება უარყვეს. **გალეს მუშათა კოოპერატივის გამგეობამ, რომელსაც ხელმძღვანელობენ კომუნისტები, დაადგინა მატერიალური დახმარება აღმოუჩინოს ყველა იმ წევრებს, რომლებიც მონაწილეობას იღებენ გაფიცვაში. (ადს).**

უთანხმოება ამსტერდამის ინტერნაციონალში

ბერლინი, 20 იანვარი. ამსტერდამის ინტერნაციონალის აღმასკომის სხდომაზე 19 იანვარს მოსმენილი იქნა მოხსენება იმ კომისიის მუშაობის შესახებ, რომელიც დანიშნული იყო ინტერნაციონალის გენერალური მდივნის არჩევისა და სამდივნოს რეზიდენციის საკითხის მოგვარების მიზნით. კომისიამ ვერ გამოიტანა ერთსულოვანი გადაწყვეტილება. სამდივნო დროებით დარჩება ამსტერდამში, საბოლოო გადაწყვეტილებას გამოიტანს ახალი აღმასკომი 6 თვის შემდეგ. სამდივნოს ხელმძღვანელათ დროებით დარჩება ზასსენბახი, რომელიც წინააღმდეგია, რომ საბოლოოთ მიიღოს გენერალური მდივნის თანამდებობა, რადგან საკითხი გენერალურ მდივნის შესახებ ვერ იქნა მოგვარებული, გადაიდო აგრეთვე გენერალური მდივნის მოადგილეს არჩევნები. ამ საკითხების გარჩევა გადადებული იქნა მეორე დღისათვის, რომ კიდევ ერთხელ სცადონ რეზიდენციის საკითხის მოგვარება.

ნახევარი წლით

ბერლინი, 20 იანვარი. ამსტერდამის ინტერნაციონალის აღმასკომის კონფერენციის 20 იანვრის სხდომაზე დაადგინეს, რომ ინტერნაციონალის ბიუროს ამსტერდამიდან სხვა ადგილას გადატანის საკითხის მოგვარება გადაიდოს 6 თვით. გადაიდოს აგრეთვე ინტერნაციონალის თავმჯდომარის არჩევნები. ამ დადგენილებას ხსნიან იმით, რომ მიუხედავათ ხანგრძლივი მოლაპარაკებისა, შეთანხმების მიღწევა მაინც არ მოხერხდა. (ადს).

„მისაბაძი მაგალითი მთელი ქვეყნის მუშებისათვის“

ნიუ-იორკი, 20 იანვარი. საბჭოთა კავშირიდან დაბრუნებულმა ამერიკის პროფკავშირთა წევრების დელეგაციამ გამოაქვეყნა ანგარიში, რომელშიაც დელეგაცია იძლევა უყურებს საბჭოთა კავშირის მრეწველობის მდგომარეობას. მოხსენებაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პროფმოძრაობის საკითხებს და მასების ცხოვრების პირობებს. ქარხნის ცხოვრების სურათი მოხსენებაში მოცემულია ქარხანა „ამო“-ს მაგალითის მიხედვით. **მოხსენების ავტორები მოუწოდებენ შეერთებულ შტატების და საბჭოთა კავშირის პროფმოძრაობის თანამშრომლებისაკენ და წინადადებას აძლევენ ამერიკის მუშებს წინააღმდეგობა გაუწიონ ანტისაბჭოთა გამოსვლებს.**

„საბჭოთა კავშირი,—ნათქვამია საანგარიშო მოხსენებაში,— **წარმოადგენს მისაბაძ მაგალითს მთელი ქვეყნის მუშებისათვის**“.

საანგარიშო მოხსენებას ხელს აწერს 22 მუშა. მათ შორის რკინის გზელები, სამთამადნო მუშები, მექანიკოსები, დურგლები, ფეიქრები და მანტიორები.

პან-ამერიკულ კონფერენციაზე

პორტო-რიკო დამოუკიდებლობას მოითხოვს

ნიუ-იორკი, 20 იანვარი. წარმომადგენელთა პალატის პრეზიდენტმა და მთელ რიგ პოლიტიკურ მოღვაწეებმა მიმართეს კულიჯს პეტიციით, რომელშიაც მოითხოვდენ პორტო-რიკოსათვის დამოუკიდებლობის მინიჭებას. პეტიციაში ნათქვამია, რომ პორტო-რიკო—ერთად-ერთი ქვეყანაა ლათინურ ამერიკაში, რომელიც არაა წარმოდგენილი კონფერენციაზე, რადგან ის არ არის დამოუკიდებელი სახელმწიფო. ამავე დროს პეტიციაზე ხელის მომწერლებმა გაგზავნეს დეპეშა პან-ამერიკულ კონფერენციაზე გავანში, რომელშიაც ითხოვენ პეტიციისთვის მხარის დაჭერას (ადს).

შენიშვნა პორტო-რიკო კუნძულია კარაიბის ზღვაზე. წარმოადგენს კოლონიას, რომელიც შეერთებულმა შტატებმა შეიძინა 1898 წელს ესპანეთისაგან.

„განსაკუთრებული კომისია“

ნიუ-იორკი, 20 იანვარი. პანამერიკულმა კონფერენციამ აირჩია განსაკუთრებული კომისია, რომელსაც დავალებული აქვს ისეთი საკითხების გარჩევა, რომლებიც არ არის დასმული კონფერენციის დღის წესრიგში. ყველა ასეთი საკითხები მხოლოდ მაშინ იქნება დასმული კონფერენციის დღის წესრიგში, თუ ისინი ერთხმად იქნენ დამტკიცებული ამ კომისიის მიერ. კომისიის შემადგენლობაში შედის იუზი, რომელსაც აქვს ვეტოს უფლება ყველა იმ საკითხებზე, რომლებიც მიუღებელი იქნება ჩრდილოეთ-შეერთებულ შტატებისათვის (ადს).

ამხ. დოვგალევსკი ბრიანთან

პარიჟი, 20 იანვარი. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლმა პარიზში დოვგალევსკიმ ინახულა გარეშე საქმეთა მინისტრი ბრიანი. დაახლოვებით ნახევრად ოფიციალური ხასიათი ჰქონდა, ვინაიდან დოვგალევსკი რწმუნების სიგელს პრეზიდენტს მხოლოდ რამოდენიმე დღის შემდეგ ჩააბარებს (ადს).

ამხ. დოვგალევსკი

მდგომარეობა ჩინეთში

კომუნისტური აჯანყება

ტოკიო, 20 იანვარი. იუწყებიან, **რომ ხუნანის და ხუბეის პროვინციებში დაიწყო კომუნისტური აჯანყება. სამხედრო ხელისუფლებამ ჩააქრო მოძრაობა. ზოგიერთი ხმების თანახმად, კომუნისტებმა პონცზიანის რაიონში დაიკავეს კომმანი, ჩიმბოუ და სხვა ქალაქები (ადს).**

ნორვეგიის პარლამენტის სესიის გახსნა

სტოკჰოლმი, 21 იანვარი. ოსლოდან იტყობინებიან, რომ გაიხსნა ნორვეგიის სტორტინგი. მეფის სიტყვაში აღნიშნულია ის კანონპროექტები, რომლებიც ითვალისწინებენ ხარჯების შემცირებას უმუშევრობასთან ბრძოლაზე, მუშათა სამუშაო დღის გადიდებას და სავალდებულო არბიტრაჟის კანონის გაფართოებას. სტორტინგის თავმჯდომარეთ არჩეულია კონსერვატორი— **ჰამბრო**, მის მოადგილეთ — ხორნსრუდი, მუშათა პარტიიდან.

პოლონეთ-ლიტვის დამოკიდებულება კვლავ გამწვავებულია

კოვნო, 20 იანვარი. როგორც „ლეტუვოსი“ იუწყება, პოლონეთის დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენელმა **ორინგმა** ქრისტიან - დემოკრატების ლიდერს კრუპავიჩიუსს მიმართა წინადადებით დაითანხმოს ვოლდემარასი პოლონეთთან დიპლომატიურ ურთიერთობის განახლებაზე.

გაზეთების ცნობით, კრუპავიჩიუსმა უპასუხა ორინგს, რომ ვილნოს საკითხში ის სავსებით ეთანხმება ვოლდემარასს.

„ლეტუვოს ჟინიოს“-ის ცნობით, კოვნოში ორინგმა საუბრის დროს გაკვრით აღნიშნა, რომ პოლონეთის მთავრობას სხვა აღარაფერი დარჩენია, გარდა იმისა, რომ ბერლინის საშუალებით დაიწყო მოლაპარაკება ლიტვასთან.

19 იანვარს ორინგი გაემგზავრა მემელში და ესაუბრა ოფიციალურ პირებს. საუბრებში ორინგმა ლიტვის მთავრობის პასუხი პოლონეთის ნოტაზე უარყოფითად დაახასიათა და გამოსთქვა აზრი, რომ პოლონეთი არ დააჩქარებს მოლაპარაკებას და არც იჩივლებს ერთა ლიგაში.

როგორც გაზეთები აღნიშნავენ, ორინგი დაბრუნდა პოლონეთში იმის გამო, რომ ლიტვის მთავრობამ უარი განუცხადა მას ვიზის გაგრძელებაზე

პილსუდსკის მახინაციები

ვარშავა, 21 იანვარი. პოლონეთის პრესა ავრცელებს ხმებს, თითქოს უახლოეს დროში ვოლდემარასის მთავრობა გადადგება, ან ჩამოგდებული იქნება შიგნიდან.

პილსუდსკის ორგანო „გლოს პრავდი“ იტყობინება, რომ ლიტვის ოპოზიციონურმა პარტიებმა გადასწყვიტეს ლიტვის შინაური მდგომარეობის მოწესრიგება, „თუ ვოლდემარასი განაგრძობს თავის შეურიგებელ პოლიტიკას პოლონეთის მიმართ“ (ადს).

ნორვეგიის მემორანდუმი უშიშროების კომისიის შესახებ

პარიჟი, 20 იანვარი. ჟენევიდან იუწყებიან, რომ გამოქვეყნებულია ნორვეგიის მთავრობის მემორანდუმი უშიშროების კომისიის მუშაობის შესახებ. მემორანდუმი წინადადებას იძლევა ნიმუშად გამოიყენონ ლოკარნოს ხელშეკრულება და შეიმუშაონ შემთანხმებელი პროცედურის და არბიტრაჟის საყოველთაო კონვენცია. შემდეგ მემორანდუმი მოითხოვს, რომ კონვენციაში შეტანილი იქნეს მუხლი, რომელიც დააკისრებს კონვენციაში მონაწილე სახელმწიფოებს სავალდებულოთ იცნონ ერთა ლიგის ის გადაწყვეტილებები, რომლებიც, კონფლიქტში მონაწილე სახელმწიფოების ხმების გამოკლებით, ერთხმად იქნება მიღებული.

რევოლუციონერ რკინის გზელთა გამარჯვება

პარიჟი, 20 იანვარი. ელზას-ლოტარინგიის ჩრდილოეთის ქსელის რკინის გზების პროფკავშირთა უმაღლეს საბჭოს არჩევნების დროს ხმების დიდი უმრავლესობით გაიმარჯვეს რკინის გზელთა რევოლუციონური კავშირის კანდიდატები (ადს).

ჩემბერლენს „სწამს“

ერთა ლიგის ძალა და ავტორიტეტი

ლონდონი, 20 იანვარი. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ერთა ლიგის მეგობართა საზოგადოების კრებაზე, რომელიც გაიმართა ბირმინგამის უნივერსიტეტში, გამოვიდა ჩემბერლენი და განაცხადა, რომ მას სწამს ერთა ლიგის ძალა, ავტორიტეტი და გავლენა, რომელიც უკანასკნელ წლებში გაიზარდა. მაგრამ ამასთან ერთად ჩემბერლენმა განაცხადა, რომ ის დარწმუნებულია, რომ არ ვარგა აჩქარებული წინსვლა ლიგის ზრდასთან შეუფარდებლად და ლიგის დატვირთვა ისეთ რამით, რაც მის ძალას აღემატება (ადს).

უკანასკნელი ცნობები

გერმანელ მელითონეთა ლოკაუტი

ბერლინი, 21 იანვარი. შუა-გერმანიის ლითონის მრეწველობის მწარმოებელთა კავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა დღევანდელ სხდომაზე დაადგინა გამოაცხადოს 24 იანვარს საერთო ლოკაუტი შუა-გერმანიის რაიონის ყველა ლითონის წარმოებებში. ლოკაუტი წარმოადგენს პასუხს იმ გაფიცვაზე, რომელიც გამოაცხადეს მთელ რიგ წარმოებათა მუშებმა (ადს).

ბერლინი, 21 იანვარი. შუა-გერმანიის ლითონის მრეწველობის მუშების მიერ ენერგიულად ჩატარებულ გაფიცვის ზეგავლენით შრომის სამინისტრომ უარი სთქვა, სავალდებულოდ ეცნო სამედიატორო გადაწყვეტილება, რომელიც გამოტანილია ლითონის მრეწველობის მუშებსა და მწარმოებლებს შორის წარმოშობილ კონფლიქტის გამო. ცენტრალური საგაფიცვო კომიტეტი ჰალეში მოუწოდებს მუშებს განაგრძონ ბრძოლა. ბიტერფელდის მუშათა საერთო კრებამ, რომელზედაც იხევ გაიმარჯვა პროფკავშირთა მემარცხენე უმრავლესობამ, გამოიტანა დადგენილება, რომ გაფართოებულ იქნას არა მარტო ბრძოლის ფრონტი, არამედ შემოღებულ იქნას 8 საათის სამუშაო დღეც. კავშირის კომუნისტურმა ფრაქციამ მოწოდებით მიმართა სხვა წარმოებათა მუშებს, რომ ისინიც შეუერთდენ ბრძოლას ხელფასისათვის და წამოაყენონ ისეთივე მოთხოვნილებანი, როგორც შუა გერმანიის მელითონეებმა (ადს).

პასუხი უოლის პროვოკაციაზე

ნიუ-იორკი, 21 იანვარი. რუსეთ-ამერიკის სავაჭრო პალატამ გამოაქვეყნა პასუხი უოლის წერილზე. უოლი (ამერიკის შრომის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი) მოითხოვდა, რომ პალატას „იძულებული გეხადა საბჭოთა მთავრობა შეეწყვიტა პროპაგანდა ჩრდ. ამერიკის შეერთებულ შტატებში“.

„პალატა—ნათქვამია პასუხში—დაინტერესებულია მხოლოდ ამერიკა-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის განვითარებაში. შემდეგ პალატა აღნიშნავს, რომ მისი მოღვაწეობა შეეფერება შეერთებულ შტატების ვაჭრობის სამინისტროს პოლიტიკას, ვინაიდან ვაჭრობის სამინისტროც ამერიკა-საბჭოთა კავშირის ვაჭრობის განვითარების მომხრეა. დასასრულ პალატამ უარყო უოლის წინადადება იმის შესახებ, რომ მოეწყობილი ყოფილიყო საიდუმლო თათბირი შრომის ფედერაციასთან იმ „საბუთების“ განსახილველად, რომლებიც ვითომდა მოეპოვება მას (ადს).

ამხ. კრუჟანოვსკი ჩავიდა ტოკიოში

ტოკიო, 21 იანვარი. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ტოკიოში ამხ. კრუჟანოვსკი, რომელსაც მხურვალედ ხვდებოდენ მანჯურიაში, კორეაში და იაპონიის ყველა სხვა რაიონებში, დღეს დილით ჩამოვიდა ტოკიოში (ადს).

ტანაკა იაპონია-საბჭოთა კავშირის მდგომარეობის შესახებ

ტოკიო, 21 იანვარი. საახალწლო არდადეგების შემდეგ გაიხსნა იაპონიის პარლამენტის სესია. პრემიერი და გარეშე საქმეთა მინისტრი ტანაკა შეეხო საკითხს საბჭოთა კავშირისა და იაპონიის ურთიერთობის შესახებ და განაცხადა:

„კეთილმეზობლური ურთიერთობა იაპონიასა და საბჭოთა კავშირს შორის თანდათან უფრო მეგობრული ხდება.

იაპონიის სამეურნეო წარმოებები საბჭოთა კავშირის შორეულ აღმოსავლეთის ტერიტორიაზე ავსებით დამაკმაყოფილებლად ვითარდებიან და იაპონია-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ურთიერთობას ახასიათებს თანდათანობით ზრდა“ (ადს)

იურაშევსკის კაბინეტი

რიგა, 21 იანვარი. 51 ხმის უმრავლესობით 48-ის წინააღმდეგ (8 დეპუტატი სხდომას არ დასწრებია) სეიმმა მიიღო რეზოლუცია, რომლითაც ნდობა გამოუცხადა იურაშევსკის კაბინეტს (ადს).

ნორვეგიის კონსერვატორულ მთავრობის გადადგომა

ოსლო, 21 იანვარი. სტორტინგის არჩევნების შედეგად, რომელიც მოხდა 1927 წლის ოქტომბერში, პარლამენტის სესიის განახლების შემდეგ, ლიუკეს კონსერვატიული მთავრობა გადადგა (ადს).

ამხ. სიკორსკის გარდაცვალება

მოსკოვი, 21 იანვარი. 21 იანვარს მოსკოვში აპენდიციტის გართულების გამო გარდაიცვალა პოლიტკატორღელთა საზოგადოების წევრი სიკორსკი. სიკორსკი, ყოფილი წევრი სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიისა მონაწილეობას ღებულობდა შინაგან საქმეთა მინისტრ პლევეს მკვლელობაში, ის გაასამართლეს საზონოვთან ერთად და მიუსაჯეს 20 წლის კატორღა (ადს).
საქ. ცაკის სესიის წინ

საქართველოს ცაკის სესიის წინ

ბათომი, 22 იანვარი. საქართველოს ცაკის მესამე სესიის მოწვევასთან დაკავშირებულ მოსამზადებელი მუშაობის ჩასატარებლად შედგენილია სპეციალური კომისია, რომელსაც თავმჯდომარეობს აჭარისტანის ცაკის თავმჯდომარე ამხ. **სურმანიძე**. ამშვენიერებენ აკადემიურ თეატრს, სადაც შესდგება სესიის სხდომები. თეატრის ფოიეში ეწყობა აჭარისტანის კულტურულ და ეკონომიურ მიღწევათა გამოფენა.

სესიის საზეიმო გახსნა მოხდება 23 იანვარს საღამოს აკადემიურ თეატრში. სესიის გახსნაზე მოწვეული არიან უცხოელთა საკონსულოების წარმომადგენლები (ადს).

ახალი მთავრობა ლატვიაში

იურაშევსკის კაბინეტი

რიგა, 20 იანვარი. იურაშევსკიმ სეიმს წარუდგინა მის მიერ შედგენილი კაბინეტი და გამოაქვეყნა მთავრობის დეკლარაცია. კაბინეტი შედგენილია მცირეოდენი ცვლილებებით, ვიდრე ფიქრობდნენ: **იურაშევსკი** —პრემიერი და ფინანსთა მინისტრი **კამინსკის** მაგიერ, **ალბატი**— საგარეო საქმეთა სამინისტროს გამგე, **გულბისი** — მიწადმოქმედების მინისტრი, ალბერინგსის მაგიერ.

კაბინეტის დანარჩენი შემადგენლობა დარჩა ისეთი, როგორც განზრახული იყო, ამ ერთი კვირის წინეთ.

იურაშევსკის მიერ გამოქვეყნებული დეკლარაცია წარმოადგენს დემოკრატიული ცენტრის პლატფორმის განმტკიცებას, გარდა იმ თეზისისა, რომელიც მოითხოვს საგარეო პოლიტიკის მიმართულების შეცვლას.

სეიმის მთელი საღამოს სხდომა მოანდომეს იურაშევსკის მიერ გამოქვეყნებულ დეკლარაციის განხილვას. სეიმის მემარცხენე ფრთა სასტიკათ აკრიტიკებდა ქრისტიანულ კავშირს, განსაკუთრებით დემოკრატიულ ცენტრს, რომელსაც ბრალს სდებდა იმაში რომ ის ანახლებს კორუპციის პოლიტიკას.

შუაღამეზე მემარჯვენეებმა შემოიტანეს წინადადება, რათა კამათის გაგრძელება გადადებულიყო 21 იანვრისათვის. 53 ხმის უმრავლესობით, წინააღმდეგ მემარცხენე დეპუტატების 46 ხმისა, აღნიშნული წინადადება მიღებული იქნა.

კანონი სამხედრო ბეგარის შესახებ

პარიჟი, 21 იანვარი. საფრანგეთის დეპუტატთა პალატამ უარყო სოციალისტების მიერ შემოტანილი წინადადება, რომელიც მოითხოვდა სამხედრო ბეგარის შესახებ შემუშავებულ კანონ-პროექტიდან იმ მუხლის ამოღებას, რომელიც ითვალისწინებს სამხედრო სამსახურის ხანგრძლივობის შემცირებას ერთი წლით. პალატამ კანონპროექტის აღნიშნული მუხლის შესახებ მიიღო მთავრობის რედაქცია, რომლის თანახმად ერთი წლიანი სამხედრო სამსახური შემოღებული უნდა იქნეს 1930 წლის თებერვლიდან (ადს).

მენშევიკები კმაყოფილი არიან „რესპუბლიკანური თვალსაზრისით“

„საიმედო კაცი“

ბერლინი, 20 იანვარი. გენერალ გრენის დანიშვნამ თავდაცვის მინისტრის თანამდებობაზე იმედები გაუცრუა ნაციონალისტებისა და სახალხო პარტიის. ნაციონალისტური პარტიამ გამოაქვეყნა განსაკუთრებული დეკლარაცია, რომელშიაც ის არ ეთანხმება გრენერის დანიშვნას. დემოკრატიულმა გაზეთებმა და „ფორვერტსმა“ გრენერის დანიშვნა დიდი კმაყოფილებით აღნიშნეს და გრენერს უწოდებენ „რესპუბლიკანური თვალსაზრისით საიმედო კაცს“.

კოსგრევი დე-ვალერას წინააღმდეგ

ნიუ-იორკი, 20 იანვარი. ნიუ-იორკში ჩამოვიდა ირლანდიის თავისუფალი სახელმწიფოს პრემიერი — **კოსგრევი**. კოსგრევის ჩამოსვლის ერთ ერთი მიზანია — ხელი შეუშალოს დე-ვალერას, რომელიც ამჟამად შეერთებულ შტატებში იმყოფება და აგროვებს თანხებს ირლანდიის რესპუბლიკანელების ორგანოს სასარგებლოთ. დე-ვალერა ლიდერია „ფიან ფაილის“ პარტიისა, რომელიც დაარსდა 1926 წელს, მას შემდეგ, რაც სინფეინერების რესპუბლიკანური პარტია ორად გაიყო (ადს).

„პიაევალეხტის“ ცნობა

რეველი, 20 იანვარი. პიაევალეხტი“ უარყოფს რიგის გაზეთის **„იაუნაკახ ზინიას“** ცნობას, თითქოს საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელმა პეტროვსკიმ ესტონეთის გარეშე საქმეთა მინისტრს **რებანსსუს** განუცხადა, რომ საბჭოთა მთავრობა დაინტერესებულია ესტონეთთან სავაჭრო და საგარანტიო ხელშეკრულების დადებით.

„საგარანტიო ხელშეკრულება,— სწერს „პიაევალეხტ“, — უმოძრაოთ არის, რადგან საკითხში შემარიგებელი კომისიის ნეიტრალურ თავმჯდომარის შესახებ შეთანხმება არ არის მიღწეული“.

ამხ. შმიდტი შვიდი საათის სამუშაო დღის გატარების შესახებ

მოსკოვი, 21 იანვარი. შვიდი საათის სამუშაო დღეს გამტარებელ მთავრობის კომისიის თავმჯდომარემ საკავშირო შრომის სახალხო კომისარმა ამხ. შმიდტმა სამეურნეო მუშაკთა კრებაზე სახელმწიფო მრეწველობისა და ვაჭრობის ყრილობათა საბჭოში გააკეთა მოხსენება, რომელშიც აღნიშნა, რომ სამუშაო დღის შემცირებამ საბოლოო ანგარიშით შრომის ნაყოფიერების შემცირება კი არ უნდა გამოიწვიოს, არამედ გადიდება, მაგრამ ამისათვის საჭიროა ხანგრძლივი მომზადება, წარმოების რაციონალიზაცია, ახალი მოწყობილობის შეძენა და მუშაობის შემჭიდროვება. ასეთი მომზადების დროს შესაძლებელი იქნება სამუშაო ხელფასის არსებულ დონეს არა მარტო შენარჩუნება, არამედ მისი გადიდებაც მომავალში შრომის ნაყოფიერების ზრდასთან შეფარდებით.

მზად არის თუ არა ამჟამად მრეწველობა შვიდი საათის სამუშაო დღის განსახორციელებლად? არა, არაა მზად. ამას მოწმობს 22 საფეიქრო ფაბრიკის შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადაყვანის გამოცდილება. ამ ფაბრიკების შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადაყვანის დროს საჭირო იყო მთელი რიგი რაციონალიზატორულ ღონისძიებების გატარება შრომის ნაყოფიერების ასაწევად. საჭირო იყო მოწყობილობის უკეთ გამოყენება, შრომის ნაყოფიერების აწევის მიზნით — ნედლი მასალისა და ნართის ღირსების გაუმჯობესება, მუშების განთავისუფლება დამხმარე სამუშაოსაგან და ფასების გადასინჯვა. ყოველივე ამისათვის მოსკოვის საფეიქრო მრეწველობაც კი არ აღმოჩნდა საკმაოდ მომზადებული. გარდა ამისა ძნელი გახდა კვალიფიციური მუშების შოვნა, მათი მომზადება და ბინებით უზრუნველყოფა, აგრეთვე გამოაშკარავდა მთელი რიგი სიძნელეები და მოუწესრიგებლობა თვითი ფაბრიკების მუშაობის ორგანიზაციაში. ლითონის, ქვანახშირისა და მთავარ ქიმიურ მრეწველობაში რაციონალიზაცია და მუშაობის შემჭიდროვება გაცილებით უფრო მეტ სიძნელეებთანაა დაკავშირებული. რაციონალიზაციისათვის აქ უფრო მეტი საშუალებების დახარჯვაა საჭირო. აი, რატომაა საჭირო აუცილებელი სითრთხილის დაცვა შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადასვლის დროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რემედასის საზამთრო კამპანიის კვირეულისათვის

(1928 წლის 22 — 30 იანვარი)

დიადმა ოქტომბერმა დააჩქარა პირველი იმპერიალისტური ომის (1914—18 წ.წ.) დამთავრება. ოქტომბრის გავლენით გერმანიაში რევოლუციამ დაიქუხა... ბავარიასა და უნგრეთში მცირე ხნის მაინც საბჭოები წარმოიშვა.

საერთაშორისო იმპერიალიზმმა ჩვენი ახალგაზრდა მოძმეები ათი მილიონობით დალუპა, გაანადგურა რამდენიმე ათეული პატარა და დიდი ქვეყნები და მოაოხრა რამდენიმე ასეული ქალაქი. და აი, ეს საერთაშორისო იმპერიალიზმი 14 კაპიტალისტური სახელმწიფოს სახით და ინგლისის მეთაურობით გაბოროტებით ეძგერა ოქტომბრის კერას—**ძლევამოსილი პროლეტარული რევოლუციის კერას, მუშათა და გლეხთა საბჭოების ქვეყანას...** მაგრამ იმპერიალიზმს უკან დაახევინა პროლეტარიატის დიქტატურის—საბჭოთა ქვეყნის „თავზე ხელაღებულ“ და მშიერ მუშათა და გლეხთა გასაოცარმა გმირულმა ბრძოლამ, რომლის დროსაც მჭიდროდ იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებულნი პროლეტარიატი და მშრომელი გლეხობა და რომელსაც ხელმძღვანელობდა დიადი ლენინური კომპარტია (ბოლშევიკების პარტია)... რასაკვირველია, აქ დიდ როლს ასრულებდა ყველა ქვეყნის პროლეტართა საერთაშორისო სოლიდარობა, მეტადრე ინგლისელ პროლეტარების სოლიდარობა იმ საზოგადოებათა სახით, რომლებსაც ერქვათ **„ხელი შორს საბჭოთა რუსეთისაგან“...** დაიწყო ახალი ეკონომიური პოლიტიკის პერიოდი. საბჭოთა ხელისუფლების გონიერმა პოლიტიკამ,—მუშურ-გლეხურმაც და ეროვნულმაც,—რაღაც 5—6 წლის განმავლობაში, საშინელი შიმშილის შემდეგ, შესძლო აღორძინებინა მუშათა და გლეხთა ქვეყანა საშინელი ნგრევისა და, ასე ვსთქვათ, ნაოხრებიდან, შესძლო შესდგომოდა სოციალიზმის მშენებლობას მსოფლიოს მეექვსედ ნაწილში —**ჩვენს საბჭოთა კავშირში.** ოქტომბრის ათი წლის თავმა (გასული წლის ნოემბერში) მჭერმეტყველად დაანახვა ეს მთელ მსოფლიოს. ჩვენი წარმატებით გაბოროტებული იმპერიალიზმი, ისევ და ისევ ინგლისის მეთაურობით, ემზადება, რომ კიდევ ერთხელ დაგვესხას თავს... მაგრამ ჩვენ, რომელნიც ყოველთვის მშვიდობიან პოლიტიკას ვიცავთ, ჩვენს სახელოვან გმირულ წითელ არმიასთან და საბჭოთა კავშირის მრავალი ერების მშრომელთა მასებთან ერთად, ვიწვრთნებით სამხედრო დარგში და **მზად ვართ ულმობელად გავუსწორდეთ უგნურ მტაცებელ იმპერიალიზმს და ამავე დროს მშვიდად განვაგრძობთ ჩვენი სოციალისტური მშენებლობა, წარმოების და ქვეყნის მართვა-გამგეობის რაციონალიზაცია, ინდუსტრიალიზაცია მოვახდინოთ** მრეწველობისაც, მიწათმოქმედებისაც **ერთი მთლიანი მეცნიერული გეგმით მთელი საბჭოთა კავშირისათვის. მთელი მსოფლიოს მშრომელთა სიმპატიები ჩვენსკენაა.** საბჭოთა ქვეყნის მიჯნის იქითა მხარეს,—მსოფლიოს ხუთ-მეექვსედში **გამეფებულია საშინელი ჯოჯოხეთი, მშრომელთა უმკაცრესი ექსპლოატაცია და კოლონიების თუ ნახევრად კოლონიების ას მილიონიანი ერების** [illegible] ჩაგვრა **და რბევა... მაინც ჩინეთის რევოლუცია** სცოცხლობს... სხვა კოლონიებშიც იქნება...

ჩვენი ყველა გაყვლეფილი და დაჩაგრული მოძმეები, რომლებიც ცდილობენ მოიგერიონ კაპიტალის თავდასხმა და კისრიდან გადაიგდონ იმპერიალიზმის უღელი,—მუდამ დღე ჰკარგავენ თავის საუკეთესო მებრძოლებს, თეთრი ტერორი და თაშიში ხოცავს ან ტყვეობაში ჰყავს მას ჩვენი ძმები—ბულგარეთის, ჩრ. ამერ. შეერთ. შტატების, რუმინეთის, გერმანიის, საფრანგეთის, ინდოეთის, ჩინეთის და სხვა ქვეყნების გმირი რევოლუციონერები. **კაპიტალისტური ქვეყნების სატუსაღოები ავსებულია ათიათასობით** [illegible] კაპიტალისა და მხეცურად გამძვინვარებული მტაცებელი იმპერიალიზმის **ტყვეებით...**

ამ ბრძოლის დაწყებიდანვე (1919 წლიდან) იქმნებოდა საზოგადოებანი, რომლებსაც მიზნად ჰქონდა დახმარების აღმოჩენა კაპიტალის ტყვეებისათვის —მებრძოლი რევოლუციონერებისათვის. 1922 წლის დამლევს კომინტერნის მეოთხე კონგრესის გადაწყვეტილებით ისინი გაერთიანდნენ ერთის სახელწოდებით: **„რევოლუციონერების დამხმარე საერთაშორისო საზოგადოება—რემედასი“.** მას შემდეგ ეს ორგანიზაცია ჩვენს კავშირშიაც უაღრესად განვითარდა,—მის წევრთა რიცხვი დაახლოვებით 4 მილიონზე მეტია. რემედასი მორალურად და მატერიალურად ეხმარება სატუსაღოებში დაპატიმრებულ რევოლუციონერებს, მათ ოჯახებს, პოლიტიკურ ემიგრანტებს, შეფობას უწევს ევროპის, ამერიკის და სხვა ქვეყნების ასეულ საპატიმროებს და მიწერ-მოწერის საშუალებით კაპიტალის ტყვეებთან ცოცხალ კავშირს იჭერს. რემედასი ქალაქისა და სოფლის მშრომელთა მასების მობილიზაციას ახდენს რაზმავს მათ, უჯრედებსა და კომიტეტებში, აერთიანებს რესპუბლიკანურ და საკავშირო მასშტაბით და შედის საერთაშორისო რემედასში...

ჩვენს საბჭოთა კავშირში ამიერ-კავკასია უკან არა რჩება სხვა მოკავშირე რესპუბლიკებს. რემედასის ცენტრ. კომიტეტი საბჭოთა საქართველოში, როგორც **სხვა სექციებიც, 22—30 იანვ. აწყობს საზამთრო კამპანიას— რემედასის კვირეულს.** ესეც საგიტაციო-სასწავლო მუშაობაა, რომელიც საბჭოთა ქვეყნის მშრომელთა მასებს თვალნათლად ამყოფებს, უღვივებს მათ საერთაშორისო ძმურ სოლიდარობას, რათა ისინი არ მოიქცნენ ყოველდღიური საჭიროებისა და მეურნეობისათვის ზრუნვის ნაჭუჭში... საჭიროა ყოველთვის ფხიზლად ყოფნა, საჭიროა დასავლეთ ევროპისა და მთელი მსოფლიოს დაჩაგრულ და გაყვლეფილ მოძმეთა ტკივილების გაგება და შეგრძნობა მათი მებრძოლების —გმირებისათვის მხარის დაჭერა, ბრძოლის ენტუზიაზმისა და გმირობის ჩანერგვა, რითაც ხელს შეუწყობთ, რომ იქაც დაჰქარდეს ძლევამოსილი ოქტომბერი.

ამხანაგო მუშებო და გლეხებო —ქალნო და კაცნო,—საბჭოთა მიწა-წყლის ყველა მოქალაქენო, ყველანი ფხიზლად იყავით, ყველამ დაუჭირეთ მხარი რემედასის ცენტრ. კომიტეტს მასიურად შედით მის უჯრედებსა და ორგანიზაციებში, აავსეთ ისინი, გადააქციეთ მასიურ ორგანიზაციებად, მიიტანეთ თქვენი შრომის მონაგარი მათ სალაროებში რათა დაეხმაროთ მებრძოლ-რევოლუციონერებს, გახრწნილი კაპიტალისა და მსუნაგი იმპერიალიზმის ტყვეებს...

გაუმარჯოს ჩვენს ძმებს —კაპიტალის ტყვეებსა და პატიმრებს!

გაუმარჯოს კომუნიზმს —ლენინიზმს — რევოლუციონურ მარქსიზმს!

ძირს ყოველგვარი უკლონისტები — ოპოზიციონერები!

გაუმარჯოს კომინტერნს —მსოფლიო რევოლუციის ბელადსა და უდიდეს შტაბს!

გაუმარჯოს მის სახელოვან რაზმს—საკავშირო ლენინურ კომპარტიას!

გაუმარჯოს რემედასს, რომელიც მშრომელების მასათა მობილიზაციას ახდენს კაპიტალისტურ საპატიმროებში ჩამომწყვდეული მებრძოლ - რევოლუციონერების დასახმარებლად!

ჩვენი გულითადი, გულმხურვალე სალამი კაპიტალის ტყვეებს!

მიხა ცხაკაია.

გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხი

სესხი გლეხური მეურნეობის განმტკიცებისათვის მიზნათ ისახავს სოფლის სოციალისტურად გარდაქმნას.—სოფლის არც ერთი მეურნე არ უნდა დარჩეს უობლიგაციოთ.—ყოველ **30** ობლიგაციაზე მოდის ერთი მოგება.—განაღდებულ ობლიგაციებიდან შემოსული თანხის ერთი მეათედი ადგილობრივ საჭიროებას ხმარდება.—ყველა მოწინავე ელემენტებმა მხურვალე მონაწილეობა უნდა მიიღონ სესხის პირობების ფართედ განსამარტავად და ობლიგაციების გასავრცელებლათ.

ამხ. კალინინის მოწოდება

გლეხობისა და გლეხ ქალებისადმი

ამხანაგებო, გლეხებო და გლეხ ქალებო!

მუშათა კლასმა გლეხობასთან კავშირში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მოკლე ხანში შესძლო ომისა და სიმშილობისაგან დანგრეულ მეურნეობის აღდგენა, მიიყვანა სახალხო მეურნეობა ომამდის არსებულ დონემდე და გასცილდა კიდეც ამ დონეს.

მაგრამ ჩვენ სახალხო მეურნეობის ომამდის არსებული დონე ვერ დაგვაკმაყოფილებს. იმისათვის კი არ ვიბრძოდით ჩვენ, რომ აღგვედგინა წინანდელი მდგომარეობა. ჩვენ დავისახეთ მთელი სახალხო მეურნეობის ახალ სოციალისტურ საფუძველზე გარდაქმნის ამოცანა.

ჩვენ დავსძლევთ ამ ამოცანას კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით და მუშათა და გლეხთა ფართო მასების უშუალო დახმარებით.

ჩვენი სოციალისტური მრეწველობა სწრაფი ტემპით იზრდება, ის ეწყობა ახალი ტეხნიკის საფუძველზე. 1927 წლის შემოდგომაზე ქალაქის მშრომელებმა ნებაყოფლობით მისცეს სესხად სახელმწიფოს 200 მილიონი მანეთი, რომელიც უნდა მოხმარდეს სახალხო მეურნეობის განვითარებას. ინდუსტრიალიზაციის სესხს ხელი მოაწერა 6 მილიონმა კაცმა.

სასოფლო მეურნეობა ვერ მიჰყვება ფეხდაფეხ მრეწველობის ზრდას—ის ჩვენში მეტად ჩამორჩენილია. მიწა ჩვენ ბევრი გვაქვს, მაგრამ არ გვაქვს საშუალება დავამუშაოთ იგი, როგორც საჭიროა. ჩვენში მოსავალი 2—3 ჯერ ნაკლებია, ვინემ განვითარებულ მეურნეობის მქონე ქვეყნებში.

მთავრობა ბევრ რამეს აკეთებს სასოფლო მეურნეობისათვის. ტარდება მიწადმოწყობა, ფართე დახმარება ეძლევა გლეხობას შერჩეულ სათესი მასალის და მინერალურ სასუქი მასალის გავრცელებით და სხვ. ღარიბ გლეხებს და მცირე შეძლების საშუალო გლეხებს ეძლევათ დიდი შეღავათები სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადახდაში. ბევრი რამ კეთდება აგრეთვე გლეხობისათვის სასოფლო - სამეურნეო მანქანების და იარაღების მიწოდების საქმეში. მთავრობის მუდმივი ზრუნვის საგანს წარმოადგენს სასოფლო მეურნეობის ყველა დარგები. სასოფლო მეურნეობაზე ყოველ წლიურად იხარჯება დიდი თანხები. 1924-25 სამეურნეო წელში სასოფლო მეურნეობაზე დაიხარჯა 300 მილიონი მანეთი, 1925-26 წ. — 450 მილიონი მანეთი, 1926-27 წ.— 550 მილიონი მანეთი, დაბოლოს, 1927-28 სამეურნეო წელში განზრახულია 700 მილიონი მანეთის დახარჯვა.

მაგრამ ყველაფერი ეს არ არის საკმარისი, ხოლო მთავრობას ამჟამად არ შეუძლია მეტი საშუალებების დახარჯვა.

ამხანაგებო გლეხებო და გლეხო ქალებო! ეხლა თქვენზეა ჯერი!

მუშებმა ერთსულოვნად ჩაატარეს ინდუსტრიალიზაციის სესხი. გლეხებმა ერთსულოვნად უნდა დაუჭირონ მხარი სასოფლო მეურნეობის განმტკიცების სესხს. გლეხზე უკეთ ვინ იცის, თუ რა ესაჭიროება ჩვენ სასოფლო მეურნეობას? ვისთვის არის ეს მეურნეობა უფრო ძვირფასი? მთავრობა და კომუნისტური პარტია დარწმუნებული არიან, რომ გლეხები არ დაიშურებენ თავის მცირე მონაზოგების მიცემას სესხად სახელმწიფოსათვის. ეს ხელსაყრელი იქნება, როგორც თვითეულ გლეხისათვის, ისე მთელი ჩვენი ქვეყნისათვის.

ჩვენ გვაქვს 24 მილიონი გლეხური მეურნეობა. თუ თვითეულმა მეურნეობამ შეიძინა სესხის ობლიგაცია, საკმაოდ მნიშვნელოვანი თანხა შეგროვდება.

მთავრობა უშვებს ახალ საგლეხო სესხს. ამ სესხს ეწოდება: „საგლეხო მეურნეობის განმტკიცების სახელმწიფოს საშინაო მომგებიანი სესხი“. თვით სახელწოდება აშკარად მოწმობს, თუ რა მიზნით არის გამოშვებული სესხი.

სესხი გამოშვებული იქნება 100 მილ. მანეთის რაოდენობით. ამ სესხის ობლიგაცია ღირება 10 მანეთი. ხელმოკლე გლეხებს შეუძლიათ იყიდონ არა მთელი ობლიგაცია, არამედ მისი მეოთხედი, რომელიც ღირება 2 მან. 50 კაპ. ობლიგაცია მყიდველს აძლევს შემოსავალს — 6 კაპეიკს მანეთზე წელიწადში. თვითეული ობლიგაციით შეიძლება მოგება 50-დან 1.000 მანეთამდე. მოგება ძლიერ ბევრია — 332.640, სულ 21 მილიონი მანეთის. მოგებათა გათამაშება მოხდება ორჯერ წელიწადში, გლეხთა წარმომადგენლების მონაწილეობით. თვითეულ მომგებს უფლება აქვს მთელი მოგებული თანხით იყიდოს სახელმწიფო და კოოპერატიულ საწყობებში რიგ გარეშე ესა თუ ის სასოფლო - სამეურნეო მანქანა.

1929 წლის 1 ივლისიდან საგლეხო მეურნეობის განმტკიცების სესხის ობლიგაციებით შეიძლება სასოფლო-სამეურნეო გადასახადის და სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის პრემიების გასტუმრება. საჭიროების შემთხვევაში ყოველთვის შეიძლება სესხის ობლიგაციების გაყიდვა ან დაგირავება. დაბოლოს, ობლიგაციების ღირებულების 10 პროცენტი (ერთი მანეთი თვითეულ 10 მანეთიდან) რჩება იმ თემში, სადაც გაიყიდა ობლიგაციები, და შეტანილ იქნება ადგილობრივ სათემო და სარაიონო ბიუჯეტში ადგილობრივ მოსახლეობის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. სამი წლის შემდეგ, 1931 წლის 1 თებერვალს, სახელმწიფო გლეხობას დაუბრუნებს საგლეხო მეურნეობის განმტკიცების სესხის ობლიგაციების სრულ ღირებულებას.

ამხანაგებო გლეხებო და გლეხო ქალებო! სესხის ხელსაყრელი პირობები და სარგებლობა აშკარაა. სესხის მიზნები თქვენი მიზნებია. გავანაღდოთ ერთსულოვნად ეს სესხი. რამდენადაც უფრო ადრე და სრულად იქნება ის განაღდებული, რამდენადაც უფრო მალე მიიღებს მთავრობა საშუალებებს, მით უფრო მალე მოახმარს ის ამ საშუალებებს სასოფლო მეურნეობას, მით უფრო ადრე აყვავება და დააღწევს თავს გაჭირვებას გლეხის მეურნეობა. მით უფრო ადრე წავა ის შემდგომი განვითარების გზით.

დეე არ დარჩეს არც ერთი გლეხი, რომელიც არ შეიძენს სესხის ობლიგაციებს. თუ ჩვენ შეგნებულად და ერთსულოვნად მოვკიდებთ საქმეს ხელს—ჩვენთვის არ არის საშიში არავითარი დაბრკოლებები უკეთეს მომავლისათვის ბრძოლაში.

ს. ს. რ. კ. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე მ. ი. კალინინი.

ამხ. ფ. მახარაძე ახალი საგლეხო სესხის შესახებ

გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის მნიშვნელობისა და დანიშნულების შესახებ საქ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. **ფილიპე მახარაძემ** ჩვენი გაზეთის თანამშრომელთან საუბარში განაცხადა:

— გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხს მე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვაძლევ. როგორც უკვე ცნობილია, საბჭოთა ხელისუფლება არავითარ ძალღონეს არ იშურებს ჩვენი სასოფლო მეურნეობის აყვავებისათვის. საამისოთ ხელისუფლებას, რა თქმა უნდა, უნდება დიდძალი თანხების დახარჯვა და აი, აქ კი წამოჭრილი არის კარდინალური საკითხი ჩვენი სოციალისტური აღმშენებლობისათვის საჭირო თანხების გამონახვის შესახებ.

უცხოეთის სახელმწიფოები ჩვენ არ მოგვცემენ სესხს, რადგან ეს იქნება მათთვის არა ხელსაყრელი კომბინაცია. კაპიტალისტური სახელმწიფოების ხელმძღვანელებმა მშვენივრად იციან, რომ ეს თანხები მოხმარდება იმ სახელმწიფოს აღმშენებლობის საქმეს, რომლის მოსისხლე მტრებიც ისინი არიან. ბუნებრივია, რომ ასეთ პირობებში კაპიტალისტური სახელმწიფოები შეეცდებიან ჩვენ არ მოგვცენ სესხი, ან და მოგვცენ მათთვის ხელსაყრელ პირობებში.

აქ არის წამოჭრილი საკითხი იმის შესახებ, რომ ეს საჭირო თანხები ჩვენ ვიშოვოთ საკუთარივე ძალებით, როგორც ეს ყველამ იცის, ამას წინათ ჩატარებული იქნა ინდუსტრიალიზაციის სესხის კამპანია, რომლითაც სულ გასაღდა 250 მილიონ მანეთამდე ობლიგაციები. ეს თანხა განაღდებული იყო მთლიანად ჩვენი მუშათა კლასის მიერ. ინდუსტრიალიზაციის სესხის საშუალებით საბჭოთა ხელისუფლება შესძლებს განავითაროს პროლეტარული სახელმწიფოს მრეწველობა და დაუახლოვოს იგი კაპიტალისტური ქვეყნების მრეწველობას.

მაგრამ, რამდენადაც განვითარდება ჩვენი მრეწველობა, ამდენადვე გაღრმავდება განსხვავება ჩვენი სასოფლო მეურნეობისა და ქალაქის მეურნეობის შორის. იმ მოსაზრებით, რომ სახელმწიფოს ამ ორ ძირითად დასაყრდენ ძალთა შორის დაცულ იქნას ერთგვარი წონასწორობა, საჭირო არის სასოფლო მეურნეობაც წავიდეს წინ სწრაფი ნაბიჯით და იგი არ ჩამორჩეს ქალაქის მრეწველობის განვითარებას. ამისათვის საბჭოთა ხელისუფლებამ მიმართა საშინაო სესხს, რომელიც გასაღებული უნდა იქნეს სოფლის მეურნე ძალებით.

დღეს ყველასათვის საგრძნობი არის, რომ სოფლად, დაგროვებულია მნიშვნელოვანი თანხა, რომელიც უსარგებლოდ ძევს. საბჭოთა კავშირი უძლიერეს სახელმწიფოდაა ცნობილი, როგორც სასოფლო მეურნეობის ქვეყანა და მართლაც უნდა ითქვას, რომ ჩვენ რესპუბლიკათა კავშირში მოიპოვება დიდძალი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რაოდენობა. ამ პროდუქტებს ჩვენი მრეწველობა იძენს გლეხობისაგან. ამ ოპერაციიდან შემოსული თანხის დიდი ნაწილი სოფლადაა დარჩენილი. არასოდეს სოფელი ისე მდიდარი არ ყოფილა საბჭოთა ხელისუფლების არსებობის დღიდან, როგორც ის დღეს არის. მაშასადამე, იქმნება ასეთი გარემოება: მთავრობას ფული სჭირდება, ფული სოფელშია. თანხების უმოძრაოთ შენახვა ხელსაყრელი არაა თვითონ გლეხობისთვისაც, იმიტომ, რომ მათ ეს თანხები არა აქვთ დაბანდებული რაიმე სასარგებლო საქმისათვის, არამედ ისინი უმოქმედოთ არის. მომგებიანი საგლეხო სესხის საშუალებით კი გლეხობა ნახავს ორგვარ სარგებელს: ერთი ის, რომ მათი თანხები მათ მისცემს მოგებას, ხოლო მეორე ის, რომ ამავე თანხების საშუალებით ხელისუფლება შეუდგება სასოფლო-მეურნეობის აღორძინებას.

სესხის განაღდების დროს მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ სოფლის მოსახლეობა ნათლად გაერკვეს სესხის მნიშვნელობაში. სოფლად მომუშავე კულტურულმა და საზოგადოებრივმა ძალებმა მთავარი ყურადღება სწორედ ამ მომენტს უნდა მიაქციონ. სოფლად მომუშავე ძალებმა გლეხებს უნდა აუხსნან სესხის სარგებლიანობა, ჩვენი სახელმწიფოს მდგომარეობა, სასოფლო მეურნეობის განვითარების საჭიროება და ყველა ის საკითხები, რომელნიც ასე მჭიდროთაა დაკავშირებული აღნიშნული სესხის განაღდებასთან.

მე დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს გლეხობა არც თავისი შეგნებით და არც პოლიტიკური მომზადებით არ ჩამორჩება სხვა მოძმე რესპუბლიკების გლეხებს. ჩვენი გლეხობა თავისუფლად შესძლებს გაანაღდოს სესხის ის რაოდენობა, რომელიც საქართველოს მოუწია.

მე ამასთანავე მინდა დავსძინო, რომ ამ სესხს ექნება დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობაც. სესხის განაღდებით დადასტურდება ჩვენი გლეხობის კულტუროსნობა და მისი სურვილი ააგოს ახალი მშრომელთა სახელმწიფო, რომელიც ერთად ერთია მთელს მსოფლიოში.

მე სრული დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი გლეხობა ღირსეულად შეხვდება აღნიშნულ სესხს და სავსებით გაანაღდებს ხელისუფლების ნდობას და იმედებს.

სესხის პოლიტიკური და სამეურნეო მნიშვნელობა

(საუბარი საქ. ფინსახკომ ამხ. გ. მგალობლიშვილთან)

საშინაო სესხს წლიდან წლამდე სულ მეტი და მეტი მნიშვნელობა ეძლევა, — განუცხადა ჩვენს თანამშრომელს საქ. ფინანსთა სახ. კომისარმა, ამხ. გ. მგალობლიშვილმა. ეს იმით აიხსნება, რომ ჩვენი სოციალისტური მშენებლობა სწრაფი ნაბიჯით ვითარდება და იგი მოითხოვს დიდძალ თანხებს. გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის მნიშვნელობა კი ამ მხრივ განსაკუთრებით დიდია.

საგლეხო სესხი სულ ასი მილიონი მანეთის რაოდენობითაა გამოშვებული. ეს თანხა სავსებით მოხმარდება ჩვენი სასოფლო მეურნეობის გაძლიერებას და მის აღორძინებას. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ როგორ ჩამორჩენილია ჩვენი სოფლის მეურნეობა, თუ როგორი მამა-პაპური ტეხნიკით მუშავდება ჩვენში მიწა, მაშინ, როდესაც კაპიტალისტურ ქვეყნებში სასოფლო მეურნეობის ასეთი ფორმები დიდი ხანია ისტორიას ჩაბარდა. ჩვენში მიწა გამოფიტულია, მას აღარ შეუძლია მოგვცეს დიდი მოსავალი. რადგან ჩვენ არა გვაქვს საშუალება დავაყენოთ სასოფლო მეურნეობა შესაფერ დონეზე. ჩვენში ჯერ კიდევ ახალი საქმეა მიწის განოყიერება სხვადასხვა ქიმიური სასუქებით. ეს არის იმის მიზეზი, რომ ჩვენში თუ განსაზღვრული მიწის ნაკვეთი იძლევა მცირე მოსავალს, იმავე ზომის მიწის ნაკვეთი კი, იმ ქვეყნებში, სადაც სასოფლო მეურნეობა განვითარებულია, იძლევა ორჯერ და ზოგჯერ, სამჯერ მეტ მოსავალს.

საბჭოთა ხელისუფლებამ ბევრი რამ გააკეთა სოფლის მეურნეობისათვის, ბევრი თანხები და საშუალებები დახარჯა მის ასაღორძინებლად, მაგრამ ყველაფერი ეს საკმაო არაა.

გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხს ორგვარი მნიშვნელობა აქვს: ერთის მხრივ მან უნდა მისცეს სოფლის მეურნეობას ახალი საშუალებები მის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, ხოლო მეორეს მხრივ ამ სესხმა უნდა გამოარკვიოს, თუ რამდენად შეგნებული აქვს ჩვენს გლეხობას თავიანთი ინტერესები და რამდენადაა დაინტერესებული იგი თავისი სახელმწიფოს ბედ-იღბალით. ამაში მდგომარეობს აღნიშნული სესხის პოლიტიკური აზრი და მნიშვნელობა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს სესხი უშუალო სარგებელს მისცემს ჩვენს გლეხობას. ყოველი ობლიგაციის პატრონი მიიღებს 6 პროც. მოგებას და გარდა ამისა მას აქვს დიდი შანსები, რომ ხვდეს მოგება. თვითეულ 30 ობლიგაციაზე დაახლოებით მოდის ერთი მოგება. მოგებათა რიცხვი დიდია, თვითეულმა ობლიგაციამ შეიძლება მოიგოს 50 მანეთიდან 1000 მანეთამდე. სესხი გამოშვებულია სამი წლის ვადით და ობლიგაციის პატრონს მისი ფული უკანვე დაუბრუნდება მოგების და პროცენტების თანდართვით 1931 წელს. სხვა სესხებთან შედარებით ამ სესხის უპირატესობა იმაშიაც მდგომარეობს, რომ ადგილობრივ ბიუჯეტში გადავა მთელი შეგროვილი თანხის ათი პროცენტი, რასაც დიდი მნიშვნელობა ექნება ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის.

ასი მილიონი მანეთის ობლიგაციებიდან, რომელიც უნდა გასაღდეს მთელ საბჭოთა კავშირში, საქართველოს მოუწია 1.800.000 მანეთის ობლიგაციები. საქართველოს პირობებში ეს თანხა არაა დიდი თანხა და მე ვფიქრობ, რომ მისი გასაღება დაუბრკოლებლივ შეიძლება მოხდეს. როგორც ცნობილია, სესხის გასაღების კამპანია უნდა დასრულდეს 28 აპრილისათვის. თუ ამ დროისათვის საქართველოში გასაღდა ყველა ობლიგაციები, მაშინ რესპუბლიკის ადგილობრივ ბიუჯეტში გადარიცხული იქნება ამ თავითვე თანახმად შემუშავებული წესისა, 180.000 მანეთი.

სესხის გასაღებაში უმთავრესი როლი უნდა ითამაშონ ჩვენი ხელისუფლების ორგანოებმა სოფლად, კოოპერატივებმა და სოფლის მშრომელმა ინტელიგენციამ, როგორიცაა მასწავლებლობა, სამკითხველოს გამგეები, ექიმები, გლეხკომები და სხვ. კულტურული ძალები.

სესხის ობლიგაციების გასასაღებლად მთელი საჭირო წინასწარი მუშაობა უკვე ჩატარებულია და ამ დღეებში შეუდგებით ობლიგაციების რეალიზაციას.

შემოსავალი სესხიდან და მოგებათა ტირაჟი

რეგულიარული შემოსავალი სესხის კუპონებიდან შეადგენს ექვს პროცენტს, რომლის მიღება ობლიგაციის მეპატრონეს შეუძლია წელიწადში ერთხელ. სხვა სესხებისგან განსხვავებით, გლეხის მეურნეობის განსამტკიცებლად გამოშვებულ სესხის ობლიგაციების კუპონებზე პროცენტების და აგრეთვე მოგებათა მისაღებათ დაწესებულია ყველაზე ხანგრძლივი ვადა. ასე მაგალითად სხვა სესხებზე პროცენტების მისაღებად დაწესებულია 3 წლის ვადა (თუ მაგ. კუპონს ვადა უთავდება 1930 წ.; პროცენტების მიღება შეიძლება 1933 წლამდი), ახალი საგლეხო სესხისათვის კი ასეთი ვადაა დაწესებული: კუპონებზე პროცენტების გადახდა და მოგებათა გაცემა იწარმოებს 1941 წ. პირველ თებერვლამდი. სესხი გამოშვებული იქნება 3 წლის ვადით -1931 წლის პირველი თებერვლისათვის იგი გადახდილი იქნება სახელმწიფოს მიერ ამ სამი წლის განმავლობაში გლეხობა პროცენტების სახით მიიღებს 18 მილიონ მანეთს (ექვს მილიონ მანეთს წლიურად).

კიდევ უფრო დიდია შემოსავალი, რომელსაც გლეხობა მიიღებს ამ სესხის მოგებებიდან. მოგებები გათამაშებული იქნება ორჯერ წელიწადში. მოგებათა გასაცემათ გადადებულია სესხის 7 პროცენტი (წლიურად). ამრიგად მოგებათა სახით, სამი წლის განმავლობაში, საბჭოთა კავშირის გლეხობა მიიღებს 21 მილიონ მანეთს.

მოგებათა პირველი გათამაშება მოხდება 1928 წლის ოქტომბერში.

სესხი განაწილებულია 40 სერიად. ამრიგად თვითეული სერიის ობლიგაცია 2 ნახ. მილიონი მანეთის ღირებულების არის გამოშვებული. სხვა მომგებიან სესხებისაგან განსხვავებით, ახალი საგლეხო სესხის მოგებათა გათამაშება მოხდება ცალ-ცალკე თვითეული სერიისათვის და არა ყველა სერიებისათვის ერთად. ეს ხდება იმ მიზნით, რომ ტირაჟი (გათამაშება), შეძლებისდაგვარად, დაახლოებულ იქნეს გლეხობასთან, უზრუნველყოფილ იქნეს გლეხობის კონტროლი ტირაჟზე და გლეხობას მიეცეს შესაძლებლობა გაეცნოს ტირაჟის ტეხნიკას. მოგებათა გათამაშება მოხდება იმ რაიონის გლეხების წარმომადგენელთა მონაწილეობით, სადაც განაწილებულია სესხის ესა თუ ის სერია.

თვითეული ობლიგაციის პატრონს შეუძლია მოიგოს 50-დან 1.000 მანეთამდე. საშუალოდ, ყოველი ოცდაათი ობლიგაციიდან, სამი წლის განმავლობაში, ერთი უსათუოდ იგებს. იმ გლეხს, რომელსაც მოგება ხვდება, შეუძლია ყოველ სახელმწიფო და კოოპერატიულ საწყობში რიგს გარეშე მიიღოს შესაფერი ღირებულების სას.-სამეურნეო მანქანა. ამ შემთხვევაში გლეხს არ ერთმევა სესხისა და მანქანის ნისიათ მიღების უფლება.

სესხის რეალიზაციის წესი

საგლეხო მეურნეობის განსამტკიცებელი სესხის რეალიზაცია იწყება დაუყოვნებლივ როგორც კი ადგილებზე მიღებული იქნება სესხის ობლიგაციები ან დროებითი მოწმობები და დამთავრებული უნდა იქნეს მიმდინარე წლის 30 აპრილისათვის.

სესხის რეალიზაცია იწარმოებს ყოველ სახელმწიფოთა და კოოპერატიულ დაწესებულებებში და ორგანიზაციებში, რომლებიც სოფლად მუშაობასთან არიან დაკავშირებული.

ობლიგაციების გაყიდვა იწარმოებს ხელდახელ. მყიდველს ფულის გადახდისთანავე მიეცემა ნამდვილი ობლიგაცია. მაგრამ, ვინაიდან შესაძლებელია, რომ ნამდვილი ობლიგაციები ყველგან ერთ დროს არ იქნება მიღებული, საკავშირო ფინანსთა სახალხო კომისარიატმა ნება დართო—ობლიგაციის შეძენის მყიდველს მისცენ სპეციალურად დამზადებული დროებითი მოწმობები, რომლებიც გამოცვლილი იქნება ნამდვილი ობლიგაციების მიღებისთანავე.

—:—

იმ თანხიდან, რა თანხის ობლიგაციებიც იქნება გასაღებული ამა თუ იმ თემში, ათი პროცენტი გადადებული იქნება ადგილობრივ ბიუჯეტში—ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო და კულტურული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. მაგრამ ამ თანხაში არ შევა იმ ობლიგაციების ღირებულება, რომლებსაც გაასაღებენ სხვადასხვა დაწესებულებები და ორგანიზაციები.

საერთაშორისო მიმოხილვა

(კვირიდან—კვირამდე)

ჩემბერლენის „ოპტიმიზმი“.—პანამერიკული კონფერენცია.—ომი ნავთის გარშემო. — გერმანიის ბურჟუაზია თავის ძალებს აერთიანებს

საჭიროდ მიგვაჩნია შევჩერდეთ ჩემბერლენის სიტყვაზე, რომლის მოკლე შინაარსი გუშინდელმა დეპეშამ გადმოგვცა. ინგლისის საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელმა ეხლანდელ საერთაშორისო მდგომარეობის პირდაპირ იდილიური სურათი დახატა. თურმე ნუ იტყვით, ინგლისი, საფრანგეთი, იტალია და გერმანია „საერთო მუშაობას აწარმოებდენ საერთაშორისო მშვიდობიანობის უზრუნველსაყოფად“,— თურმე „ამჟამად ევროპაში სუფევს უფრო მშვიდობიანი განწყობილება“, ვინემ სამი წლის წინეთ, როცა ინგლისში კონსერვატორები ჩადგენ ძალა - უფლების სათავეში.

წარმოუდგენელია სინამდვილის უფრო მეტი დამახინჯება, უფრო მეტი სიცრუე, ვინემ ის, რასაც ჩემბერლენის აღნიშნული განცხადება შეიცავს. დავასახელოთ ზოგიერთი ფაქტები, რომელნიც ევროპაში „მშვიდობიანი განწყობილების“ არსებობაზე კი არ მეტყველებენ. არამედ. პირიქით, იმაზე, რომ ომის საფრთხე და მზადება ომისათვის არასოდეს არ ყოფილა ისე ძლიერი, როგორც სწორედ დღეს.

ჩემბერლენს თავი მოაქვს იმით, ვითომ ის საყოველთაო მშვიდობიანობისათვის მუშაობს. შეიძლება ასეთი მუშაობად მას მიაჩნია საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გაწყვეტა და სისტემატიური ცდა კაპიტალისტური ქვეყნებისაგან ერთიანი ფრონტის შექმნისა მუშურ-გლეხურ რესპუბლიკის გამოსალაშქრებლად, იმ რესპუბლიკისა, რომელიც ერთად ერთი სდგას ნამდვილად მშვიდობიანობის სადარაჯოზე, ან შეიძლება ინგლისის სამშვიდობო პოლიტიკას აშკარავებს ინტერვენცია ჩინეთში და ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ აჯანყებულ აღმოსავლეთის სხვა დამონებულ ხალხების ნაციონალურ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან.

ავიღოთ ფაქტების მეორე რიგი. თვით ევროპის სახელმწიფოთა შორის ერთიერთ-დამოკიდებულება მეტად დაძაბულია. გერმანიის ტერიტორიაზე ვერსალის „ზავის“ თანახმად ჯერ კიდევ იმყოფება რამოდენიმე ათეული ათასი „მოკავშირეთა“ ჯარი (რეინის ოკუპაცია). მარტო ეს გარემოება, ყველაფერს სხვას რომ თავი დავანებოთ, შეუძლებელს ხდის გერმანია-საფრანგეთის შერიგებას, ვერსალით დამცირებული გერმანია რევანშზე ოცნებობს. ინგლის-საფრანგეთ შორის გრძელდება ბრძოლა ევროპაში ჰეგემონიისათვის. იტალია მიილტვის გაბატონდეს ბალკანეთზე და დაიპყროს საფრანგეთის კოლონიები აფრიკასა და აზიაში. საფრანგეთის იმპერიალიზმი თავის მხრივ არ სთმობს და ყოველი საშუალებით სცდილობს შეინარჩუნოს თავისი პოზიციები. ამ ნიადაგზე იქმნება პოლიტიკურ-სამხედრო კავშირები მოწინააღმდეგე მხარეთა და მათ მოკავშირეთა შორის. (იტალია-ალბანიის, საფრანგეთ-სამხრეთ სლავიის ხელშეკრულებები და სხვა). შეიარაღებული კონფლიქტების საშიშროებას ატარებს აგრეთვე გერმანია-პოლონეთის ურთიერთობა, პოლონეთ-ლიტვის დამოკიდებულება. საერთოდ მსოფლიო ომის შემდეგდროინდელი ევროპა ავსებულია ტერიტ. ეკონ. პოლიტიკურ წინააღმდეგობებით, რომელთა დაძლევა მშვიდობიანი გზით კაპიტალისტურ სისტემის არსებობის პირობებში, ცხადია, შეუძლებელია. ჩვენ აქ არ შევუდგებით ყველა ამ წინააღმდეგობათა ჩამოთვლას,—ეს ძალიან შორს წაგვიყვანდა. ნათქვამიც საკმარისია იმის ნათელსაყოფად, რომ ზღაპარია ლაპარაკი, თითქო ევროპაში „მშვიდობიანი განწყობილება“ ბატონდეს.

ამ წინააღმდეგობათა ნიადაგზე ჩვენ მოწმენი ვართ კაპიტალისტურ სახელმწიფოების შეიარაღების არა ჩვეულებრივი ზრდისა. მათ ეხლა ყავთ გაცილებით უფრო მეტი ჯარები, ვინემ 1914 წ. სამხედრო ხარჯებს ისინი სულ უფრო ადიდებენ. იმპერიალისტები ხშირად ლაყბობენ განიარაღებაზე, იწვევენ განიარაღების კონფერენციებს, მაგრამ ეს უკანასკნელნი მუდამ დამარცხებით თავდებიან, ვინაიდან განიარაღება არავის სურს. თვითეული მხარე მოწადინებულია მხოლოდ მოწინააღმდეგის დასუსტებას და საერთოდ კი ყველა ისინი ცდილობენ მასების მოტყუებას მშვიდობიანობასა და განიარაღებაზე ლაპარაკით.

ცალკე უნდა აღინიშნოს ის კონკურენცია, რომელიც წარმოებს ინგლისსა [illegible] და ამერიკას შორის, რაც კაპიტალისტურ მსოფლიოს ეხლანდელ მდგომარეობის მთავარი დამახასიათებელია. ამერიკა შეიარაღების უდიდეს გეგმას ახორციელებს, რომ თავის კაპიტალს მისცეს ფართე გასაქანი, ხელთ იგდოს გასაღების და ნედლეულის მსოფლიო ბაზრები, და ამ გზაზე ალაგოს მოწინააღმდეგენი, პირველ ყოვლისა ინგლისი. უკანასკნელი თავის მხრივ ემზადება ამერიკის შეტევის საპასუხოთ. საზღვაო კონფერენციის ჩაშლა გასულ წელს და ამერიკა-ინგლის შორის ურთიერთობის გამწვავება ბოლო დროს (სანავთო ტრესტების ომი, პანამერიკული კონფერენცია, კულიჯის და ვილბურის გამოსვლები ამერიკის სამხედრო პროგრამით და სხვა). აშკარად ხდიან. რომ სულ უფრო მწიფდება ამ ორი გიგანტის შეიარაღებული შეტაკება.

ასეთ პირობებში ჩემბერლენი გვარწმუნებს, თითქოს მშვიდობიანობის საქმეს მკვიდრ ნიადაგი ჰქონდეს ჩაყრილი, და მის უზრუნველსაყოფად მას თავი ჰქონდეს გადადებული ევროპის სხვა დიდ იმპერიალისტურ სახელმწიფოების მესვეურებთან ერთად. რა აზრი აქვს ასეთ გამოსვლას? პირველ ყოვლისა ესაა საარჩევნო მანევრი საპარლამენტო არჩევნების მოლოდინში. შემდეგ, ჩვენ საქმე გვაქვს იმ მტაცებლური პოლიტიკის და შეიარაღების დაფარვის ცდასთან, რომელსაც [illegible] ახორციელებენ. ბოლოს, ჩემბერლენის სიტყვა მიზნად ისახავს ევროპის ოთხ დიდ სახელმწიფოს ბლოკის შექმნას ამერიკის წინააღმდეგ.

როგორადაც არ უნდა იყოს, სინამდვილე იმდენად თვალმჭრელია, რომ მისი მიჩქმალვა და მშრომელთა სიფხიზლის მიძინება, რა თქმა უნდა, ფუჭი განზრახვაა.

* *

კუბის რესპუბლიკის დედა-ქალაქ გავანაში მიმდინარეობს პანამერიკული კავშირის წევრთა მორიგი კონფერენცია. ეს კავშირი, რომელიც შესდგება ჩრდილოეთ-ამერიკის შტატებისა და ამერიკის კონტინენტის დანარჩენ 20 რესპუბლიკისაგან. დაარსებულ იქნა ჩრ. ამ. შტატების მიერ. ფორმალურად კავშირის მიზანია მის წევრთა შორის ვაჭრობის განვითარება და კეთილ-მეზობლური ურთიერთობის დამყარება. მაგრამ ის მხოლოდ ქაღალდზე წერია. ნამდვილად კი პან-ამერიკული კავშირი, მისი დამაარსებელის აზრით, უნდა წარმოადგენდეს დოლარის იმპერიალიზმის იარაღს. ასედაც არის.

ჩრდილოეთ ამერიკის შტატების იმპერიალიზმი ბოლო დროს როგორც ვიცით, განსაკუთრებით აქტიური გახდა. ასეთ აქტივობას იჩენს ის ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის მიმართაც. კულიჯმა ცნობილ მიმართვაში კონგრესისადმი მთავრობის პროგრამის ერთ ერთ ძირითად მუხლად აღიარა შეჭრა ლათინურ ამერიკაში და იქ შტატების „ინტერესების უზრუნველყოფა“.

შტატების კაპიტალმა ბაზრის ძებნაში, ცხადია, პირველ ყოვლისა ლათინური ამერიკა ამოიღო მიზანში, ნიუ-იორკელი ბანკირები აქ ბლომად აბანდებენ თავის თანხებს, იძენენ ნავთის წყაროებით, კაუჩუკით და სხვა ნედლეულობით მდიდარ ადგილებს, ერთი სიტყვით ეკონომიურად და ფინანსიურად იმონებენ ამერიკის წვრილ ქვეყნებს.

უკანასკნელთა შორის სულ უფრო იზრდება უკმაყოფილება თავისი მტაცებლური მეზობლის მიმართ, მისწრაფება მისი კლანჭებისაგან განთავისუფლებისაკენ. კულიჯის მთავრობა მთელ თავის ეკონომიურ გავლენას ხმარობს ამ მოძრაობის აღსაკვეთად, ხოლო, როცა საჭიროდ მიაჩნია, უხეშ ძალასაც მიმართავს. ამ მხრივ ყველაზე უფრო საგულისხმოა დაუსრულებელი ომი, რომელიც პატარა ნიკარაგუასა და ჩრ. ამ. შტატებს შორის სწარმოებს.

ამავე დროს ლათინურ ამერიკაში ერთმანეთს სამკვდრო სასიცოცხლოდ უპირდაპირდებიან ინგლის-ჩრდ. ამერიკის ინტერესები, ბოლო დრომდე ინგლისის კაპიტალი ბატონობდა ლათინურ ამერიკის ქვეყნებში, ეხლა კი უპირატესობა ამ მხრივ შტატებმა მოიპოვეს და დოლარი ცდილობს ინგლისის კაპიტალის სავსებით განდევნას აქედან. ამიტომ გასაგებია, რომ ლონდონის მთავრობა მხარს უჭერს ჩრდილოეთ-ამერიკის წინააღმდეგ მიმართულ მოძრაობას სამხრეთ-ცენტრალურ ამერიკაში.

ასეთ პირობებში სწარმოებს გავანის კონფერენცია. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ კონფერენციაზე ამერიკის წვრილი სახელმწიფოები მტკიცედ და აშკარად გამოვიდოდენ თავის მჩაგვრელის წინააღმდეგ. მაგრამ ეს ჯერ ჯერობით არ სჩანს, თუმცა მათი საზოგადოებრივი ორგანიზაციები და პრესა ენერგიულ პროტესტს აცხადებენ სისხლის ღვრის გამო ნიკარაგუაში და საერთოდ ფარდას ხდიან ვაშინგტონ-ნიუიორკის ყაჩაღობას ამ ქვეყნების მიმართ. ეს ორგანიზაციები მოითხოვენ, რათა ამერიკის პატარა რესპუბლიკებისაგან შესდგეს ბლოკი, რომლის მიზანი იქნება მათი განთავისუფლება ჩრდილოეთ ამერიკის უღლისაგან. ამისათვის მათ უნდათ გამოიყენონ გავანის კონფერენცია.

მაგრამ შტატების მთავრობამ მიიღო ყოველი ზომები, რათა სადაო პოლიტიკური საკითხები არ იქნეს კონფერენციაზე განხილული, რათა კერძოდ ნიკარაგუას შესახებ სიტყვაც არ იქნეს დაძრული. თვით კულიჯის, კელოგის და იუზის ჩასვლას გავანაში ამ მხრივ გავლენა უნდა მოეხდინა „შეურიგებელ“ ჯგუფებზე და ჩაეჩუმებინა ისინი. კულიჯის მეცადინეობა იქითაკენაა მიმართული, რათა: 1) გასტეხოს ურჩი ელემენტები, რომელნიც ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის ქვეყნების დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან, 2) ეკონომიურად და პოლიტიკურად ეს ქვეყნები უფრო დაუმორჩილოს ჩრ. ამერიკის შტატების კაპიტალის ინტერესებს, 3) საბოლოოდ დაამარცხოს ინგლისი. ინგლისს - გავანის კონფერენცია ასეთ მიზნებს უსახავს კულიჯი რანაირიც არ უნდა იქნეს კონფერენციის ოფიციალური შედეგები. თუნდაც მან კულიჯის პროგრამა ამა თუ იმ სახით მიიღოს. აშკარაა, ბრძოლა დოლარის იმპერიალიზმის წინააღმდეგ არ შესწყდება. პირიქით, შემდეგში ის მიიღებს უფრო მკაცრ ხასიათს, რამდენადაც მასში ებმიან როგორც სამხრეთ-ცენტრალურ ამერიკის ფართე მასები, ისე ჩრდილოეთ ამერიკის შტატების მუშათა კლასი. მხოლოდ მათი გადაჭრილი რევოლუციონური ბრძოლა მოუღებს ბოლოს ნიუიორკელ მტაცებლების თავაშვებულობას.

* *

ორი უდიდეს მსოფლიო სანავთო ტრესტს-ინგლისის „როიალ-დეტჩ“-ის, და ამერიკის „სტანდარტ ოილ“-ის ომმა, რომელიც დროებით თითქო მიყუჩდა, კვლავ იფეთქა, იფეთქა, დღემდე გაუგონარი სიძლიერით.

ბრძოლა მათ შორის ძველი ამბავია. თვითეული მათგანი ისწრაფვის მსოფლიო ბაზარზე მონოპოლისტი გახდეს და მოწინააღმდეგე განდევნოს. კონფლიქტმა მათ შორის მწვავე ხასიათი მიიღო საბჭოთა ნავთის გარშემო. საქმე ის არის; რომ „სტანდარტ ოილ“-მა საბჭოთა ნავთის სინდიკატთან დასდო ხელშეკრულება ჩვენი ნავთის დიდი რაოდენობის შესყიდვის შესახებ. „სტანდარტ ოილ“-ს საბჭოთა ნავთი გააქვს აზიის, კერძოდ ინდოეთის ბაზარზე, და ის აქ სასტიკ კონკურენციას უწევს ინგლისის სანავთო კამპანიას. დეტერდინგი („როიალ დეტჩ“-ის მეთაური) „მორალისტის“ ქურქში გაეხვია. უზნეობა „მოპარულ“ (ე. ი. კაპიტალისტისაგან ოქტომბრის რევოლუციის მიერ ჩამორთმეულ) საბჭოთა ნავთის შეძენა და მით ვაჭრობაო. ყალბი ჩერვონცების მომჭრელ დეტერდინგის ამ „მორალის“ ღირებულება გამოაშკარავებულ იქნა. თვითონ დეტერდინგი ცდილობდა „სტანდარტ ოილ“-ის ზურგს უკან დაედო ხელშეკრულება ჩვენი ნავთის სინდიკატთან რომ მისთვის საზღვარგარეთ საბჭოთა ნავთის შესყიდვის და გასაღების მონოპოლიური უფლება გადაეცა; როცა ეს კომბინაცია არ მოხერხდა და ჩვენ მივაღწიეთ შეთანხმებას „სტანდარტ ოილ“-თან,—დეტერდინგს გაახსენდა „მორალიც“, „კულტურა“ და ისიც, რომ საბჭოთა ნავთი „საქურდალი“ საქონელი ყოფილა.

„სტანდარტ ოილ“-ზე დეტერდინგის „მორალურმა“ მოსაზრებამ, რა თქმა უნდა, არავითარი შთაბეჭდილება არ მოახდინა. ბრძოლას ამის შემდეგ სხვა ხასიათი მიეცა. „როიალ დეტჩ“ შეიჭრა თვით ამერიკაში, შეიძინა იქ მნიშვნელოვანი ნავთ-საცავები, რომ ამერიკის ბაზარზე გაეწია კონკურენცია „სტანდარტ ოილ“-ის პროდუქციისათვის. იმავე დროს მან ინდოეთში საგრძნობლად დასწია ნავთის ფასები— იქიდან ამერიკის ნავთის განდევნის მიზნით. ამ გარემოებამ უკიდურესობამდე გაამწვავა ამ ორ კონკურენტის დამოკიდებულება, რომელსაც აშკარა ომის ფორმა ეძლევა. „სტანდარტ ოილ“ თავის განცხადებაში ამბობს, რომ ის დეტერდინგის გამოწვევას ღებულობს და მას განადგურებით ემუქრება. ეს მუქარა რეალურ საფუძველს არ არის მოკლებული: ბრძოლის ბედს გადასწყვეტს ფინანსიური რესურსები, რომელნიც ამერიკელ კაპიტალისტებს გაცილებით მეტი გააჩნიათ, ვინემ მათ ინგლისელ მოწინააღმდეგეთ. რა თქმა უნდა, უკანასკნელნი იარაღს არ დაყრიან და ყოველ ზომას მიიღებენ მსოფლიო ნავთის ბაზრის ხელში ჩასაგდებათ.

სანავთო ტრესტების კონფლიქტი, ცხადია, არ არის მარტო მათი საქმე. ის უშუალოდ ეხება საერთოდ ორივე ქვეყნის კაპიტალიზმის ბედს. ეს კონფლიქტი თვალსაჩინო გამოხატულებაა იმ ბრძოლისა, რომელიც ინგლის-ამერიკას შორის სწარმოებს მსოფლიო ბაზარზე ბატონობისათვის, და მათი მომავალი შეიარაღებული შეტაკების წინამორბედია.

რაც შეეხება საბჭოთა ნავთს, ის სულ ახალ პოზიციებს იკავებს უცხოეთის ბაზარზე. ჩვენი ნავთის ექსპორტი იზრდება საფრანგეთში, მიუხედავად დეტერდინგის წინააღმდეგობისა. ისპანიასთან ამას წინედ დავდევით ხელშეკრულება მისთვის ნავთის მოწოდების შესახებ. თვით ინგლისში ჩვენს ნავთზე მოთხოვნილება მატულობს და იქ გვიხდება ნავთის გამყიდველ ორგანიზაციის გაფართოვება. როგორც სჩანს, დეტერდინგის ანტისაბჭოთა კამპანია იმავე საწინააღმდეგო შედეგებს იძლევა, ვინემ ამას ის მოელოდა. დეტერდინგის „მაღალი ზნეობა“ ნაკლებად მოქმედობს კარგი ღირსების და შედარებით იაფი საბჭოთა ნავთის უცხოელ მომხმარებელზე. ამიტომ გასაგებია ის უძლიერესი გაბოროტება, რომელსაც ინგლისის ნავთის „მეფე“ საბჭოთა კავშირის მიმართ იჩენს.

* *

გერმანიის საერთო რესპუბლიკანურ მთავრობის და გერმანიის ცალკე სახელმწიფოების მთავრობების თათბირმა გამოიტანა რეზოლუცია, რომელიც აღიარებს, რომ ვეიმარის კონსტიტუციაში დამაკმაყოფილებლად არ არის გადაჭრილი გერმანიის მთლიანობის და მასში შემავალ სახელმწიფოების ურთიერთობის საკითხი, ამიტომ ამ საკითხის ძირითადი საფუძველი უნდა იქნას გადასინჯული იმ აზრით, რომ შეიქმნას ძლიერი ცენტრალური სახელმწიფო ხელისუფლება.

უნდა ვიცოდეთ, რომ გერმანია საკავშირო სახელმწიფოა, რომელიც შესდგება 18 ცალკე ერთეულისაგან. ბევრი მათგანი თავისი ტერიტორიით და მოსახლეობის რაოდენობით მეტად მცირეა, მაგრამ მაინც გერმანიის ყოველ სახელმწიფოს აქვს თავისი პარლამენტი ყავს საკუთარი მთავრობა და სხვა. გერმანიის პირობებში, რომელიც ნაციონალურად ერთფეროვანია ასეთი დაქუცმაცება საშუალო საუკუნოების ნაშთია.

ამიტომ პირველ შეხედვით შეიძლება ვინმეს მოეჩვენოს, რომ ზევით მოყვანილი გადაწყვეტილება, რომელიც მიზნად ისახავს ამ პარტიკულიარიზმის შენელებას, პროგრესიული მოვლენაა. მაგრამ საქმე ის არის, რომ კაპიტალისტების ხელში ყოველი **თავის** თავად პროგრესიული ღონისძიება იქცევა რეაქციის იარაღად, მასსების დამონების საშუალებათ. ასეა ამ შემთხვევაშიც.

როგორც ვიცით, ამას წინათ გერმანიაში დაარსდა „სახელმწიფოს განახლების **კავშირი**“. კავშირში სხვადასხვა საზოგადოებრივი წრეები შედიან, მთავარ როლს კი თამაშობენ მსხვილი კაპიტალის წარმომადგენელნი. ამ კავშირმა თავის პროგრამის ძირითადი მუხლად გამოაცხადა გერმანიის სახელმწიფოებრივი ძალა-უფლების ცენტრალიზაცია და გერმანიის პრეზიდენტის უფლებების გაფართოვება. აღნიშნული თათბირის რეზოლუცია „სახელმწიფოს განახლების კავშირის“ დადგენილების ანარეკლია.

რატომ სჭირდება გერმანიის კაპიტალს ძალა-უფლების ცენტრალიზაცია? ეს კაპიტალი გაერთიანებულია მთელი რესპუბლიკის მასშტაბით, უაღრესად მონოპოლისტური ხასიათისაა. გაერთიანებული კაპიტალი მთლიანი ფრონტით აწარმოებს შეტევას მუშათა კლასზე. მისთვის აუცილებელი ხდება მძლავრი ცენტრალისტური ხელისუფლების შექმნა, რომელიც სავსებით და დაუბრკოლებლად უნდა ემსახუროს მონოპოლისტურ კაპიტალის ინტერესებს, მის ეკონომიურ პოლიტიკას, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო ასპარეზზე, და ამავე დროს მას უფრო მეტად უნდა ეხმარებოდეს პროლეტარიატის ექსპლოატაციისა და მისი რევოლუციონურ ნებისყოფის გატეხაში. აქედან ცხადია ამ ნაბიჯის რეაქციონური შინაარსი და მიზნები.

როგორია სოციალ-დემოკრატიის დამოკიდებულება მსხვილი ბურჟუაზიის პოლიტიკური გაერთიანების პროგრამისადმი? როცა 1918 წ. რევოლუციის დროს წარმოიშვა ცენტრალისტური რესპუბლიკის შექმნის იდეა მაშინ მენშევიკებმა ამის წინააღმდეგ გაილაშქრეს, ეხლა კი ისინი ამ საკითხში მხარს უჭერენ ბურჟუაზიას. „ცნობილი“ ნოსკე კიდევაც შედის „სახელმწიფოს განახლების კავშირში“. ამგვარად, მენშევიკები, როგორც ყოველთვის, ისე ამჟამადაც გამოდიან გერმანიის მონოპოლისტურ კაპიტალის და მისი იმპერიალისტური პოლიტიკის დამცველის როლში.

მუშათა კლასს და მის პარტიას, კომპარტიას კარგად ესმით ის საფრთხე, რომელსაც კაპიტალის ძალების კონსოლიდაცია უმზადებს მათ. ბურჟუაზიას და მის დამქაშ მენშევიკების ამ ცდას პროლეტარიატი დაუპირისპირებს თავის ძალების დარაზმვას გერმანიის მშრომელთა მთლიანი რესპუბლიკის დასამყარებლად.

ბ. ქ—ლი.

სოციალისტური მშენებლობა და კულტურული რევოლუცია

ამხ. კახიანის მოხსენება საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ყრილობაზე

ჩვენი სამეურნეო განვითარება

რა საკითხები განიხილა მე-15 პარტყრილობამ

ლეტარულ მწერალთა ყრილობაზე წინასწარ უნდა განვაცხადო, რომ დროის უქონლობის გამო მე არ მაქვს განზრახული ფართოდ შევეხო თემას—„სოციალისტური მშენებლობა და კულტურული რევოლუცია“, ვინაიდან ამ თემაზე ლაპარაკი შეიძლება რამდენიმე საათის განმავლობაში.

მე ვფიქრობ, რომ ჩემ მოხსენებას უფრო ექნება იმ ამოცანების გაკვრით მიმოხილვის ხასიათი, რომელთაც ამჟამად აყენებს პარტია და საბჭოთა ხელისუფლება სოციალისტური მშენებლობისა და კულტურული რევოლუციის დარგში. და აქ, რა თქმა უნდა, მდიდარ მასალას გვაძლევს ამას წინად დამთავრებული მე-15 პარტყრილობა, რომელმაც დიდი დრო დაუთმო კულტურული რევოლუციის საკითხებს. მე-15 პარტყრილობის ძირითად გადაწყვეტილებად, უწინარეს ყოვლისა, უნდა ჩაითვალოს ის, რომ მან პირველად მიიღო და განიხილა ისეთი დიდი მნიშვნელობის საკითხი, როგორიც საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმაა. ამ მოხსენებაში ჩვენ ვხედავთ ჩვენი სოციალისტური მშენებლობის ფართო სურათს. გარდა ამისა, ამავე ყრილობაზე პირველად იქნა მოსმენილი და განხილული საკითხი სოციალისტური მშენებლობის შესახებ სოფლად. რა თქმა უნდა, ჩვენ სოფლის შესახებ ბევრს ვლაპარაკობდით წინადაც, ვილაპარაკებთ მომავალშიაც. მაგრამ კონკრეტიულად საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მივუდგეთ სოციალიზმის მშენებლობას სოფლად, როგორი იქნება ეს მშენებლობა, — ყოველივე ეს მთლიანად განმარტა მე-15 პარტყრილობამ.

ბოლოს, მე-15 ყრილობამ მეტად დიდი დრო დაუთმო კულტურული რევოლუციის საკითხებს, იმის გამორკვევას, თუ როგორი უნდა იქნეს აუცილებელი წინასწარი პირობები ყველა იმ ამოცანების განსახორციელებლად ცხოვრებაში, რომელიც დასახა პარტიამ. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ყრილობაზე დასმული ყველა საკითხი დაკავშირებული იყო კულტურული რევოლუციის საკითხებთან და თვითეული რეზოლუცია ლაპარაკობდა იმის შესახებ, თუ რა უნდა გაკეთდეს ამ დარგში, რომ განხორციელდეს სოციალისტური საზოგადოების შექმნის ამოცანა საბჭოთა კავშირში.

სოციალისტურ მრეწველობის სარეკორდო ზრდა

თუ ჩვენი სამეურნეო განვითარების საკითხს შევეხებით, დავინახავთ, რომ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის დარგში მე-15 პარტყრილობის მიერ დასახულ ამოცანას დიდი წარმატებით ვახორციელებთ. ჩვენი მსხვილი, სოციალისტური მრეწველობის განვითარების ციფრები გვიჩვენებს, რომ ნამდვილად ადგილი აქვს ამ მრეწველობის პირდაპირ სარეკორდო განვითარებას.

მთელი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია მახლობელი წლების განმავლობაში მოითხოვს პირველ რიგში მძიმე ინდუსტრიის უფრო სწრაფი ტემპით განვითარებას. ლენინი კომინტერნის მე-4 კონგრესზე (1922 წ.) ამბობდა, რომ ჩვენთვის აუცილებელია მძიმე ინდუსტრიის განვითარება, ამ საქმისათვის საჭიროა რამდენიმე წლის განმავლობაში საშუალებების დაგროვება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ, როგორც ცივილიზაციური სახელმწიფო,—დავიღუპებით. სოციალისტური მრეწველობის საერთო განვითარებაში მძიმე ინდუსტრიის განვითარებას ჩვენ იმიტომ ვაქცევთ უფრო მეტ ყურადღებას, რომ ჩვენი ქვეყანა გახდეს დამოუკიდებელი კაპიტალისტური ქვეყნებისაგან. ამოცანა, რომელსაც ჩვენი პარტია ისახავს ამ დარგში, მდგომარეობს იმაში, რომ არა მარტო დავეწიოთ კაპიტალისტური ქვეყნების საწარმოო ძალების განვითარებას, არამედ გავუსწროთ კიდეც წინ. უამისოდ ჩვენ მიზანს ვერ მივაღწევთ. ამხ. ლენინი ჯერ კიდევ 1917 წ. სექტემბერში, ჩვენ მიერ ხელისუფლების დაპყრობამდე, ლაპარაკობდა, რომ დიქტატურის დამყარება ჩვენ შეგვიძლია და უნდა დავამყაროთ კიდეც და აგრეთვე უნდა დავეწიოთ მოწინავე ქვეყნებს და გავუსწროთ მათ **ეკონომიურადაც**. (ტ. 14, ნაწ. 2, გვ. 213).

სასოფლო მეურნეობის ჩამორჩენილობა.

მრეწველობა იძლევა განვითარების ტემპის სარეკორდო პროცენტს და ამას უსათუოდ დიდი კმაყოფილებით აღნიშნავს ჩვენი პარტია. რაც შეეხება სასოფლო მეურნეობას, აქ ჩვენ უკან ჩამოვრჩებით და შეიძლება მივიღოთ დაცილების მაკრატელი სასოფლო მეურნეობისა და მრეწველობის განვითარებას შორის. აქედან არ შეიძლება იმ დასკვნის გამოყვანა, რომ ჩვენ შევაჩერებთ რამდენათმე მრეწველობის განვითარებას და უფრო მეტ ყურადღებას მივაქცევთ სასოფლო მეურნეობის განვითარებას. ეს, რა თქმა უნდა, შეცდომა იქნებოდა, ვინაიდან ჩვენ ვიცით, რომ სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელი როლი უწინარეს ყოვლისა მრეწველობას ეკუთვნის. ამიტომ საჭიროა ყველა ძალების მოკრეფა, რომ უკან არ ჩამორჩეს სასოფლო მეურნეობა, საჭიროა ამ ფრონტის გამოსწორება, მაგრამ ამავე დროს ჩვენი სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელ ძალად ჩვენი მრეწველობა უნდა დარჩეს. რა ღონისძიებებს უნდა მივმართოთ, რომ გამოვიდეთ სასოფლო მეურნეობის დარგში შექმნილ მდგომარეობიდან და რატომ ხდება ის, რომ სასოფლო მეურნეობა უკან რჩება მრეწველობის განვითარების ტემპს. ეს ხდება იმიტომ, რომ ჩვენ გვაქვს ერთი მხრით სასოფლო მეურნეობის დაბალი ტეხნიკური დონე და მეორეს მხრივ სოფლის მასების მეტად დაბალი კულტურული დონე.

გლეხობის კულტურული დონე უნდა ავსწიოთ.

აქ ჩვენ ვეხებით კულტურის პრობლემას. თუ ჩვენ სოფელში არ შევიტანთ კულტურის ელემენტებს, შეუძლებელია ლაპარაკი სასოფლო მეურნეობის განვითარებასა და სოციალიზმის მშენებლობაზე სოფლად, როცა ჩვენ ვაყენებთ საკითხს იმის შესახებ, რომ საჭიროა მრავალ მილიონ დაქსაქსულ გლეხურ მეურნეობათა მაღალ საფეხურზე აყვანა და მსხვილ კოლექტიურ მეურნეობათ გარდაქმნა,—ჩვენ წინ გვხდება უმეცრება და უკულტურობა გლეხებისა, რომელთაც ეს არ ესმით.

ხოლო იმისათვის კი, რომ ისინი ჩავაბათ სოციალისტური მშენებლობის საქმეში, საჭიროა დიდი მუშაობა ამ იდეების პროპაგანდისათვის. ჩვენ ყველამ უნდა შევასრულოთ ეს ამოცანა. ამჟამად, როცა ჩვენ დავისახეთ ფართო სოციალისტური მშენებლობის ამოცანა, როცა ამ საკითხებს სამეურნეო თვალსაზრისით უდგებით,—ყველა ეს საკითხები მთლიანად უნდა დაუკავშირდეს კულტურის დიდათ ამაღლების აუცილებლობას. აი რატომაა აღნიშნული ამხ. რიკოვის მოხსენებაში, მის საბოლოო სიტყვაში და რეზოლუციაში, რომელიც ყრილობამ მიიღო სახალხო მეურნეობის შესახებ გაკეთებულ მოხსენების გამო, რომ საჭიროა დიდი ყურადღების მიქცევა კულტურის საკითხებზე, ამ საქმისათვის მეტი საშუალებების გაღება, შეიძლება—ჩვენი ბიუჯეტის გადანაწილებაც ისე, რომ სახალხო განათლებას მოხმარდეს იმაზე მეტი საშუალებები, რამდენიც, ვთქვათ მეურნეობის აღდგენას ხმარდება. ავიღოთ ჩვენი სოციალისტური მშენებლობა სოფლად.

რას ვხედავთ აქ? მე უკვე ვთქვი, რომ სასოფლო მეურნეობა უკან რჩება იმის გამო, რომ გლეხური მეურნეობები მეტისმეტად დაქსაქსული და დაქუცმაცებულია. გამოირკვა, რომ საბჭოთა კავშირში 24 მილიონი ინდივიდუალური გლეხური მეურნეობაა.

კოლექტიურ მეურნეობისაკენ

ამ მეურნეობათა მთელი უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ ისინი მეტისმეტად დაქუცმაცებული და გაფანტული არიან. აღმოჩნდა, რომ 24 მილიონ გლეხურ მეურნეობიდან ცხენი ჰყავს მხოლოდ მესამედს, ვინაიდან ცხენების ყოლაც კი ამ მეურნეობებში არახელსაყრელია და უსარგებლო, და გამოდის, რომ ცხენი სჭამს გლეხის მთელ მეურნეობას. ცხენის ყოლაც კი არ არის ხელსაყრელი ასეთ პატარა მეურნეობებში, რომ აღარაფერი ვთქვათ გუთნის ან ტრაქტორის შეძენაზე.

მსხვილ მეურნეობას კი აწარმოებენ კულაკები და შეძლებული გლეხები, ვინაიდან ხელმოკლე გლეხებს არა აქვთ საშუალება იქონიონ მსხვილი მეურ. ფაქტიურად კულაკი ამარცხებს ეკონომიურად ღარიბ და საშუალო გლეხს, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ყოველმხრივ ვეხმარებით ღარიბ და საშუალო გლეხებს, ვინაიდან გვინდა მათი დაყენებული მკვიდრ ნიადაგზე. ეს მიტომ ხდება, რომ კულაკს აქვს მსხვილი მეურნეობა, რაც არა აქვს ღარიბ და საშუალო გლეხს. ამიტომ ჩვენს წინაშე წამოიჭრა ამოცანა, რომ სოფლის მეურნეობაში მოვახდინოთ სოციალისტური რეორგანიზაცია, დაქუცმაცებული გლეხური მეურნეობები გადავიყვანოთ კოლექტიურ რელსებზე და გავაერთიანოთ ისინი მსხვილ, ძლიერ საწარმოო ერთეულებში. მაშინ ჩვენ მივიღებთ იქ ისეთსავე უპირატესობებს, როგორც ქალაქში ვღებულობთ ნაციონალიზაციაქმნილ მსხვილ მრეწველობისაგან. სოფლად ეს უპირატესობები ექნება გლეხურ მსხვილ კოლექტიურ მეურნეობებს.

ეს ამოცანა წამოყენებულ იქნა ყრილობაზე და მისი განხორციელება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩვენ კულტურის ელემენტებს შევიტანთ გლეხთა მასებში, ავსწევთ მათ კულტურულ დონეს, ამისათვის კი საჭიროა უფრო განვავითაროთ კულტურული საქმე სოფლად. მთელ რიგ ამხანაგების გამოსვლამ ამ ყრილობაზე გამოარკვია, რომ ჩვენ არ მოგვეპოვება საკმაო გლეხური ლიტერატურა, არა გვაქვს კარგად დაყენებული გაზეთები სოფლისათვის, არა გვაქვს ჟურნალებიც, რომლებიც აგრონომიულ ცოდნას აძლევდენ გლეხებს. თუ ავიღებთ საქართველოს, აქ გლეხურ ლიტერატურის, ყოველ შემთხვევაში გაზეთების, საქმე რამოდენიმედ უკეთაა, ვინაიდან გაზეთ „ახალ სოფელს“ აქვს ძლიერ დიდი ტირაჟი—55—60 ათასი, ეს მაღალი ციფრია საქართველოსათვის, მაგრამ ერთი გაზეთით ხომ არ შეიძლება ყველა კულტურულ ფუნქციების შესრულება სოფლად. თუ ავიღებთ კულტურულ ზეგავლენის სხვა კრების მდგომარეობას, ამ მხრივ საქმეს სავსებით კარგად ვერ არის.

ამ ამოცანას, კულტურულ-განმანათლებელ მუშაობის გაძლიერების ამოცანას საქართველოში ჩვენ უნდა მივაქციოთ ძლიერ დიდი ყურადღება.

ბიუროკრატიზმთან ბრძოლა.

ავიღოთ ეხლა საკითხი ბიუროკრატიზმთან ბრძოლის შესახებ. ეს ამოცანაც წამოყენებულ იქნა მე-15 ყრილობაზე ამხ. ორჯონიკიძის მოხსენებით. მის განხორციელებას მოუნდება მთელი რიგი წლები. ჩვენ ვერ შევსძლებთ დავსძლიოთ ის იარაღები, რომლებიც მოიპოვება ჩვენს აპარატში, ვერ შევსძლებთ საქმის გაუმჯობესებას და სათანადო დონეზე დაყენებას, თუ ჩვენს ბრძოლაში ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ჩაბმული არ იქნებიან ფართო მუშურ-გლეხური მასები, თუ ჩვენ აპარატს კონტროლი არ გაუწიეს მუშებმა და გლეხებმა, თუ ჩვენი პრესა სასტიკად არ შეებრძოლა ჩვენი აპარატის დეფექტებსა და ბიუროკრატიზმს.

როდესაც ისმება საკითხი იმის შესახებ, რომ საჭიროა ვამხილოთ ბოროტების ყველა მატარებელნი, რომ საჭიროა გავამათრახოთ ყოველი ბიუროკრატი, ვინც არ უნდა იყოს ის, „მიუხედავად პიროვნებისა“ (ლენინი), პრინციპიალურად თითქოს ყველა ეთანხმება ამას, მაგრამ როდესაც საქმე იქამდე მიდის, თუ როგორ უნდა შევეხოთ ამას პრესის ფურცლებზე, მაშინვე გაისმის ხმები: „ეს კარგია, მაგრამ მე არ მეხება, მას არ ეხება და სხვ.“. რისთვისღა არსებობს მაშინ პრესა, თუ არ შეიძლება ვინმეს შევეხოთ, ვინმე ვამხილოთ. იმისათვის, რომ შესრულებულ იქნას დასახული ამოცანა ბიუროკრატიზმთან ბრძოლის დარგში, საჭიროა ფართო მუშურ-გლეხურ მასების დახმარება. აი რატომ არის საზგასმული მუშათა და გლეხთა ინსპექციის მოხსენების გამო მიღებულ რეზოლუციაში. რომ ყოველივე რევიზია, და ყოველივე შემოწმება იმისა, თუ როგორ ასრულებენ ადგილობრივი საბჭოთა ორგ. პარტიის დირექტივებს. უნდა ჩატარდეს თითონ ამა თუ იმ ქარხნის ან ფაბრიკის მუშების ძალებით, მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენელი კი უნდა იყოს ინსტრუქტორი, რომელიც ეხმარება მუშებს ამ საქმეში. ეს ამოცანა, ბიუროკრატიზმის სრული დაძლევისა და აღმოფხვრის ამოცანა, შეიძლება განხორციელდეს არა ერთბაში შეტევით, ერთი დარტყმით. არამედ მხოლოდ მთელ რიგ წლების განმავლობაში და ქალაქისა და სოფლის ფართო მასების მონაწილეობით.

კულტურის საკითხები

ლენინის შეხედულება

რაც შეეხება საკითხს კულტურულ რევოლუციის შესახებ, უწინარეს ყოვლისა უნდა შევჩერდეთ იმ განსაზღვრაზე, რომელსაც იძლეოდა ლენინი რამოდენიმე წლის წინად. ის რამოდენიმე ადგილზე ლაპარაკობს ამ საკითხის შესახებ.

წერილში „ჩვენი რევოლუციის შესახებ“ ლენინი ამხილებს სუხანოვს მისი აზრის გამო, თითქოს ჩვენ არა გვაქვს წინასწარი პირობები პროლეტარულ რევოლუციისათვის, თითქოს ჩვენ არ მოვმწიფებულვართ სოციალიზმისათვის და სხვ., და ამბობს შემდეგს:

„თუ სოციალიზმის შესაქმნელად საჭიროა კულტურის განსაზღვრული დონე (თუმცა არავის არ შეუძლია სთქვას, თუ როგორია ეს „კულტურის განსაზღვრული დონე“), რატომ არ შეგვიძლია ჩვენ ჯერ რევოლუციონური გზით დავიპყროთ წინასწარი პირობები ამ განსაზღვრულ დონისათვის და უკვე შემდეგ კი, მუშურ-გლეხურ მთავრობისა და საბჭოთა წესწყობილების პირობებში, გავსწიოთ წინ, რათა დავეწიოთ სხვა ხალხებს“.

ამხანაგებო, სინამდვილეში მართლაც ასე გამოვიდა. ჩვენ ჯერ მოვახდინეთ პოლიტიკური გადატრიალება, პოლიტიკური რევოლუცია, შემდეგ მოვახდინეთ ეკონომიური რევოლუცია, ეხლა კი შევდივართ კულტურულ რევოლუციის ეპოქაში. მართალია, ამ მხრივ ჩვენ რამოდენიმედ ჩამოვრჩით, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ არ შეგვიძლია დავეწიოთ ჩვენზე წინ წასულებს. აი რატომ იყო ლენინი მართალი, როდესაც ამბობდა რომ ჯერ უნდა დავიპყროთ პოლიტიკური ხელისუფლება და შემდეგ კი ამ ნიადაგზე გავსწიოთ წინ და დავეწიოთ უფრო კულტურულ ხალხებს. მე ვფიქრობ, რომ ჩვენ აქ მივაღწევთ იმ წარმატებას, რომელზედაც არის ლაპარაკი რეზოლუციაში, ჩვენ არა თუ დავეწევით, არამედ კიდევაც გავუსწრებთ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს.

თავის შესანიშნავ წერილში „კოოპერაციის შესახებ“ ლენინი კიდევ ერთხელ უბრუნდება საკითხს კულტურულ რევოლუციის შესახებ და ამგვარად გამოსთქვამს თავის აზრს:

„უნდა ითქვას, რომ ჩვენ დაგვრჩენია „მხოლოდ“ ერთი: გავხადოთ ჩვენი მოსახლეობა იმდენად „განათლებული“, რომ მან გაიგოს, თუ რამდენად ხელსაყრელია მთელი მოსახლეობის მონაწილეობა კოოპერაციაში, და მოაწესრიგოს მონაწილეობის საქმე. „მხოლოდ“ ეს. არავითარი სხვა სიბრძნე არ არის ამჟამად საჭირო იმისათვის, რომ გადავიდეთ სოციალისტურ წესწყობილებაზე. მაგრამ იმისათვის, რომ განვახორციელოთ ეს „მხოლოდ“ საჭიროა მთელი გადატრიალება, სახალხო მასის კულტურულ განვითარების მთელი ხანა“.

და შემდეგ, წერილის ბოლოში ის ამბობს „ჩვენთვის ჩვენ მოწინააღმდეგეებს არა ერთხელ უთქვამს, რომ ჩვენ განვიზრახეთ უგუნური საქმე — უკულტურ ქვეყანაში სოციალიზმის დამყარება. მაგრამ ისინი შეცდნენ იმაში, რომ ჩვენ დავიწყეთ არა ისე, როგორც სწერია თეორიაში (ყველა პედანტების), და რომ ჩვენში პოლიტიკური და სოციალური გადატრიალება არის წინამორბედი იმ კულტურულ გადატრიალების, იმ კულტურულ რევოლუციის, რომლის წინაშე ჩვენ ვდგევართ ამჟამად.

ჩვენთვის ამჟამად საკმარისია ეს კულტურული რევოლუცია იმისათვის, რომ ჩვენი ქვეყანა იქნეს სავსებით სოციალისტური, მაგრამ ჩვენთვის ეს კულტურული რევოლუცია წარმოადგენს უდიდეს სიძნელეებს, როგორც კულტურულ ხასიათის (ვინაიდან ჩვენ წერა-კითხვის უცოდინარი ვართ), ისე მატერიალურ ხასიათის (ვინაიდან იმისათვის, რომ ვიყვეთ კულტურული, საჭიროა მატერიალური საწარმოო საშუალებათა ერთგვარი განვითარება, საჭიროა ერთგვარი მატერიალური ბაზისი“).

მეტი თანხები კულტურულ საჭიროებისათვის.

აი, ამხანაგებო, როცა ჩვენ ვსვამთ საკითხს—შეგვიძლია თუ არა ჩვენ ეხლა უშუალოდ ხელი მოვკიდოთ კულტურულ რევოლუციის საქმეს, არის თუ არა ამისათვის წინასწარი პირობები—ჩვენ ეხლავე შეგვიძლია დადებითი პასუხი გავსცეთ ამაზე. რამოდენიმე წლის წინად ეს შესაძლებლობა არ არსებობდა. არ არსებობდა იმიტომ, რომ ჩვენ უნდა გაგვევითარებია ქვეყნის საწარმოო ძალები, უნდა შეგვექმნა ბაზისი წინსვლისათვის. ყურადღებას მოითხოვდა ჩვენი მრეწველობა, რომელიც მეტად უნუგეშო მდგომარეობაში იყო. საჭირო იყო სასოფლო მეურნეობის აღდგენა. მაგრამ ეხლა, როცა ახალი ეკონომიური პოლიტიკის არსებობის 5—6 წლის განმავლობაში გავაკეთეთ ზოგიერთი რამ და სწრაფად წავწიეთ წინ, მივაღწიეთ ომის წინადროინდელ დონეს, ხოლო ზოგიერთ ადგილებში გავსცილდით კიდეც მას და გადავედით რეკონსტრუქციის და კაპიტალურ ხარჯების ხანაში—ეხლა ჩვენ თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ დროა მეტი ყურადღება მივაქციოთ კულტურულ აღმშენებლობას და ამაზე დავხარჯოთ ზოგჯერ შეიძლება მეტი საშუალებებიც, ვინემ მეურნეობის აღდგენაზე. ასე დასვა საკითხი მეხუთმეტე ყრილობაზე ამხ. რიკოვმა, როცა მან სავსებით სწორად სთქვა, რომ „ჩვენში კულტურული განვითარება მნიშვნელოვნად ჩამორჩა სამეურნეო განვითარებას და მუშების და გლეხების საარსებო დონის განვითარებას. ინდუსტრიალიზაციის განხორციელება და მეურნეობის აღორძინება შემდგომში არ შეიძლება სწარმოებდეს ქვეყნის კულტურულ დონის პარალელურ განვითარების გარეშე“.

ხოლო იმისათვის, რომ ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარებასთან პარალელურად ჩვენ შევსძლოთ კულტურულ დონის გადიდება, ამისათვის საჭიროა საშუალებები. და აქ ისმება საკითხი ბიუჯეტის შესახებ, ჩვენი ბიუჯეტის იმგვარად აგების შესახებ, რომ კულტურულ მოთხოვნილებებზე იხარჯებოდეს მეტი საშუალებები, ვინემ იხარჯებოდა აქამდის. მეხუთმეტე ყრილობაზე ამხ. ლუნაჩარსკი ჩიოდა, რომ როცა ცენტრალურმა ხელისუფლებამ დასვა საკითხი და გაატარა მასწავლებლობის მატერიალურ მდგომარეობის ერთგვარი გაუმჯობესება, ადგილებმა ამაზე გვიპასუხეს სასკოლო მშენებლობის, სკოლების ქსელის მშენებლობის პარალელურ შეჩერებით.

საქმე იმაშია, რომ მასწავლებლები რუსეთში ადგილობრივ ბიუჯეტზე არიან და რომ არ გაიზარდოს თანხები სახალხო განათლებაზე, ადგილებმა გადასწყვიტეს: რახან არის დადგენილება, ჩვენ მასწავლებლების ჯამაგირს გავადიდებთ, სკოლების ქსელს კი აღარ გავაფართოვებთ და დავრჩებით იმ დონეზე, რომელიც იყო წინად. ეს არანორმალური მოვლენაა. თუ ჩვენ არ გავაფართოვებთ სკოლების ქსელს, არ გავხსნით სკოლების დამატებით რაოდენობას, ჩვენ ვერ დავაკმაყოფილებთ მოთხოვნილებას სკოლებზე. აი ამიტომ, განათლებაზე ხარჯების გადიდებასთან ერთად, საჭიროა გამოყენებულ იქნას მოსახლეობის თვითდაბეგვრაც სასკოლო მშენებლობისათვის სოფლად.

საყურადღებო ციფრები.

ჩვენ გვაქვს ციფრები, რომლებიც ახასიათებს მდგომარეობას, როგორც საბჭოთა კავშირში საერთოდ, ისე აქ საქართველოში

თუ ავიღებთ საქართველოს, აღმოჩნდება, რომ ზოგიერთ დარგებში ჩვენ წინ ვუსწრებთ რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკას. აი, მაგალითად, რამდენი მოსწავლე მოდის მოსახლეობის 1.000 სულზე. თურმე, რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკაში მოდის 68, ეს ცოტა მეტია, ვიდრე რუმინეთში, იქ მოდის 40, საქართველოში კი მოდის 125 მოსწავლე მოსახლეობის 1000 სულზე. ამასთანავე უნდა ითქვას, რომ საქართველო თურმე რამოდენიმედ წინ უსწრებს ზოგიერთ კაპიტალისტურ ქვეყნებს. მაგალითად, საფრანგეთში მოსახლეობის 1.000 სულზე მოდის 107 მოსწავლე იტალიაში—112, შვეციაში—117, ბულგარეთში—118, საქართველოში — 125 საქართველო ჩამორჩება შემდეგ ქვეყნებს: უნგრეთს. სადაც მოსახლეობის 1.000 სულზე მოდის 133 მოსწავლე, ავსტრალიას—133, შვეიცარიას—138 მოსწავლე, ინგლისს—187 და შეერთებულ შტატებს—206 რა თქმა უნდა 206 სარეკორდო ციფრია. როგორც ხედავთ, ჩვენ მივაღწიეთ 125-ს. რაც აგრეთვე მოწმობს დიდ წინსვლას. მე არ ვიცი, როგორი მდგომარეობა იყო მენშევიკებისა და ცარიზმის დროს, მაგრამ ის ციფრები, რომლებიც მოგვაწოდა განათლების სახალხო კომისარიატმა, მოწმობენ რომ ჩვენ გვაქვს დიდი წინსვლა.

თუ ავიღებთ ხარჯებს, ე. ი. რამდენი ხარჯი მოდის სახალხო განათლებისათვის მოსახლეობის თვითეულ სულზე რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკაში და საქართველოში, მივიღებთ შემდეგ სურათს: რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკაში 1924—25 წელში დაიხარჯა 2 მან. 56 კაპ., საქართველოში—3 მან. 80 კაპ. 1926 წელში კი ადგილი აქვს ამ ხარჯების მნიშვნელოვან ზრდას.

სახალხო განათლებაზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან მენშევიკების დროს საქართველოში იხარჯებოდა 4 პროცენტი, საბჭოთა ხელისუფლების დროს კი იხარჯება 46 პროცენტი. ეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან თუ ავიღებთ ადგილობრივ ბიუჯეტს, მენშევიკების დროს იხარჯებოდა 18 პროცენტი, საბჭოთა ხელისუფლების დროს კი 24 პროცენტი. აქაც ადგილი აქვს ხარჯების ზრდას.

თუ ავიღებთ მოსახლეობის წერაკითხვის ცოდნას, მივიღებთ შემდეგ სურათს: მთელი მოსახლეობის რიცხვთან შედარებით წერაკითხვის ცოდნა გამოიხატება 36,7 პროცენტით. სხვათა შორის, უწინ წერაკითხვის მცოდნეთა პროცენტი მეტი გვქონდა ნაჩვენები, სახელდობრ—42, მაგრამ ეს იმით აიხსნება, რომ ეხლა წერაკითხვის მცოდნეთა რიცხვს ანგარიშობენ არა 8 წლის ასაკიდან, არამედ 5 წლიდან. და ამიტომ ეხლა გამოდის სულ 36 პროცენტი.

თუ ავიღებთ იქ მაზრებს, სადაც წერაკითხვის ცოდნის დონე ყველაზე უფრო მაღალია, დავინახავთ, რომ ოზურგეთის მაზრაში წერაკითხვის მცოდნეა მოსახლეობის 68 პროცენტი, ეს არის სარეკორდო ციფრი, თბილისის მაზრაში—60,5 პროცენტი, რაჭის მაზრაში—56 პროც., სენაკის — 47,8 პროც., თელავის—44 პროც. და სიღნაღის—42,8 პროც.

სხვათა შორის უნდა აღინიშნოს, რომ უწინ ყველას ისეთი წარმოდგენა ჰქონდა, რომ დასავლეთი საქართველო უფრო კულტურული და წერაკითხვის მცოდნეა, ვიდრე აღმოსავლეთი საქართველო. ეხლა სჩანს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ორი მაზრა, თელავის და სიღნაღის, წინ უსწრებს დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ მაზრებს (მაგალითად შორაპნის მაზრას). ეს მოვლენა მოწმობს, რომ აღმოსავლეთი საქართველო სწრაფი ტემპით მიიწევს წინ კულტურულ ფრონტზე და რომ აღმოსავლეთი საქართველოც იღებს მონაწილეობას სოციალისტურ აღმშენებლობის საქმეში.

რაც შეეხება სხვა მაზრებს, სადაც წერაკითხვის მცოდნეთა რიცხვი ნაკლებია, ასეთებია: დუშეთის—24 პროცენტი, ახალქალაქის—22 პროც., ახალციხის—16 პროც., ბორჩალოს—16 პროც. ეს ჩამორჩენილი მაზრებია საქართველოში, რომლებსაც შემდეგში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

აი ამხანაგებო, როგორი სურათი გვაქვს საქართველოში სახალხო განათლების დარგში.

უნდა ვებრძოლოთ უცხო იდეოლოგიურ ზავლენას.

რაც შეეხება იმას, თუ როგორ ხაზს ატარებს პარტია მხატვრულ ლიტერატურის დარგში, როგორ მუშაობას აწარმოებს იგი იდეოლოგიურ ფრონტზე, ამ მხრივ ჯერ ჯერ-ერთი, ჩვენ გვაქვს საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას მიერ 1925 წელში მიღებული სახელმძღვანელო რეზოლუცია და, ამას გარდა, ეხლა ჩვენ გვაქვს მე-15 ყრილობაზე უფრო გარკვეული ხაზი, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ გავაძლიეროთ ჩვენი მუშაობა კულტურულ რევოლუციის დარგში და ვებრძოლოთ იმ გარეშე იდეოლოგიურ გადახრებს, რომლებიც იზრდება ეხლა.

მე-15 ყრილობაზე ამხ. სტალინი ამბობდა, რომ ეს გარეშე გავლენები იზრდება, და აგრეთვე იზრდება ერთგვარი უკმაყოფილების ელემენტი საბჭოთა ხელისუფლების მიმართ. ეს იმიტომ ხდება, რომ ჩვენ ვიზრდებით, იზრდება ჩვენი მრეწველობა, სახელმწიფო ვაჭრობა, კოოპერაცია და ყველა ამ ჩვენი პოზიციების ზრდა ავიწროებს კერძო მოვაჭრეებს, წვრილ და საშუალო მოვაჭრეებს, რომლებიც იძულებული არიან თანდათან დასთმონ თავისი ადგილები. რა თქმა უნდა, ეს ელემენტები დიდ ხმაურობას სტეხენ.

ავიღოთ აგრეთვე ჩვენი საბჭოთა აპარატი. თქვენ იცით, რომ რათა გავაიაფოთ და გავამარტივოთ ეს აპარატი, ჩვენ იძულებული ვართ მოვახდინოთ არა ერთი შემცირება, ამ შემცირებაში ზოგჯერ ხვდებიან ელემენტები ინტელიგენციიდან. ეს იწვევს ერთგვარ უკმაყოფილებას და გამოდის უკმაყოფილო ელემენტების თავისებური დაკავშირება.

დამახასიათებელია, რომ ზოგჯერ ეს ელემენტები ორგანიზაციულად კავშირდებიან და დიდ აქტივობას იჩენენ. ამ ცოტა ხნის წინად ადგილი ჰქონდა ასეთ შემთხვევას: ჩვენ, ცეკას და ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტს მოგვივიდა ასეთი შინაარსის ქაღალდი: ქუთაისის წვრილმან მოვაჭრეთა კომიტეტი მიმართავს პარტიის ცეკას და ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტს და ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ მათ აწყენინეს. ეს „კომიტეტი“ გვთხოვს ჩვენ, პარტიის ცეკას, მივიღოთ ზომები იმისათვის, რომ არ აწყენინონ ვაჭრებს. რით აწყენინეს მათ? თურმე მათ იმდენ მანუფაქტურას აღარ აძლევენ, რამდენსაც უწინ აძლევდენ. ისინი ამბობენ, რომ ისინი კარგი, პატიოსანი ვაჭრები არიან, პატიოსნად ასრულებენ პარტიის ყველა დირექტივებს (სიცილი), ხოლო ვაჭრობის სახალხო კომისარიატი რწმუნებული მათ აღარ აძლევს მანუფაქტურას. და აი ქალაქ ქუთაისის წვრილმან მოვაჭრეთა კომიტეტი გვთხოვს ჩვენ მივიღოთ ზომები იმისათვის, რომ მათ მეტი მანუფაქტურა აძლიონ. ეს ძლიერ დამახასიათებელია. ეს მოასწავებს, რომ ის ფენები, რომლებიც ამ მოსამართით ჩივიან, ორგანიზაციულად შეკავშირდნენ. მაგრამ, რა თქმა უნდა, აქ არაფერი საკვირველი არ არის. თქვენ თითონ იცით, რომ მანუფაქტურა საკმაო არ არის და ჩვენ კარგად შეგვიძლია გადავსცეთ ის კოოპერაციას და სახელმწიფო ვაჭრობას და ეს ორგანოები დიდი წარმატებით დასძლევენ ამ საქმეს. მოსახლეობისათვის მანუფაქტურის მიყიდვა ყველას შეუძლია, რათ უნდა მივცეთ მანუფაქტურა წვრილმან მოვაჭრეთა კომიტეტს, თუგინდ ისინი პატიოსნად ვაჭრობდენ, როცა ჩვენ წარმატებით შეგვიძლია მივაწოდოთ ეს საქონელი მოსახლეობას კოოპერაციის და სახელმწიფო ვაჭრობის საშუალებით. მე ეს მოვიყვანე, როგორც მაგალითი, რათა მეჩვენებია, თუ რამდენ რამეს ახერხებს ეს ხალხი, როგორ მოქმედებს და ქმნის ისეთ შთაბეჭდილებას იმის შესახებ, რომ ზოგიერთი რამ თავის რიგზე ვერ არის. და ოპოზიციის სოციალური ფესვები იფარება სწორედ იმაში, რომ ის გამოხატავს ამ გაფცქვნილ ვაჭრების იდეოლოგიას, იმ ხალხის იდეოლოგიას, რომელიც ჩაჭერილია პროლეტარულ დიქტატურის მარწუხებში. არაფერი საკვირველი ამაში არ არის, ვინაიდან რამდენადაც ჩვენ ვიზრდებით, რამდენადაც მტკიცდება ჩვენს ხელში მყოფი მბრძანებელი სიმაღლეები, იმდენად იდევნებიან ყველა კერძო ელემენტები, როგორც სავაჭრო, ისე სხვა დარგებში, და ისინი ქმნიან სათანადო განწყობილებას. ამ განწყობილებას, რა თქმა უნდა, არ უნდა ავყვეთ.

პროლეტარული ხელოვნება

პროლეტმწერლობის ავტორიტეტის ზრდა

რაც შეეხება ჩვენს მუშაობას პროლეტარულ მწერლობასთან, აქ საინტერესოა ვიცოდეთ, თუ როგორი ამოცანები დავისახეთ ამ დარგში და როგორი მიღწევები გვაქვს საქართველოში ამ ფრონტზე?

მე უნდა ვთქვა, რომ, როგორც საერთოდ მთელ საბჭოთა კავშირში, ისე აქაც, საქართველოში ჩვენ გვაქვს განსაზღვრული წარმატებანი და ეხლა პროლეტარული მწერალი, მევიტყოდი, ისე როდი ფასდება, მას ისე როდი უცქერიან, როგორც უწინ, განსაკუთრებით საქართველოში ვხვდებოდით ბურჟუაზიულ მწერლების აზრს, რომ რას წარმოადგენს პროლეტარული მწერალი, ის არაფერს არ სწერს. არავითარი პროდუქცია მას არ გააჩნია, ის მხოლოდ ატარებს მწერლის სახელს და დიდი ფანტაზია უნდა ჰქონდეს კაცს, რომ წარმოიდგინოს, რომ ეს პროლეტარული როდისმე შესძლებს ჰეგემონი გახდეს ლიტერატურის დარგში.

ეხლა სურათი შეიცვალა, მდგომარეობა გამოკეთდა და ეს ბურჟუაზიული მწერალი უკვე იმას უყურებს, თუ რას იტყვის პროლეტარულ მწერალთა ყრილობა, როგორ დადგენილებებს გამოიტანს, როგორ მიღწევებს აღნიშნავს ლიტერატურის დარგში და სხვ. ყოველივე ეს უკვე მოწმობს იმას, რომ ჩვენ თანდათან ვახორციელებთ იმ ამოცანას, რომელიც დასახა პარტიამ. ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ნაკლი არა გვაქვს. სწორედ დღეს მე მინდა უფრო ვილაპარაკო ჩვენს დეფექტებზე და არა ჩვენს მიღწევებზე, ვინაიდან მიღწევებს ყველა ხედავს, ისინი განმტკიცებულია და მათ ვერავინ ვერ წაგვართმევს. რაც შეეხება დეფექტებს. ისინი რაც შეიძლება უფრო ხშირად გამოვააშკარაოთ, რაც შეიძლება უფრო ხშირად გავამათრახოთ, რათა ისინი შემდეგში აღარ განმეორდეს.

ნაციონალისტური გადახრის წინააღმდეგ

მე უნდა ვთქვა, რომ ისეთ ქვეყანაში, როგორც საქართველოა, უფრო უნდა გვეშინოდეს ნაციონალისტური განწყობილებების, რომ ეს განწყობილებები არ შეიპაროს პროლეტარულ ლიტერატურაში, ვინაიდან ეს სრულებით არ ვარგა. მე ერთ კრებაზე, მგონი კომკავშირის კრებაზე, შევეხე ზოგიერთ ჩვენ პროლეტარულ მწერლებს, რომლებიც აჰყვენ ნაციონალისტურ განწყობილებას და ისე სწერენ, როგორც შეუძლია სწეროს საერთოდ ყოველმა ნაციონალისტმა მწერალმა. მე დავასახელე კარლო კალაძე და მაშაშვილი, ჩვენი ახალგაზრდა, საკმაოდ ნიჭიერი პოეტები. აი სწორედ ეს კარლო კალაძე სწერდა, რომ საჭიროა საქართველოში გადმოვასახლოთ ფერეიდანელი ქართველები. სადღაც სპარსეთში სცხოვრობენ ქართველები, რომლებიც დიდი ხანია აქედან გადასახლდენ. და აი პროლეტარული მწერალი ვერ პოულობს სხვა თემას, გარდა იმისა, რომ მიმართოს მათ და მოიწვიოს ისინი საქართველოში. ამ ლექსს აქვს ასეთი მყვირალა სათაური „ძახილი აღმოსავლეთს“. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ პროლეტარული მწერალი მიმართავს აღმოსავლეთის ჩაგრულ მასებს, მიმართავს ჩინეთის მუშათა და გლეხთა მასებს და გვიხატავს ჩინეთის რევოლუციას. ეს იქნებოდა სავსებით შეხამებული ჩვენი რევოლუციის მოტივებთან, მაგრამ რატომღაც კარლო კალაძემ ამოირჩია სულ სხვა თემა. ის მიმართავს ფერეიდნელ ქართველებს, ვინაიდან ეს ხალხი, როგორც ის თითონ გვიხსნის, „სისხლით და ნათესაობით“ ქართველებია. ეს ამხანაგებო უკვე ნაციონალისტური გადახრაა, რომელიც სრულებით არ შეშვენის პროლეტარულ მწერალს.

მეორე ადგილას, მეორე მწერალმა, არა პროლეტარულმა, არამედ ბურჟუაზიულმა ნაციონალისტურად განწყობილმა პოეტმა პაოლო **იაშვილმა**, როგორც სჩანს იმ მიზნით, რომ ესიამოვნებინა ჩვენი მთავრობისათვის, სთქვა, რომ საჭიროა ლაზისტანში შექმნას ალმასკომი და თავმჯდომარედ იქ იყოს ფილიპე მახარაძეთ. რა თქმა უნდა, ძალიან კარგია, რომ ყველგან ალმასკომის თავმჯდომარედ ვხედავდეთ ფილიპე მახარაძეს, მაგრამ საქმე იმაშია, რომ იაშვილმა ეს ფრაზა მიტომ წამოისროლა, რომ სურს ცოტათი გააფართოოს საქართველოს საზღვრები, რაზედაც ის და მისი მეგობრები უწინაც ოცნებობდენ—ცარიზმისა და მენშევიზმის ხანაში. ასეთმა ნაციონალიზმმა ბუნებრივად იჩინა თავი იაშვილის სიტყვებში და ის გაიმეორა კარლო კალაძემ (ხმა ადგილიდან—პირიქით, იაშვილმა გაიმეორა კალაძე). მით უარესი. ერთი სიტყვით, ამით საქმე არ უმჯობესდება. საერთოდ გამოდის, რომ ორივე კარგია.

ეხლა, ამ ყრილობაზე მე წავიკითხავ რამოდენიმე ლექსს, რომლებშიაც ადგილი აქვს „გადახრას“. მაგალითად „თბილისი“.

„და თუ თბილისის სიყვარულმა ბევრი მოდალა
მშობლიურ მიწის რაინდებთან ვდგები მხარდამხარ!...
ჩვენ მასთან ერთად ვწამებულვართ,—
სისხლით და ხორცით,
მასთანვე იყო, თუ ოდესმე გაგვიხარია...
თბილისო მოვალთ,—და ერთმანეთს უამბოთ ისევ
თუ რაოდენი მწუხარება დაგვიმარხია“.

კ. კალაძე. თბილისი (რჩეული ლექსები. სახელგამი. გვ. 63-65).

აქ ისევ ლაპარაკია იმაზე, რომ უნდა დავუბრუნდეთ მშობლიურ მიწას და მხარში ამოუდგეთ წარსულის რაინდებს. აქ ისეთი რამეებია, რომლებსაც არაფერი არა აქვს საერთო პროლეტარულ პოეზიასთან.

აი **მაშაშვილის** ლექსი—„გარდატეხა“.

„ქუჩათ ხეტიალს დავეჩვიე მე უბედური,
სამშობლო მიწა და სახლ-კარი ჩემთვის არ არის..
ბევრი დამცინის, ბევრი მაქებს, ბევრი მემდურის,
რადგან ეს გული შავია, ვით ლანდი სამარის“...

(ალიო მაშაშვილი. გარდატეხა, ლექსები. სახელგამი. გვ. 63)

ხომ ხედავთ, როგორი პესიმისტური განწყობილებით არის შეპყრობილი ეს ახალგაზრდა პროლეტარული მწერალი და სრულიად უადგილოდ. მას არ გააჩნია არც მშობლიური მიწა, არც კერა და დადის ასეთი ხვედრით შეპყრობილი. (ხმა ადგილიდან: მაშაშვილი—როდის არის ეს დაწერილი). ეს რა თქმა უნდა, მე მიტომ კი არ მომყავს, რომ გავლანძღო ამხ. მაშაშვილი. მე იმას ვაფასებ, როგორც პროლეტარულ მწერალს, მაგრამ ვამბობ, რომ ასეთი შეცდომები უნდა გამოსწორდეს.

აი მაგალითად თქვენ კიდევ სწერთ:

თქვენ, პოეტებო, თუ სწერთ ქართულად,
თუ გსურთ რეკავდეს სიტყვა ქართული,
იმის წაქცევას ვერვინ გაბედავს
ის ურყევია, ვით საქართველო.

ლექსები, გვ. 73).

პროლეტარულ პოეტის ასეთი „მდიდარი“ ლექსიკონი და ასეთი სტილი შეუძლებელია ვინმეს შეშურდეს: ქართველი, ქართულად, საქართველო და შემდეგ კი არავითარი სახეები, არავითარი პერსპექტივები...

ახალგაზრდობას ამ ლექსების წაკითხვა სწყინს, მაგრამ ავიღოთ ცოტა უფროსი ხალხი, ვინაიდან ისინი ფიქრობენ, რომ უცოდველი არიან. არსებობს ასეთი პოეტი—**ქუთათელაძე—სამსონიძე**. ის რატომღაც სწერს „შავ ლექსს“. (სამსონიძე: ეს ლექსი მე ციხეში დავსწერე).

სადაც არ უნდა იყოს დაწერილი—უვარგისია. მით უმეტეს ცარიზმის დროს, თუ თქვენ იყავით ზეაღმავალ პროლეტარულ კლასის წარმომადგენელი, თქვენ არ უნდა დაგეწერათ, რომ თქვენთვის სამარე მოემზადებიათ. ჩვენ სამარეს ვამზადებთ ბურჟუაზიისათვის, ამ ლექსში კი არის გულგატეხილობა და პესიმიზმი, რაც არ შეშვენის მებრძოლ პროლეტარულ პოეტს.

ეხლა უკანასკნელი ლექსი—ეს ეხება **სანდრო ეულს**. ის სწერს „ოქტომბრის მარშს“ და აი ასე ამთავრებს:

„და შევღებოთ
ცეცხლის ფერით
ყველაფერი!
ერთი, ორი!
ერთი, ორი!
თანასწორი—
ყოფნა ერთად
გწამდეთ ღმერთად!“

(სანდრო ეული. ოქტომბრის მარში. ლექსები. სახელგამი. გვ. 22).

ამხ. ეულს სრულებით არ უყვარს ღმერთი, ის ანტირელიგიურად განწყობილი კაცია, მაგრამ როდესაც სწერს „ოქტომბრის მარშს“, ის რატომღაც ფიქრობს, რომ ღმერთთან უფრო უნდა იყოს დაახლოებული.

არც ფორმით, არც შინაარსით ასეთ ნაწარმოებების გამართლება არ შეიძლება, არამედ უნდა შევეცადოთ, რომ რაც შეიძლება მალე მოვკვეთოთ ასეთი მოვლენები ჩვენს პროლეტარულ ლიტერატურაში.

პროლეტარიატის დიქტატურა და ნაციონალური კულტურა

როცა მე ვლაპარაკობ იმის შესახებ, რომ ჩვენ უნდა ვებრძოლოთ ნაციონალისტურ განწყობილებას და მიმდინარეობებს და უნდა გავაძლიეროთ ჩვენი პოზიციები ინტერნაციონალიზმისათვის ბრძოლაში, ვინაიდან აქ არის მენშევიზმის, მუსავატიზმის და დაშნაკების წყეული მემკვიდრეობა,—ამით მე სრულიადაც არ მინდა ვსთქვა, რომ ჩვენთვის არ არის საჭირო ეროვნული კულტურის განვითარება. არიან ზოგიერთი, ეგრედწოდებული „მემარცხენეები“, რომლებიც სთვლიან, რომ ნაციონალური კულტურის განვითარების ლოზუნგი ლენინიზმის უარყოფაა, თქვენ გახსოვთ, რომ ჩვენ გვყავდა ვარდინი, რომელიც არქი-მემარცხენედ ითვლებოდა ლიტერატურაში და პარტიაშიც მან დააკანონა თავისი „მემარცხენეობა“, მოექცა რა პარტიის გარეშე. ის არა ერთხელ ამტკიცებდა, რომ ეროვნული კულტურის ლოზუნგი—თავიდან ბოლომდე რეაქციონური ლოზუნგია, რომ ეროვნულ კულტურის შესახებ ლაპარაკი საბჭოთა ხელისუფლების დროს დაუშვებელია, ვინაიდან ეს ლენინიზმის უარყოფაა. სწორედ ესვე განიმეორა ჩვენმა ნაცნობმა ვაგანიანმა, რომელმაც დასწერა სპეციალური წიგნი „ეროვნულ კულტურის“ შესახებ, რომელშიაც ის ილაშქრებს სტალინის წინააღმდეგ და ამბობს, რომ ეროვნულ კულტურის ლოზუნგი ნასესხებია მენშევიკებისაგან, ოტო ბაუერისა და ნოე ჟორდანიასაგან.

მართალია თუ არა ეს? რასაკვირველია, ეს სრულებით არ არის მართალი. როცა წინად ლენინი გამოდიოდა ამ ლოზუნგის წინააღმდეგ, მას მხედველობაში ჰქონდა სრულიად სხვა პირობები, როცა ერები ვითარდებოდენ ბურჟუაზიის ხელმძღვანელობის ქვეშ. ეროვნულ კულტურაზე ლაპარაკი მაშინ ნიშნავდა მემამულეების, ხუცების, ბურჟუაზიის კულტურაზე ლაპარაკს. ჩვენს პირობებში კი ეროვნულ კულტურაზე ლაპარაკი ნიშნავს იმ მუშების და გლეხების კულტურაზე ლაპარაკს, რომელთაც ხელმძღვანელობს მუშათა კლასის ავანგარდი—კომუნისტური პარტია.

პირობები ძირეულად შეიცვალა, ეს ზოგიერთებს არ ესმით და ამიტომ წინააღმდეგობებში ვარდებიან.

აღმოსავლეთის მშრომელთა უნივერსიტეტში წარმოთქმულ სიტყვაში ამხ. სტალინმა შემდეგნაირად დაახასიათა ეროვნული კულტურა:

„რა არის ეროვნული კულტურა? როგორ უნდა შევათავსოთ ის პროლეტარულ დიქტატურასთან? განა ლენინი ჯერ კიდევ ომამდის არ ამბობდა, რომ ჩვენ გვაქვს ორი კულტურა—ბურჟუაზიული და სოციალისტური, რომ ეროვნულ კულტურის ლოზუნგი არის ბურჟუაზიის რეაქციონური ლოზუნგი, რომლის მიზანია მშრომელთა შეგნების მოწამვლა ნაციონალიზმის შხამით? როგორ უნდა შევათავსოთ ნაციონალურ კულტურის შენება, სკოლების და კურსების განვითარება მშობლიურ ენაზე და ადგილობრივ ხალხისაგან კადრების მომზადება სოციალიზმის აღმშენებლობასთან, პროლეტარული კულტურის აღმშენებლობასთან? არის თუ არა აქ რაიმე გარდაუვალი წინააღმდეგობა? რასაკვირველია, არა. ჩვენ ვაშენებთ პროლეტარულ კულტურას. ეს სავსებით მართალია. მაგრამ მართალია აგრეთვე ისიც, რომ პროლეტარული კულტურა, სოციალისტური თავისი შინაარსით, სოციალისტურ აღმშენებლობაში მონაწილე სხვადასხვა ერებში ღებულობს გამოთქმის სხვადასხვა ფორმებს და საშუალებებს ენის და ყოფა-ცხოვრების სხვადასხვაობის მიხედვით და სხ.. პროლეტარული თავისი შინაარსით, ნაციონალური ფორმით,—ასეთია ის საერთო საკაცობრიო კულტურა, რომლისკენაც მიდის სოციალიზმი. პროლეტარული დიქტატურა არ სპობს ეროვნულ კულტურას, არამედ შინაარსს აძლევს მას. და პირიქით, ეროვნული კულტურა არ სპობს პროლეტარულ კულტურას, არამედ ფორმას აძლევს მას. ეროვნული კულტურის ლოზუნგი იყო ბურჟუაზიული ლოზუნგი, სანამ ხელისუფლების სათავეში იდგა ბურჟუაზია, ხოლო ერის კონსოლიდაცია ხდებოდა ბურჟუაზიულ წესწყობილების პირობებში. ეროვნულ კულტურის ლოზუნგი პროლეტარული ლოზუნგი გახდა, როცა ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა პროლეტარიატი და ერის კონსოლიდაცია ხდება საბჭოთა წესწყობილების პირობებში. ვისაც არ ესმის ეს პრინციპიალური განსხვავება ორ სხვადასხვა მდგომარეობას შორის, ის ვერასოდეს ვერ გაიგებს ვერც ლენინიზმს, ვერც ეროვნულ საკითხის ბუნებას ლენინიზმის თვალსაზრისით“.

აი რას ამბობდა ამხ. სტალინი ჯერ კიდევ 25 წელში. ის იძულებული გახდა კვლავ დაბრუნებოდა ამ საკითხს დისკუსიის დროს, როცა ოპოზიციამ ასტეხა ხმაური ეროვნული კულტურის საკითხის გარშემო.

ცეკას აგვისტოს პლენუმზე ზინოვიევმა გაკვრით სთქვა, რომ თუმცა ის არ ეთანხმება ვაგანიანს სავსებით, მაგრამ იმავე დროს სცნობს, რომ ვაგანიანი უფრო მართალია, ვინემ ყველა ისინი, რომლებიც იცავენ ეროვნულ კულტურის ლოზუნგებს. ამხ. სტალინმა კვლავ გარკვევით განსაზღვრა ეროვნული კულტურის ცნება: „ბურჟუაზიის ბატონობის ეპოქაში ეროვნულ კულტურის ლოზუნგს ჩვენ ბურჟუაზიულ ლოზუნგათ ვსთვლით. რატომ? იმიტომ, რომ ეროვნულ კულტურის ლოზუნგი ბურჟუაზიის ბატონობის ხანაში ნიშნავს ეროვნებათა მშრომელ მასების სულიერ დამორჩილებას ბურჟუაზიის ხელმძღვანელობისათვის, მისი ბატონობისათვის, მისი დიქტატურისათვის. პროლეტარიატის ხელში ძალაუფლების გადასვლის შემდეგ ჩვენ წამოვაყენეთ საბჭოთა კავშირის ერების ნაციონალურ კულტურის **საბჭოების ნიადაგზე** განვითარების ლოზუნგი. რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს, რომ ჩვენ საბჭოთა კავშირის ერების ნაციონალურ კულტურის განვითარებას უთანხმებთ სოციალიზმის ინტერესებს და მოთხოვნილებებს, პროლეტარული დიქტატურის ინტერესებს და მოთხოვნილებებს, საბჭოთა კავშირის ეროვნებათა მშრომელების ინტერესებს და მოთხოვნილებებს. ნიშნავს თუ არა ეს, რომ ჩვენ ეროვნული კულტურის წინააღმდეგი ვართ საერთოდ? არა, არ ნიშნავს. ეს ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ ჩვენ ეხლა მხარს უჭერთ საბჭოთა კავშირის ერების ნაციონალურ კულტურის განვითარებას, ეროვნული ენის, სკოლის, ბეჭდვითი სიტყვის და სხვ. განვითარებას **საბჭოების ნიადაგზე**. რას ნიშნავს „**საბჭოების ნიადაგზე?**“ ეს ნიშნავს, რომ **თავისი შინაარსით** საბჭოთა კავშირის ეროვნებათა კულტურა უნდა იქნეს ყველა მშრომელთათვის საერთო კულტურა, სოციალისტური კულტურა, თავისი ფორმით კი ის არის და იქნება არა ერთნაირი კულტურა საბჭოთა კავშირის ყველა ეროვნებათათვის, იქნება ნაციონალური კულტურა, სხვადასხვა კულტურა საბჭოთა კავშირის ეროვნებათათვის სხვადასხვა ენისა და ეროვნულ თავისებურებათა მიხედვით“. (სტალინი. „ოპოზიციის „განცხადების“ შესახებ“ 8 აგვისტო, 1927 წ.).

აი, ამხანაგებო ის, რაც მოცემულია აქ ნაციონალური კულტურის განსაზღვრისათვის და რასაც ვერაფერს ვერ დაუმატებ. და ის ხალხი, რომელიც უარყოფს ნაციონალური კულტურის მნიშვნელობას, აშკარად ეწინააღმდეგება ლენინიზმის საფუძვლებს და სდგება კოლონიზატორობისა და დიდმპყრობელობის გზაზე. ისე მოხდა, რომ ვაგანიანი და ვარდინი, რომლებიც უარყოფდენ ნაციონალურ კულტურას, აღმოჩნდენ უპრინციპო ბლოკში იმ ქართველ უკლონისტებთან, რომლებიც ადგილობრივი ნაციონალიზმის სულ სხვა უკიდურესობაში ვარდებიან.

ჩვენი კურსის დამახინჯება

მაგრამ ცხოვრებაში ჩვენი ნაციონალური პოლიტიკის გატარების დროს ნაციონალური კულტურის დარგშიც ხშირად აქვს ადგილი ნაციონალურ გადამახინჯებას, რის წინააღმდეგაც აუცილებელია დაუზოგველი და სერიოზული ბრძოლა. ბევრი ფიქრობს, რომ ემსახურება ნაციონალურ კულტურას, ნამდვილად კი გვაწვდიან წმინდა წყლის ნაციონალიზმს. ერთია ნაციონალური კულტურა, რომელიც ფორმისა და ენის მიხედვით უნდა იყოს ნაციონალური, ხოლო შინაარსით—პროლეტარული, სულ სხვაა ნაციონალისტური თაიგული, რომელსაც ნაციონალური კულტურის სახით გვაწვდიან. აქ, ამ მხრივ, შეიძლებოდა რამდენიმე მაგალითის მოყვანა, თუ როგორ ცდილობენ ამ ნაციონალიზმის გასაღებას სცენიდან. ავიღოთ ოპერის საკითხი.

ოპერა უნდა ემსახურებოდეს მშრომელი მასების მოთხოვნილებებსა და ინტერესებს. ჩვენ ვცდილობთ, რომ საქართველოში განვავითაროთ ნაციონალური ოპერა. საჭიროა, რომ ქართულ ენაზე იყოს ოპერები, ეს არ ეწინააღმდეგება კომუნიზმს, კარგია, თუ ისეთ ხალხს, როგორიც ქართველებია, აქვს საკუთარი ოპერა, რაც ზოგიერთ დიდათ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებსაც კი არ აქვთ.

მაგრამ როცა ქართულ ოპერაში უსათუოდ გამოყავთ მეფეები, ბერები და მონაზვნები და ეს ალტაცებას იწვევს, უნდა ითქვას, რომ ეს არაფერს არ გავს. ამას წინად, მაგალითად, დასდგეს „ლეილა“, რომელშიაც მეფის გამოჩენა სცენაზე, თურმე, აღტაცებას ჰგვრის იმ ხალხს, რომელთაც საკუთარი ნერვების გაღიზიანება სურთ. ეს არის გადამახინჯება და ასეთი გადამახინჯების წინააღმდეგ უნდა ვიბრძოლოთ.

მშენებლობის სტილი

შემდეგ ავიღოთ ასეთი რამ, როგორც მაგალითად, ჩვენი შენობების სტილია. რატომღაც მიღებულია, რომ თუ კი სახლი შენდება, უსათუოდ საჭიროა ქართული სტილის დაცვა. ფიქრობენ, რომ ეს უფრო ესიამოვნება საბჭოთა მთავრობას და საჭიროა თუ არაა საჭირო იგონებენ ქართულ სტილს, რაღაც თაღებს ვიწრო ფანჯრებით, თითქოს ეკლესიას აშენებდენ. თურმე ეს სტილი არის ძველებური, ძველი საყდრებიდან გადმოღებული. ძველად ეკლესიები წარმოადგენდა ისეთ ადგილებს, სადაც ხანდახან თავს იცავდენ მტრის თავდასხმისაგან და ამიტომ საჭირო იყო ისეთი ვიწრო სიმაგრეების აშენება, რომლებიც გამოდგებოდა თავშესაფარად. ამ პირობების და მიხედვით შეიქმნა ასეთი სტილი. მაგრამ რატომ გვჭირდება საბჭოთა ხელისუფლების დროს დამალვა ასეთ ვიწრო შენობებში მე სრულიად ვერ გამიგია (ტაში). რატომაა საჭირო ჩვენ პროლეტარულ ლენინის რაიონში კინოს შენობის აგება სწორედ ასეთი სტილით ან ტრამვაის მუშებისათვის სახლის აშენება ისეთი ჩუქურთმებით, რომელიც „აბესალომ და ეთერი“ს დეკორაციებს მოგვაგონებს,—მე არ მესმის. ალბათ ინჟინრები და ხუროთმოძღვრები, რომლებიც ასეთი სტილით აგებენ შენობებს, ფიქრობენ, რომ ამით სარგებლობა მოაქვთ საბჭოთა ხელისუფლებისათვის, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, საჭიროა ამ ხალხის ცოტა შეხურება, რომ შემდეგში არ წარმოგვიდგინონ ასეთი გეგმები.

თეატრი

გადავიდეთ თეატრზე, სადაც ჩვენ აგრეთვე ბევრი რაიმეს გაკეთება მოგვიხდება. სამწუხაროდ თეატრი ჯერ კიდევ მჭიდროდ ვერ დაუახლოვდა იმას, რაც ჩვენ გვჭირდება. მე ვლაპარაკობ, კერძოდ ქართულ თეატრზე. ჩვენ გვაქვს თითქმის ერთად-ერთი თეატრი, რომელიც უნდა ემსახურებოდეს მოსახლეობის ყველა ფენებს და პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, მშრომელთა ინტერესებს,—ესაა რუსთაველის თეატრი.

უნდა ითქვას, რომ მიუხედავად ერთგვარი გარდატეხისა ამ თეატრში, მარცხნივ გადახრისა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ვაიძულეთ მოეხდინა ეს გარდატეხა, ამ უკანასკნელ დროს ის გადიხარა არა სწორი მიმართულებით და იმ შერჩეულ რეპერტუართან ერთად, რომელიც თეატრს აქვს, ის სდგამს სრულიად მიუღებელ პიესებს. (სამსონიძე: იქ არავითარი პიესები არაა).

ამხ. სამსონიძე, არ შეიძლება ასეთი განცხადებით გამოსვლა, არ შეიძლება ასე გადაჭარბება. თქვენი განცხადება მე მაგონებს ეულის წინადადებას იმის შესახებ, რომ საჭიროა საოპერო თეატრის დაწვა. (ეული: მე ეს ვსთქვი არა პირდაპირი აზრით). პირდაპირი თუ არ პირდაპირი აზრით, მე ეს არ ვიცი, მაგრამ ეს ის არაა, რაც ჩვენ გვჭირდება. არაა საჭირო გაზვიადებით გატაცება. როცა ჩვენ რეპერტუარის ნაკლზე ვლაპარაკობთ, ისეთ დასკვნას ნუ გამოვიყვანთ, როგორიც სამსონიძეს გამოყავს, როცა ლაპარაკობს, რომ რეპერტუარი არაფრად არ ვარგა, არავითარი პიესები არაა. საჭიროა ზომიერების დაცვა და შეცდომაა ასეთი გაზვიადება. არ უნდა გეწყინოთ, თუ რომელიმე თქვენგანის პიესა არ დაიდგა და ამიტომ არ უნდა ილაპარაკოთ, რომ ყველაფერი უვარგისია. პროლეტარულ მწერალთა ყრილობაზე შეიძლება ითქვას, რომ ასეთ ცოდვას ადგილი აქვს: თუ ვინმემ დასწერა პიესა და ის არ დასდგეს, ავტორი უკვე ლაპარაკობს, რომ პიესები არ ვარგა. ალბათ, საჭიროა განსაზღვრული დრო, რომ გაჩნდეს რეპერტუარი.

ეხლა ყველა „რღვევა“-ზე („რაზლომ“) ლაპარაკობს. ასეთი დახვეწილი პიესა წინად არ ყოფილა და აი მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციის მე-10 წლის თავზე ჩნდება ასეთი პიესები. შეიძლება ხუთი წლის შემდეგ სამსონიძემ დასწეროს ასეთი პიესა. (სამსონიძე: უკვე არის. მე დავსწერე და გადმოგცეთ თქვენ).

უსათუოდ საჭიროა, რომ აქ არ გავაზვიადოთ და არ მოვითხოვოთ ის, რისი განხორციელებაც შეუძლებელია. მოსკოვში მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციის მეათე წლისთავზე გაჩნდა ისეთი იდეოლოგიურად დახვეწილი პიესები, როგორიცაა „ჯავშნიანი მატარებელი“, „რღვევა“ და „ამბოხება“. რა თქმა უნდა, ეს ძალიან დიდი მიღწევაა და ეს იმას მოწმობს, რომ რუსეთში თეატრები გასაბჭოებულია, რომ მათ პირი იბრუნეს მასიურ მაყურებლისაკენ და ამჟამად აქვთ ოქტომბრის რევოლუციის შესაფერი რეპერტუარი.

სამწუხაროდ ჩვენში ასე არაა. ჩვენ არა გვაქვს ისეთი ორიგინალური მასიური პიესები, რომლებიც გამოხატავდენ სამოქალაქო ომის ხანას, ასეთ პიესებს თქვენ ვერსად ვერ ნახავთ და თუ პროლეტარული მწერლები სწერენ პიესებს,—ისინი სუსტია. მე უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენთან წინადაც მოსჩქონდათ პიესები, ჩვენ მათ ვათვალიერებდით და ვნახულობდით, რომ ისინი სრულიად მიუღებელი იყო, ყოველივე ეს ის არ იყო, რაც ჩვენ გვინდა.

რუსთაველის თეატრის შესახებ უნდა ვთქვა, რომ იქ გვიმასპინძლდებიან სრულიად მიუღებელი პიესებით. სარეპერტუარო კომიტეტი იძულებული გახდა მოეხსნა პიესა „ამერიკელი ძიას გასაბჭოება“. რატომ მოხსნა მან ეს პიესა? თითქოს რეპრესიული, ადმინისტრატიული ზომები მიუღებელია კულტურულ ფრონტზე. მაგრამ ეს ზომები ზოგჯერ საჭირო ხდება, როდესაც ეს ხალხი ყოველგვარ საზღვარს გადადის. „ამერიკელ ძიას გასაბჭოება“ ეს არის საბჭოთა ხელისუფლების აბუჩად აგდება, პაროდია. მალე შვიდი წელი სრულდება, რაც საბჭოთა რევოლუცია მოხდა საქართველოში და ამის შემდეგ, რომ საქართველოს სოფელში ვერაფერი დაინახო გარდა ისეთ ტიპებისა, როგორიც კომბალაა, რომელიც დაათრევს პორტფელს და სასაცილო შთაბეჭდილებას სტოვებს, ეს იმას ნიშნავს, რომ ორივე თვალით ბრმა იყო. ჩვენ ვამბობთ, რომ რაკი შენ ბრმა ხარ, შენ ჭკუა უნდა გასწავლოთ. აი რატომ მოხსნა სარეპერტუარო კომიტეტმა ეს პიესა. ან აიღეთ მეორე პიესა: „ამერიკელი ძია“, რომელსაც ბევრი ანშლაგები ჰქონდა და დიდ შემოსავალს იძლევა. გამოდის, რომ თითქოს კინტოს ტიპის განვითარებას ხელი ეწყობა საქართველოში. ამ პიესაში ამბობენ ისეთ რამეებს, მღერიან ისეთ კუპლეტებს, რომლებიც სრულებით არ შეეფერება ეხლანდელ მომენტს. მაგალითად კუპლეტები ფოქსტროტის ან კინტოურის შესახებ.

რა თქმა უნდა, ფოქსტროტი—გახმაურებული ცეკვაა და ჩვენშიაც არის ასეთი გადახრა ფოქსტროტისაკენ. დემიან ბედნი კარგად სწერს ამის შესახებ, რომ ეს გადახრა უნდა განიდევნოს. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მის მაგიერ შემოვიღოთ აქაური „კინტოური“. ესეც ნაციონალური გადახრაა, თავისებურ გამუქებით.

ან გვიმასპინძლდებიან კუპლეტებით, რომ „ადნიმ რუკომ ვიყიმალტ ტრი პუდა“. ასეთი რამით გვიმასპინძლდებიან დედა-ქალაქის დიდი თეატრის სცენიდან. ასეთი მოვლენები უნდა აღმოიფხვრას და სრულებით უარვყოთ ისეთ პიესების დადგმა, რომლებიც არავითარ მხატვრულ ღირებულებას არ წარმოადგენენ და იდეოლოგიურად მიუღებელი არიან ჩვენთვის. ამისათვის საჭიროა შეიქმნას და აღიზარდოს მასიური მაყურებელი, რომელიც შესძლებს აითვისოს ახალი პიესები კლასობრივ, პროლეტარულ შინაარსით. ეხლა კი ისეთ პიესებზე, როგორიც „ამერიკელი ძიაა“, მეტი ხალხი დადის, ვიდრე „ზაგმუკზე, ან „საქმე მარცხნივ“-ზე.

უნდა მოვიზიდოთ ყველა საზოგადოებრივ ორგანიზაციების ყურადღება, რათა შევსძლოთ ამ ახალ მსმენელის გამომუშავება, ისე, როგორც ვქმნით მასიურ მკითხველებს. სანამ ეს არ განხორციელდება, მანამ ჩვენს თეატრს ყოველთვის დიდი დეფექტი ექნება მატერიალურად და ის არ მოგვცემს მას, რაც ჩვენ გვესაჭიროება.

კინო

სწორედ ასეთივე მდგომარეობაა კინოს დარგში, კერძოდ საქართველოს სახკინმრეწვში. სახკინმრეწვზე ეხლა ბევრს ლაპარაკობენ, ის განიცდის კრიზისის ხანას. დაიწყო „წითელ ეშმაკუნების“ დადგმით და დაქვეითდა ისეთ სურათებამდე, როგორიც „მფლანგველები“, ან „სავურ საფლავი“-ა. ასეთი ფილმებით სახკინმრეწვი სრულებით „დაისამარებს“ თავს.

ეხლა ის ისეთ კრიზისს განიცდის, როდესაც მას არ გააჩნია არც თემები, არც შესაფერი რეჟისორები, რომლებსაც შესძლოს ასახონ სურათში ახალი საბჭოთა ცხოვრება. აი რატომ არის ის გაყინული ერთ წერტილზე და პარტია ყველა ღონისძიებას ხმარობს, რომ დასძრას ის მკვდარ წერტილიდან. ამ ორგანიზაციას ჩვენში მოეპოვება ყველა პირობები განვითარებისათვის. მე-15 ყრილობაზე და მოსკოვის საგუბერნიო კონფერენციაზე ამხ. **ბუხარინმა** და ამხ. **სტალინმა** ყურადღება მიაქციეს კინემატოგრაფიის საკითხებს. მათ აღნიშნეს, რომ არაყიდან მიღებული შემოსავალი უნდა მოხმარდეს კინოსა და რადიოს, უნდა განვითარდეს კინომშენებლობა, ვინაიდან არაყს ზიანის მეტის არაფრის მოტანა არ შეუძლია, კინო და რადიო კი მოგვეხმარება ჩვენ კულტურულ რევოლუციის საქმეში. დღემდე სოფელში ვერ ხედავენ კინოს, კინო აღარ მიდის სამაზრო პუნქტებს იქით, სამაზრო ქალაქებს იქით. გვქონდა კი ისეთი საგლეხო ფილმები, რომლებსაც შეეძლო წარმატებით შეჭრილიყო სოფელში. ეხლა სახკინმრეწვის წინაშე სდგას იმის ამოცანა, რომ შექმნას მებრძოლი რევოლუციონური ფილმები მუშებისა და გლეხებისათვის და აიღოს გეზი ახალ მაყურებელზე, მთელი კავშირის მაყურებელზე და ისეთი სურათები კი არ დადგას, რომლებსაც აქვს ვიწრო ნაციონალური გადახრა და ნაწილობრივ ეწინააღმდეგება სოციალისტურ აღმშენებლობის ამოცანებს.

პროლეტმწერალთა კავშირი

მე მინდა რამოდენიმე სიტყვა ვთქვა იმ მდგომარეობის შესახებ, რომელსაც აქვს ადგილი პროლეტარულ მწერალთა კავშირში.

მე უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენს ასოციაციას აქვს დიდი მიღწევები, რომლების უარყოფა არავის შეუძლია, მაგრამ მიუხედავად ამისა მე ცალკე მინდა შევჩერდე იმ დეფექტებზე, რომლების გამოსწორება წარმოადგენს აუცილებელ საჭიროებას.

საერთოდ ეს დეფექტები განისაზღვრება იმით, რომ ასოციაციაში არ არის სრული ერთსულოვნება. პროლეტარულ მწერალთა კავშირი არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც ისეთი ორგანიზაცია, რომელიც ჰგავს პარტიულ, ან პროფესიონალურ ორგანიზაციებს.

აქ შეიძლება დაშვებულ იქნას აზრთა მეტი სხვადასხვაობა, მიმართულებათა ბრძოლა და სხვ. მაგრამ ჩვენს ორგანიზაციაში აუცილებლად საჭიროა შინაგანი მთლიანობა, შეკავშირება. ის მდგომარეობა, რომელიც არის ასოციაციაში, არ მოწმობს, რომ თქვენ ეს მჭიდრო შეკავშირება გაქვთ. ასოციაციაში ადგილი აქვს სენს, რომელიც დროგამოშვებით იჩენს თავს, განსაკუთრებით კი ყრილობის დროს. ეხლა გამოჩნდა ლიტერატურული ოპოზიცია, რომელსაც მეთაურობს ამხ. პ. ქიქოძე და რომელსაც რატომღაც შეუერთდა ზომლეთელი. არსებობს ყოველგვარი უპრინციპო ბლოკები, მაგრამ მე არ მოველოდი, რომ მოხდებოდა ბლოკი ერთის მხრივ არქი-მემარცხენე ქიქოძესა და მეორეს მხრივ ზომლეთელის შორის. წინა ყრილობებზე სწორედ ისინი ეხუხებოდენ ერთმანეთს, იყვნენ სრულიად სხვადასხვა მიმართულების, ქიქოძე ყოველგვარ მომაკვდინებელ ცოდვებში სდებდა ბრალს ზომლეთელს, ეს უკანასკნელი კი ბრალს სდებდა ქიქოძეს.

ამხ. მიხ. კახიანი

ეხლა ჩვენ ვხედავთ მათ უპრინციპო ბლოკს და ეს ლიტერატურული ოპოზიცია ყრილობაზე გამოდის პლატფორმით. საჭიროა ამის აღმოფხვრა, საჭიროა აღმოფხვრა ყველა უთანხმოებების და შეთანხმებული მუშაობის წარმოება. რასაკვირველია, ამ ბლოკს, როგორც წესი და რიგია, წინ უსწრებდა განსაკუთრებული დეკლარაციები, მანიფესტები და სხვა სხვადასხვაგვარად როგორ იქნება? შეიკრიბება თუ არა 5 კაცი, მათ უკვე მზად აქვთ 6 დეკლარაცია. მე საერთოდ არ მესმის მანიფესტების და დეკლარაციების გამოცხობის მანერა. ამ დეკლარაციების სიყვარულით დასნეულებულია მემარცხენე—უმემარცხენესი ჯგუფი ისინი შეიკრიბენ და გამოუშვეს სპეციალური ჟურნალი „მებრძოლი“. ჟურნალს ყდა აქვს ლიტოგრაფიული, ხოლო შიგნით დაბეჭდილია დემინგტონზე—პლატფორმულ ლიტერატურის გავრცელების ახალი საშუალება მაგრამ ვნახოთ რაში გამოიხატება მათი პრინციპიალური უთანხმოება. არავინ არ უარყოფს, რომ ბევრი ნაკლულოვანებები აქვს, როგორც პროლეტარულ მწერალთა ასოციაციას, ისე ასოციაციის ხელმძღვანელ მუშაკებს და ამ ნაკლულოვანებათა წინააღმდეგ საჭიროა ბრძოლა .ისინი იმის მაგიერ, რომ მიუთითონ კონკრეტიულად ნაკლულოვანებებზე და დაეხმარონ მათ გამოსწორებაში, მიდიან სხვა გზით, თავისი ფრაქციის შექმნის გზით, საკუთარი მანიფესტით და დეკლარაციებით.

ლიტერატურული კომყოყოჩობა

„მებრძოლი“ გამოდის თავისი მანიფესტით. რა არის ნათქვამი ამ მანიფესტში. ერთ ადგილიდან სჩანს, რომ მათ აქვთ 7 ამოცანა, მეორე განცხადებაში სწერია, რომ ამოცანა თორმეტია. განცხადებების მიხედვით იზრდება ამოცანების რაოდენობაც.

პირველ, ასე ვსთქვათ, ერთადერთ პრინციპიალურ მუხლში ნათქვამია: „პროლეტარულ მწერლობის რიგებში შემჩნეულია კლასობრივ გამძლეობის შესუსტება. კლასობრივი ბრძოლის ახალი ფორმები მწერლობაში ხშირად კლასობრივ ზავად ესმით“ და შემდეგ „ჩვენი პირველი ლოზუნგია: მწერლობაში კლასობრივი ბრძოლის გამახვილება“ („მებრძოლი“ 3-4 გვ).

ამ ამხანაგების აზრით ამჟამად ადგილი აქვს კლასობრივი ბრძოლის რაოდენიმედ შესუსტებას და ამიტომ ისინი ძირითად ლოზუნგათ აყენებენ კლასობრივი ბრძოლის გაღვივებას და გამახვილებას ლიტერატურაში. მე ვფიქრობ, რომ საკითხი არ არის სწორად დასმული. ეს დაგმობილია ჩვენი პარტიის მიერ და ამ ხალხს უნდა ესმოდეს ეს; ისინი უნდა კითხულობდენ რაიმე წიგნებს, მაგრამ გამოდის, რომ წიგნებს ისინი კითხულობენ, მაგრამ არაფერი ამ წიგნებში არ ესმით, იმიტომ, რომ დაუსრულებლივ გამოდიან და იმეორებენ იმას, რაც არა ერთხელ ყოფილა დაგმობილი. ამხანაგები, ფიქრობენ რომ ისინი არიან ზეკაცები, რომელთაც აღმოაჩინეს ახალი რამ, პარტიისათვის უცნობი და მიუწვდომელი. პარტია ამას უყურებს, როგორც ნამდვილ კომყოყოჩობას. დასწერა ახალგაზრდამ რამოდენიმე სიტყვა, შემდეგ გამოსცა ის თავისი პორტრეტით (საქართველოში ასეა მიღებული. თუ დასწერე ერთი ლექსი, ამ ლექსს წინ უნდა წაუმძღვარო პორტრეტი) და მას ჰგონია, რომ თუ მოეპოვება ერთი კრიტიკული შენიშვნა, ის უკვე დამთავრებული პოეტია. ამის შემდეგ ის ფიქრობს, რომ მან აღმოაჩინოს ახალი ჭეშმარიტებანი, აყენებს უსაზღვრო პრეტენზიებს და იძლევა დირექტივებს: კლასობრივი ბრძოლა შესამჩნევად შენელდა, საჭიროა მისი გაღვივება. მე ვფიქრობ, რომ ეს არ არის საკითხის სწორი დაყენება. ის, რომ კლასობრივი ბრძოლა სწარმოებს. ფაქტია. ქალაქში იზრდება ახალი ბურჟუაზია, ნეპმანური ელემენტები, სოფლად კულაკური ელემენტები და პარტია იძლევა განსაზღვრულ ხაზს, როგორ უნდა ვებრძოლოთ ამ ანტი-პროლეტარულ სოციალისტურ ჯგუფებს. ამ მოვლენებს უნდა ვებრძოლოთ არა ადმინისტრატიული ღონისძიებებით, არამედ მთელ რიგ მოფიქრებულ და ფრთხილ ღონისძიებებით. რომლებიც აღნიშნულია მეთოთხმეტე პარტკონფერენციის, მეთოთხმეტე და მეხუთმეტე პარტყრილობების მთელ რიგ დადგენილებებში.

არ შეიძლება განუსჯელად საკითხის დასმა, მე არ მომწონს და მოდი ეს ადმინისტრატიული წესით აღმოვფხვრათო. სულ სხვაა, როცა ჩვენ ვლაპარაკობთ ძველი ამოცანების შესახებ კაპიტალისტურ საზოგადოების დროს, როდესაც ჩვენ უნდა აგვეფეთქებინა ძველი საზოგადოება. ახლა ჩვენ ეს ამოცანები არა გვაქვს. ახლა ჩვენ, პირიქით, ვქმნით, ჩვენ გვინდა წინ წავიდეთ და გვინდა, რომ ჩვენთან ერთად მასებიც წინ წავიდნენ. ეს არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული რეზოლუციაში პარტიის ხაზის შესახებ მხატვრულ ლიტერატურაში, ამას აღნიშნავდა ამხ. ბუხარინი; ამ ამხანაგებმა კი აქედან ვერაფერი გამოიტანეს. გამოდიან ძველის თვალსაზრისით და ამბობენ: ხელი მოვკიდოთ და გადავაგდოთო. რისთვის არის ეს საჭირო?

შემდეგ ისინი ამბობენ, რომ შეიქნეს მწერალთა მთლიანი კავშირი და პროლეტართა ასოციაციაც შიგ შედისო. თქვენ წინააღმდეგი ხართ პროლეტართა მწერალთა ფედერაციისა. მაშ რა გსურთ? ეს სწორედ ის მემარცხენეობაა, რომელიც დაგმო პარტიამ ცენტრშიაც და ჩვენშიაც. ეს არის ვარდინიზმი, რომელიც ჩვენ არ გვესაჭიროება. ეს ის ოპოზიციაა, რომელსაც ჩვენ არ ვსაჭიროებთ.

აი, რატომ არ შევჩერდები სხვა პუნქტებზე. მათ აქვთ სხვადასხვა მოთხოვნილებანი, რომ მეტი კოლექტივობა იყოს მუშაობაში რომ ორგანიზაციის სათავეში სხვა პირები იხდნენ, რომ ჟურნალის [illegible] გამოსცემდენ. ყველაფერი ამის გამოსწორება შეიძლება. თუ ჟურნალი ცუდად გამოდის, საჭიროა, რომ კარგად გამოდიოდეს, ან თუ კარლო კალაძე ამ როლს ასრულებს და ჟურნალის ტირაჟი აიწია ამისათვის მას მადლობა უნდა უთხრათ. მაგრამ ამხანაგებო, ამაში არ არის საქმე. საქმე იმაშია, რომ უნდა შეიქნას ისეთი პირობები, რომ თქვენ შეიძლოთ მოიპოვოთ მთელი ლიტერატურის ხელმძღვანელობის უფლება. [illegible] კი რამდენიმე [illegible] გამოჩნდება. იმ[illegible] პლატფორმა იქნება. ის არა [illegible] პროლეტარულ დისციპლინობას. სიმტკიცის, არამედ უფრო წვრილ-ბურჟუაზიულ ინდივიდუალიზმს [illegible]. რომელმაც ჩაითრია ზოგიერთი მერყევი პირი, [illegible]. ეს არის წვრილ-ბურჟუაზიული [illegible] და არა პროლეტარული დისციპლინა. აი ამიტომ [illegible] რომ ყრილობამ უნდა [illegible] გამხრწნელი მუშაობა და [illegible]. მან უნდა სთქვას: ის ამხანაგები, რომლებიც ასეთი მუშაობას ეწევიან ასოციაციის რიგებში [illegible]. ისინი ლაპარაკობენ, მხოლოდ, რომ კლა-

(დასასრული იხ. მე-4 გვერდზე)

ეროვნული

სისხლიანი კვირა

(9—22 იანვარი 1905 წ.)

„ჩვენ გავღატაკდით, ჩვენ გვდევნიან, წელში გვზნიქავენ აუტანელი შრომით, ჩვენ დაგვცინიან, ჩვენში ადამიანობას არ სცნობენ, ჩვენ გვეპყრობიან როგორც მონებს, რომელთაც უნდა ითმინონ თავისი მწარე ხვედრი და გაჩუმდნენ. ჩვენ კიდეც ვითმენდით, მაგრამ სულ უფრო და უფრო გვერეკებიან სიღატაკის, უუფლებობის და უვიცობის ორმოსაკენ, ჩვენ გვაღრჩობს დესპოტიზმი და თვითნებობა, და ჩვენ სული გვეხუთება. მეტი ძალღონე არ არის. მოთმინების ფიალა აივსო. ჩვენთვის დადგა ის საშინელი მომენტი, როცა უკეთესია სიკვდილი, ვინემ აუტანელი ტანჯვა-წამების გაგრძელება". სხვათა შორის ასე სწერდენ პეტერბურგელი მუშები მეფისადმი მიმართულ თავის პეტიციაში (თხოვნაში).

მართლაც მუშების მდგომარეობა პირდაპირ ჯოჯოხეთური იყო. მათ ამუშავებდენ 12—14 საათს. სამაგიეროდ ღებულობდენ სამათხოვრო ხელფასს. მათ აჯარიმებდენ სრულიად უმნიშვნელო მიზეზით. მუშებს ეკიდებოდენ სასტიკად, როგორც პირუტყვებს.

მაგრამ მუშებს ეგონათ რომ მთელი უბედურების სათავე მხოლოდ მათი უშუალო „ხაზეინები" მრეწველები და მეფის მოხელეები, პოლიცია. მათ გულუბრყვილოდ სწამდათ, რომ მეფის წყობილება, თვით მეფე აქ არაფერ შუაში იყო. კიდევ მეტი: მუშებს სჯეროდათ, რომ მეფემ არაფერი იცის მათი გაჭირვების და უუფლებობის შესახებ, თორემ ალაგმავდა მათ მჩაგვრელებს და გააუმჯობესებდა მათ მდგომარეობას. მეფე მუშებს „მზრუნველ მამად" მიაჩნდათ.

ამ გულუბრყვილობამ ჰპოვა გამოხატულება 9 იანვარში. საქმე დაიწყო უბრალოდ. 1905 წ. 3 იანვარს პუტილოვის ქარხნის მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს ქარხნის ერთ-ერთ დაბალ ადმინისტრატორის მიერ ოთხი მუშის უსამართლოდ დათხოვნის გამო. მუშებმა მოითხოვეს მათი დაბრუნება. მაგრამ ვერაფერმა ვერ გასჭრა. მათ ყური არ ათხოვეს ქარხნის მმართველობამ, გრადონაჩალნიკმა თვით მეფის მინისტრმა, რომლებსაც მიმართეს სათანადო შუამდგომლობით.

ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ დათხოვნილი მუშები, ისე როგორც დანარჩენ მუშების საგრძნობი რიცხვი, შედიოდენ წევრებად „რუს ფაბრიკა-ქარხნების მუშების კრება"-ში. ეს საზოგადოება მოწყობილი იყო მეფის აგენტების მიერ და მის მიზანს შეადგენდა მუშათა მოძრაობის „ხელმძღვანელობის" მეფის ჯალათების მიერ ხელში ჩაგდება, მუშათა კლასის აცილება რევოლიუციის გზიდან, აგრეთვე პროვოკატორული მუშაობის წარმოება მუშათა მასებში. ამ „კრებას" სათავეში ედგა გაქნილი და პროვოკატორი მღვდელი **გაპონი**.

გაპონი იძულებული შეიქნა ალელვებულ მუშებისათვის ანგარიში გაეწია და მისი წინადადებით მუშებმა გადასწყვიტეს „თვით" მეფესთან წასვლა „სიმართლის საძიებლად"— იმდენად ღრმა იყო მათი რწმენა „მამა-მეფის" სამართლიანობისადმი. შედგენილი იქნა პეტიცია და პეტერბურგის მუშათა კლასი ხატებით, ჯვრებით, მეფის სურათით გაემართა სასახლისაკენ. მიდიოდენ არა მარტო პუტილოვის ქარხნის მუშები, რომელთა რიცხვი 12 ათასს აღწევდა,— მათ შეუერთდენ დანარჩენი ქარხნის მუშებიც. გაფიცვა მთელ პეტერბურგს მოედო. გაფიცულთა რიცხვი 150.000 კაცს უდრიდა. მათი დიდი ნაწილი გაეშურა მეფისთვის თავის გაჭირვების შესაჩივლელად.

ამავე დროს მეფის აპარატი, მუშათა მასიურ მღელვარების გამო, გაფაციცებული მზადებაში იყო. საიმედო ჯარებს მოუყარეს თავი. გადამწყვეტი მომენტი დადგა. 9 იანვარს მეფის სასახლისაკენ „მოწყალების" მისაღებად მიმავალ უამრავ უიარაღო მუშათა მასას ტყვიები და ზარბაზნები დაუშინეს გაუფრთხილებლად. არ დაუნდვიათ არავინ, არც მოხუცი, არც ქალი, არც ბავშვი. ათასამდე კაცი დაიხოცა. დიდძალი ხალხი დაჭრილ იქნა.

ასე შეეგება „მამა-მეფე" მუშებს მხოლოდ იმისათვის, რომ მათ მოისურვეს ხმის ამოღება თავის არა ადამიანურ ცხოვრებაზე. ისინი მოელოდენ მამაშვილურ შეხვედრას, ტყვიებით კი იქნენ განგმირულნი.

მაგრამ ეს იყო მუშების არა მარტო ფიზიკური ამოწყვეტა, არამედ მეფის ტყვიით დახვრეტა იმ რწმენის, რომლითაც ისინი მანამდე გამსჭვალულ იყვენ მისდამი. და ამაშია 9 იანვრის ტრაგედიის მთავარი აზრი. ჯერ კიდევ იმ დღესვე გაიძახოდა აღშფოთებული ხალხი: მოგვეცით იარაღი ჯალათების მოსასპობადო. მრავალ ადგილას ბარიკადებიც მოეწყო და ხელჩართული ბრძოლა გაჩაღდა. 9 იანვრის სისხლიანმა კვირამ საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია მთელ რუსეთის მუშათა კლასში. გაფიცვების ტალღა აბობოქრდა ყველგან. 9 იანვარმა დასაწყისი მისცა 1905 წლის რევოლიუციას.

განუსაზღვრელია 9 იანვრის მნიშვნელობა რევოლიუციონური მოძრაობის შემდგომი განვითარებისათვის რუსეთში. მუშათა კლასმა საბოლოოდ დაკარგა რწმენა მეფისადმი და შეიგნო, რომ მხოლოდ მისი ჩამოგდებით, შეიარაღებული აჯანყებით შეიძლება მშრომელი მასების განთავისუფლება მონობისაგან, მათი მდგომარეობის გაუმჯობესება. ლენინი სწერდა 1905 წლის 12 იანვარს: „...მუშათა კლასის ყველაზე უფრო მოუმზადებელმა და ჩამორჩენილ ფენებმაც, რომელთაც გულუბრყვილო რწმენა ჰქონდათ მეფისადმი და გულწრფელად სურდათ მშვიდობიანად გადაეცათ „თვით მეფისთვის" განაწამებ ხალხის თხოვნა,—ყველა მათ მიიღეს გაკვეთილი. პეტერბურგის გმირული პროლეტარიატის ლოზუნგი „სიკვდილი ან თავისუფლება" ეხლა ედება რუსეთს; მთავრობის დაუყოვნებლივი ჩამოგდება —აი ლოზუნგი, რომლითაც გასცეს პასუხი 9 იანვრის ხოცვა-ჟლეტაზე მეფისადმი რწმენით გამსჭვალულმა მუშებმაც". მუშათა მასების ასეთი კლასობრივი გამოფხიზლება უდიდესი მოვლენა იყო, რომელმაც განსაზღვრა რევოლიუციის შემდგომი განვითარების შინაარსი და ხასიათი.

9 იანვარს სტიქიურად გამოჩნდა მუშათა კლასის ძალა, რომელსაც წინად არ ხედავდენ, მაგალითად, მენშევიკები. მართალია, ეს ძალა ჯერ კიდევ შეუგნებელი და დაქსაქსული იყო. მას აკლდა პოლიტიკური და ორგანიზაციული ხელმძღვანელობა, მაგრამ იგი ატარებდა კოლოსალურ რევოლიუციონურ შესაძლებლობას, რომლის გაშლით და სათანადო კალაპოტში ჩაყენებით უზრუნველყოფილი იყო თვითმპყრობელობის დამხობა. ბოლშევიკებს ეს ყველაზე უკეთ ესმოდათ და ისინი ენერგიულად შეუდგენ მუშათა კლასის დარაზმვის საქმეს. თუმცა 1905 წლის რევოლიუცია, რომელსაც სიგნალი მისცა 9 იანვარმა, დამარცხებით გათავდა, მაგრამ მან თავისი ნაყოფი გამოიღო. ბოლშევიკების ხელმძღვანელობით პროლეტარიატმა გმირულად გადაიტანა რეაქციის სუსხი, მან ძალღონე კვლავ შემოიკრიბა და 1917 წ. მაგარი ხელის დაკვრით დაანარცხა მეფის ტახტი.

მუშათა კლასის ამ გამარჯვებაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს 9 იანვრის სისხლიანი კვირა რომელმაც გამოაფხიზლა მუშათა კლასი და მას რევოლიუციონური ბრძოლის გზები და საშუალებები ასწავლა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 7 წლის და წითელი არმიის 10 წლის თავისთვის

საქართველოს ცაკთან დაარსებულმა წითელი არმიის 10 წლისა და საქართველოს გასაბჭოების 7 წლის თავის აღსანიშნავ დღესასწაულების ჩამტარებელმა კომისიამ თავმჯდომარედ აირჩია საქ. ცაკის თავმჯდომარე ამხ. **ფილიპე მახარაძე**, მდივნათ ამხ. **იმედაძე**.

კომისია უკვე შეუდგა სამზადის მუშაობას და თავის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა 26 თებერვლიდან ჩაატაროს სადღესასწაულო კვირეული.

წითელი არმიის 10 წლის თავი გადახდილი იქნება 23 თებერვალს, ხოლო საქართველოს გასაბჭოების 7 წლის თავი — 25 თებერვალს.

კომისიის დადგენილებით, ადგილებზე სადღესასწაულო კვირეულის ჩასატარებლად და დღესასწაულის მოსაწყობად ავტონომიურ რესპუბლიკების ცაკებთან და სამაზრო აღმასკომებთან დაარსებული იქნება სპეციალური კომისიები.

საქართველოს გასაბჭოების 7 წლის თავზე 25 თებერვალს კომისიის გეგმით, მთელ საქართველოში უნდა მოეწყოს მასიური დემონსტრაციები და მიტინგები მუშების, გლეხების, წითელ არმიელების, კომკავშირის, ავიაქიმიაა და ფიზკულტურის წრეებისა და პირველ დახმარების წრეების მონაწილეობით. ამავე დღეს უნდა მოეწყოს გლეხების ექსკურსია ქალაქში და მუშების ექსკურსია სოფლებში. 24 თებერვალს გაიმართება სამაზრო, სათემო და სასოფლო საბჭოების საზეიმო სხდომები მუშებისა და გლეხების აქტიური მონაწილეობით და სხვ.

ასეთივე ზეიმით ჩატარებული იქნება წითელი არმიის 10 წლის თავი — 23 თებერვალს.

კვირეულის განმავლობაში, მოსახლეობის უფრო მჭიდროთ დასაკავშირებლად წითელ არმიასთან მოეწყობა გლეხების, მუშების და მოწაფეების მასიური ექსკურსიები ყაზარმებში და სამხედრო კლუბებში.

აგრეთვე კვირეულის განმავლობაში მუშათა კლუბებში, ქოხ-სამკითხველოებში, სკოლებში, გლეხთა სახლებში და გამასწორებელ სახლებში მოეწყობა მოხსენებები, საუბრები და ლექციები შემდეგ თემებზე: 1) წითელი არმია და მისი ამოცანები, 2) წითელი არმია პროლეტარიატის დიქტატურის სადარაჯოზე, 3) წითელი არმია და ნაციონალური საკითხი, 4) საქართველოს მდგომარეობა მენშევიკების დროს და ეხლა, 5) როგორ დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში, 6) საბჭოთა აღმშენებლობა საქართველოში. 7) ომის საფრთხე და მენშევიკების გეგმები და სხვ.

ლექცია-საუბრების გარდა გაიმართება მხატვრული საღამოები, კითხვა-პასუხის საღამოები, თავდაცვისა და სამხედრო შინაარსის საღამოები, კონცერტები და სხვ.

კომისიამ აგრეთვე დაადგინა აღძრას შუამდგომლობა საკავშირო სამხედრო რევოლიუციონურ საბჭოს წინაშე, რათა რევოლიუციის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის წითელი ორდენით დაჯილდოვებულ იქნან საქართველოს შემდეგი რაიონები: აფხაზეთი, დუშეთის მაზრა, სამხრეთ-ოსეთი და ლეჩხუმის მაზრა.

წითელი არმიის ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების მიზნით გამოკვლეული იქნება ყაზარმები და სამხედრო კუთხეები. გამოკვლევაში მონაწილეობას მიიღებენ პროფესიონალური ორგანიზაციები, საბჭოების წევრები, დელეგატი ქალები, ცაკის და აღმასკომების წევრები.

კომისიამ დაადგინა სამკითხველოებში მუშათა კლუბებში, გლეხთა სახლებში და სკოლებში მოეწყოს სამხედრო ბიბლიოთეკები საჭირო ლიტერატურით. კომისიის დადგენილებით, სახელგამის მიერ გამოცემულ „სამხედრო ბიბლიოთეკაზე". რომელშიაც შედის 60 წიგნი, ფასები დაკლებული იქნება 50 პროცენტით. სახელგამს დაევალა აღნიშნულ დღესასწაულების შესახებ სათანადო ლიტერატურის გამოცემის გარდა, გამოსცეს „სამხედრო ბიბლიოთეკის" მეორე სერია. ამას გარდა, კომისიამ დაამტკიცა დღესასწაულში მონაწილეობის მიღების გეგმები რომლებიც წარმოდგენილია სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ.

საქ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმში

დანიშვნა

საქართველოს შრომის სახ. კომისარიატის სატარიფო და შრომის ბაზრის განყ. გამგის თანამდებობაზე საქ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმის მიერ წამოყენებული იქნა ამხ. არჩვაძე.

საბინაო მშენებლობის განვითარებისათვის

საბინაო მშენებლობის საკითხის მოწესრიგების მიზნით საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა სატარიფო განყ. გამგის ს. ხვედელიძის თავმჯდომარეობით გამოჰყო საბინაო აღმშენებლობის საკითხების შემსწავლელი კომისია, რომელმაც თავისი დასკვნა ერთი თვის ვადაში უნდა წარუდგინოს ს. პ. კ. ს. პრეზიდიუმს განსახილველად.

შრომის გმირების წამოყენება

საქ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა ყველა კავშირებს (ც. გ.) უფრო დეტალურად შეისწავლონ და დაამუშაონ შრომის გმირების საკითხები: ისეთი პირების საქმეები, რომელნიც არ შეეფერებიან შრომის გმირობის სახელწოდებას, არ უნდა იქნეს გადაცემული საქ. პროფსაბჭოსთან არსებულ შრომის გმირების წამოყენების სპეციალურ კომისიაში.

ხელფასის ფონდის გადიდება

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის თანამშრომელთა ჩამორჩენილ ჯგუფების ხელფასის გასადიდებლად საქ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა საჭიროდ სცნო გადადებული იქნეს სამკურნალო ფონდიდან 16 ათასი მანეთი.

სამაზრო საკავშირო კონფერენციები

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა სამაზრო საკავშირო კონფერენციები მოწვეული იქნეს შემდეგ ვადებში: შორაპნის სამაზროფბიუროს 2 იანვარს, ზუგდიდის 20 იანვარს, ახალციხის 13 თებერვალს, ახალქალაქის 10 თებერვალს, ბორჯომის 3 თებერვალს, გორის 15 თებერვალს, ფოთის 15 თებერვალს. სენაკის 18 თებერვალს, სიღნაღის 20 თებერვალს, თელავის 23 თებერვალს, დუშეთის 25 მარტს, სამხრეთ-ოსეთის 1 მარტს, ქუთაისის 5 მარტს, ოზურგეთის 7 მარტს, აჭარისტანის პროფსაბჭოს 10 მარტს, რაჭის პროფბიუროს 10 მარტს, ლეჩხუმის 14 მარტს, აფხაზეთის 15 მარტს.

ხიზრივი ბრძოლა შენელდა და საქმით კი არაფერს აკეთებენ კლასობრივი მტრის წინააღმდეგ ბრძოლისათვის.,

რაც შეიძლება ცოტა პლატფორმები

ბრძოლისათვის საჭიროა დისციპლინა; იმის მაგიერ, რომ ამრავლონ ყოველგვარი კარგი პლატფორმები და თეზისები, პროლეტარული მწერლები უკეთესად მოიქცეოდნენ, რომ კარგი პროლეტარული ნაწარმოები დაეწერათ. **რაც შეიძლება ცოტა ცუდი პლატფორმები და თეზისები, რაც შეიძლება მეტი კარგი პროლეტარული ნაწარმოები.** აი ეს თეზისი იქნება სრულიად სწორი, ეს ლოზუნგი ჩვენ უნდა მივიღოთ. ამ საკითხებისაკენ დაბრუნება ჩვენთვის საჭირო არაა, ბოლო უნდა მოეღოთ ყოველგვარ უთანხმოებას.

მე ვფიქრობ, რომ პროლეტარული მწერლების ასოციაციას ეს დირექტივა უნდა მიეცეთ. თუ არიან ისეთი ელემენტები, რომელნიც აფერხებენ ამ მშენებლობას, შეიძლება საჭირო იყოს, რომ ქირურგიას მივმართოთ და მოვკვეთოთ ეს ელემენტები. რატომ? იმიტომ, რომ ახალგაზრდა და ნიჭიერი მწერლები, რომლებსაც შეუძლიათ და სურთ მუშაობა, ჯგუფდებიან ამ ფრაქციული წრეების გარშემო; ეს კი ხელს უშლის შემოქმედებით მუშაობას, ხოლო ჩვენ დიდი მუშაობა მოგველის, დიდი სწავლა-მეცადინეობა და თვითკრიტიკა.

კრიტიკა უაღრესად [illegible]. მაგრამ ჯანსაღი უნდა იყოს. ჩვენ კარგს კრიტიკას კმაყოფილებით მივეგებებით, მით უმეტეს თუ ეს კრიტიკა გამომდინარეობს პროლეტარული მწერლებისაგან" ჩვენ დიდის სიამოვნებით მივიღებთ ყველა საქმიან წინადადებას, რათა მოვიშოროთ დეფექტები კულტურულ ფრონტზე. მაგრამ სულ სხვაა ამხანაგური კრიტიკა, სურვილი საერთო საქმისათვის დახმარების აღმოჩენისა, და სულ სხვა საქმეა ფრაქციულობა, კარჩაკეტილობა, ანარქიის შეტანის სურვილი საქმეში, ყოველი ჯურის ჯგუფები, რომელთაც საერთო არაფერი აქვთ პროლეტარულ ხაზთან

ამიტომ მე ვფიქრობ: თუ ჩვენ გვსურს განვახორციელოთ ყველა ის ამოცანები, რომლებსაც ჩვენ ვისახავთ, პირველ ყოვლისა, საჭიროა პროლეტარულ მწერალთა შედუღება, შემჭიდროება. ამოცანები კი გრანდიოზული გვაქვს დასახული, დიდი მნიშვნელობის ამოცანები; ეს არის: სოციალისტური მშენებლობის გაფართოება, ინდუსტრიის განვითარება, პირისპირ მიდგომა სოციალიზმის მშენებლობისადმი სოფლად და გარდა ამისა, იმის განხორციელება, რასაც ლენინი ამბობდა— კულტურული რევოლიუციის განხორციელება.

აქ ლაპარაკია არა იმაზე, რომ ყველა ერთნაირად სწერდეს, რომ ყველამ ის უნდა სწეროს, რასაც ერთი სწერს; რომ არ უნდა არსებობდეს არავითარი მიმართულებანი— ეს ასე არაა; შედუღება, შემჭიდროება იმ აზრით უნდა გავიგოთ, რომ შეიქნას მუშაკების ისეთი დისციპლინიანი კოლექტივი, რომელმაც პროლეტარულ მწერალთა კავშირს უფლება უნდა მისცეს ჩვენს ლიტერატურაში ჰეგემონიის მოსაპოვებლად, არა მარტო ქაღალდზე, არამედ სინამდვილეში. მე ვფიქრობ, რომ ამ ყრილობიდან ჩვენ უნდა გავიტანოთ შინაგანი მთლიანობის ორგანიზაციით. [illegible] ყოველგვარი ელემენტების გარეშე, ყოველგვარი ფრაქციების და ქვეფრაქციების გარეშე; ჩვენ უნდა შევმჭიდროვდეთ პროლეტარული რევოლიუციის ინტერესების დაცვის პლატფორმაზე. კულტურული რევოლიუციის ინტერესების დაცვის პლატფორმაზე ლენინიზმის დროშის ქვეშ.

მე ვფიქრობ, რომ პროლეტარული მწერლების ყრილობა ამ ამოცანას შეასრულებს (ტაში)

მუშათა ცხოვრება

რა მოგვცა გამოკვლევამ

საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მუშა და გლეხ ქალთა განყოფილება იკვლევს ქალთა შორის მუშაობას ამიერ-კავკასიის ეროვნულ უმცირესობებში.

ქალთა ცენტრალურ კლუბებთან ერთად გამოკვლეულ იქნა ამიერ-კავკასიის ყველაზე უფრო ჩამორჩენილი განაპირა კუთხეებიც.

გამოირკვა, რომ ქალთა შორის მუშაობა ეროვნულ უმცირესობებში მეტის-მეტად მოისუსტებს. დამახასიათებელი შედეგები გამოიღო ერევნის მაზრის ვედისაბარის რაიონის გამოკვლევამ. ეს რაიონი მდებარეობს სპარსეთის საზღვარზე. გამოკვლევამ გამოაშკარავა ამ რაიონის მოსახლეობის განსაკუთრებული ჩამორჩენილობა. სოფლის მეურნეობის მიღწევებთან ერთად (ტრაქტორიზაცია, ბამბის კულტურა, მეაბრეშუმეობა, სარწყავი სამუშაოები და სხვ.) ამ რაიონში დღემდე ძლიერ არის განვითარებული ექიმბაშობა, მკითხაობა, მრავალცოლიანობა და განსაკუთრებით სპარსეთიდან შემოტანილი ჩვეულება მოკლევადიან ქორწინებისა (2 საათიდან 2 კვირამდე). თითქმის 100 პროცენტი ამ რაიონის ქალთა მოსახლეობისა წერა-კითხვის უცოდინარია. კომკავშირის მუშაობა ახალგაზრდა ქალებს შორის ძლიერ სუსტია. კომკავშირში ჩაბმულია მხოლოდ 71 ახალგაზრდა ქალი. უკეთესი მდგომარეობა არც სკოლებშია, 1.200 მოსწავლიდან მხოლოდ 250 ქალია. თუ რამდენად სუსტად არის დაყენებული მუშაობა კომკავშირელ ქალებს შორის, ამას მოწმობს ის გარემოება, რომ კომკავშირის წევრი ახალგაზრდა ქალები დღემდე ატარებენ ჩადრს და კატეგორიული უარი განაცხადეს იარონ შერეულ სკოლებში და წრეებში. რაიონის 46 სოფლიდან სისტემატიური მუშაობა ქალთა შორის სწარმოებს მხოლოდ შვიდ სოფელში. სადელეგატო კრებების შექმნას შეუდგენ მხოლოდ 1927 წელში. რაიონში ითვლება 72 დელეგატი ქალი, აქედან 67 წერა-კითხვის უცოდინარია. მაგრამ ამასთან ერთად დიდი მიღწევებია ქალთა მონაწილეობის მხრივ საბჭოთა მუშაობაში. თუ 1925—26 წელში არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ქალების 10 პროცენტმა, 1927 წელში ეს პროცენტი გაიზარდა 13-მდე. 1925—26 წელში საბჭოს წევრი ქალები შეადგენდენ 1 პროცენტს, 1926—27 წელში კი უკვე 8 პროცენტს. მაგრამ მუშაობა საბჭოების წევრ ქალებს შორის სრულებით არ სწარმოებს. საქმე მხოლოდ იმით განისაზღვრება, რომ ქალები ყოველთვის ესწრებიან საბჭოების სხდომებს.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მუშა და გლეხ ქალთა განყოფილებამ შეიმუშავა მთელი რიგი კონკრეტიული ღონისძიებები მუშაობის დონის ასაწევად ამ ჩამორჩენილ რაიონში.

შორდებიან ოპოზიციას

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში შემოვიდა გურიის ორგანიზაციის ამხანაგთა ერთი ჯგუფის განცხადება, რომელშიაც ისინი იმიჯნებიან ოპოზიციიდან და ხსნიან თავის ხელისმოწერას ოპოზიციის პლატფორმიდან.

ამხ. **გიორგი ვაშაყმაძე**, პარტიის წევრი 1917 წლიდან, სხვათა შორის, სწერს:

„ოპოზიციის მიერ წამოყენებული საკითხები მიმაჩნია მიუღებლად და ლენინური პარტიის წევრობასთან შეუთავსებლად. ჩვენ თავისი ოპოზიციონური მუშაობით ლოღიკურათ მივედით მეორე პარტიის შექმნამდე. უდაოა, რომ ოპოზიციის ყველა მოთხოვნილებები ეწინააღმდეგებიან ლენინიზმს და ყველაფერი ეს იმ ბრძოლების განმეორებაა, რომელსაც წარსულში აწარმოებდა ბოლშევიკური პარტიის წინააღმდეგ ოპოზიციის ეხლანდელი ლიდერი ტროცკი".

ამხ. **გიორგი ლომაძე** და **მელიტონ ებრალიძე** ხსნიან რა თავის ხელმოწერას ოპოზიციის პლატფორმიდან, საბოლოოდ იმიჯნებიან ოპოზიციიდან, როგორც ანტი-ლენინური მიმდინარეობიდან. ამხ. **იაკინთე ღლონტი**, პარტიის წევრი 1918 წლიდან, სწერს:

„ოპოზიციის პლატფორმას ხელი მოვაწერე ორი ამხანაგის რჩევით: თვითონ კი მე პლატფორმა არ წამიკითხავს და არ ვიცოდი რას ითხოვდა ოპოზიცია. როდესაც გავეცანი ოპოზიციონერთა მოღვაწეობას, მე დავრწმუნდი, რომ ჩავიდინე შეცდომა და არსებითათ კი არავითარი კავშირი არ მქონია მათთან. ვაცხადებ, რომ ოპოზიციის მოქმედება მიმაჩნია ანტი-ლენინურათ და პარტიისთვის მავნებლათ. მისი ფრაქციული მუშაობა წინამორბედი იყო პარტიის განხეთქილებისა".

ამხ. **ალექსანდრე კუკულაძე** სწერს: „შეცდომით და მოტყუებით ხელი მოვაწერე ოპოზიციის პლატფორმას. ხელი მომაწერიეს სუფთა ქაღალდზე, ისე რომ შინაარსიც არ გამაგებიეს. მითხრეს, თითქოს ეს იყოს შერიგების განცხადება.

სრულიად გულწრფელად და კატეგორიულად ვაცხადებ, რომ არასოდეს არ ვიყავი ოპოზიციონერი და არ ვიზიარებდი მათ შეხედულებებს. ვიცავ პარტიის ხაზს და მიმაჩნია ის სავსებით სწორათ. ვხსნი ჩემ ხელმოწერას პლატფორმიდან და მომავალში მოვალეობათ მივიჩნევ ოპოზიციასთან ბრძოლას მთელ პარტიასთან ერთათ".

პარტიის წევრები: **არსენ ვაჩეიშვილი** 1927 წლიდან და **ისაკი ვაჩეიშვილი** 1926 წლიდან, სწყვეტენ ყოველგვარ კავშირს ოპოზიციასთან და ხსნიან თავის ხელმოწერას ოპოზიციის პლატფორმიდან. ისინი აცხადებენ, რომ მათ აიძულეს ხელი მოეწერათ სუფთა ქაღალდზე და არ იციან რა ეწერა მათი ხელმოწერის ზევით. ამხ. **დამიანე კალანდაძე**, პარტიის რის ზევით.

ამხ. **დამიანე კალანდაძე**, პარტიის წევრი 1919 წლიდან, სწერს:

„გაუკეთე რა ჯამი ოპოზიციის მუშაობას, მივედი იმ დასკვნამდე, რომ ოპოზიციის ფრაქციული მუშაობა ლოღიკურათ მიგვიყვანს მეორე ანტილენინური პარტიის შექმნამდე. მე, როგორც ლენინელი, არ შემიძლია შეურიგდე ასეთ მდგომარეობას, განსაკუთრებით მაშინ, როცა ჩვენი პარტია ლენინური ცეკას ხელმძღვანელობით მტკიცეთ შეუდგა სოციალისტურ აღმშენებლობას ჩვენს ქვეყანაში.

მაშინ როცა საბჭოთა კავშირი იმყოფება ომის საშიშროების წინაშე, ჩვენს პარტიას მართებს ლენინური სიმტკიცე და თავის რიგების მთლიანობის ფხიზლად დაცვა. ოპოზიცია თავისი დეზორგანიზატორული მუშაობით ემუქრება პარტიის მთლიანობას. მე ვეკუთვნოდი იმ ჯგუფს, რომელმაც ხელი მოაწერა „83" განცხადებას და ვიზიარებდი მათ შეხედულებებს. მე ეხლა დავრწმუნდი, რომ ოპოზიცია თავისი „მემარცხენე ფრაზებით" მარჯვნივ დაექანა ძლიერ და თავისი მოქმედებით დაუახლოვდა მენშევიზმს. დავრწმუნდი რა იმაში, რომ ოპოზიცია წყალს ასხამს ჩვენი მტრების წისქვილზე, მე მთლიანად და სავსებით ვშორდები ოპოზიციას, ვხსნი ჩემ ხელმოწერას „83" განცხადებაზე და სწორათ მიმაჩნია მე-15 პარტყრილობის ყველა დადგენილებები, განსაკუთრებით ტროცკისტული ოპოზიციის მიმართ. ჩემებრ ნაბიჯის გადადგმას ურჩევ ყველა იმ ამხანაგებს, რომელნიც ჯერაც არ განთავისუფლებულან ოპოზიციის გავლენისაგან".

კომკავშირში

ს. ა. ლ. კ. კ. თბილისის სამაზრო-საქალაქო მე-15 კონფერენცია

მეექვსე სხდომა

კონფერენციის მეექვსე სხდომა გაიხსნა გუშინ დილის 10 საათზე, ამხ. ხ. იშხანოვის თავმჯდომარეობით.

კამათში გამოვიდნენ შემდეგი ამხანაგები: **კიკაბიძე, ტოგონიძე (ქალი), ტოპუზოვი (აღბულაღიდან), კაპლინი, შვეცოვი, გუსაკოვი, კონანენკო, კაქკაჩიშვილი, ბუჯიაშვილი** და სხვა.

კამათში გამოსული ამხანაგები აღნიშნავდენ, რომ საქ. სახკინმრეწვის მიერ გამოშვებული სურათები ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებენ მუშა-ახალგაზრდობის მოთხოვნილებებს, საჭიროა კომკავშირული კინო ფილმების შექმნა.

— გლეხურ ახალგაზრდობის სკოლებში (აღბულაღი) სწავლობენ უმეტესად ვაჭრების და კულაკების შვილები, რასაც თბ. კომიტეტმა ყურადღება უნდა მიაქციოს.

— სოფლად კედლის გაზეთების მუშაობა მოისუსტებს;

— მომავალში კურორტებზე და დასასვენებელ სახლებში უნდა გაიგზავნოს მუშა-ახალგაზრდობის მეტი პროცენტი;

გარდა ამისა, კამათში გამოსული ამხანაგები აღნიშნავდენ სამხედრო მუშაობის სისუსტეს, ანტი-რელიგიური პროპაგანდის ნაწილობრივ შესუსტებას და სხვა.

საბოლოო სიტყვით გამოვიდნენ: ამხ. **კიკრიზოვი** და **ფირსაკოვი**, რომლებმაც პასუხი გასცეს კამათში გამოსულ ამხანაგებს.

ამის შემდეგ, თბ. კომ. მუშაობის მოხსენების შესახებ, საბოლოო სიტყვით გამოვიდა ამხ. **გ. ხილაძე**.

მომხსენებელმა პირველად პასუხი გასცა წერილობით შემოსულ შეკითხვებზე და შემდეგ უპასუხა კამათში გამოსულ ამხანაგებს.

— აქ გამოსული ამხანაგები ლაპარაკობდენ ფიზკულტურის წრეების მუშაობის სისუსტეზე. მათ მეც ვეთანხმები, მაგრამ, აქ არავის აღუნიშნავს თუ როგორ უნდა ვებრძოლოთ მას. ამისათვის საჭიროა 2 წლიან კურსების მოწყობა, რომელიც მოგვცემს მომზადებულ მუშაკებს. ანტი-რელიგიური მუშაობა ამ ბოლო დროს შესუსტდა, რაც მომავალში გაძლიერებულ უნდა იქნეს.

შემდეგ მომხსენებელი ეხება სამხედრო წრეების მუშაობას, ნ. პ. კოლექტივების ხელმძღვანელთა ხელფასის საკითხის მოუწესრიგებლობას, კომკავშირის პრესის აუცილებლობას, გლეხურ ახალგაზრდობის სკოლებს და სხვა.

ამხ. ხილაძის საბოლოო სიტყვა ხანგრძლივი ტაშით დაიფარა.

კონფერენციამ, თბილისის კომიტეტის მუშაობის პოლიტიკური ხაზი სცნო სწორად, ორგანიზაციული მუშაობა კი დამაკმაყოფილებლად.

დასასრულ კონფერენციამ აირჩია რეზოლიუციის შესადგენად კომისია 28 კაცის შემადგენლობით.

ქ—ძე.

მეშვიდე სხდომა

გუშინ საღამოს სხდომაზე კონფერენციამ მოისმინა ამხ. **გრიგორიანის** მოხსენება კომკავშირის მასიურ ეკონომიურ მუშაობაზე. მოხსენების დაწყებამდე კონფერენციამ ფეხზე ადგომით პატივი სცა ილიჩის ხსოვნას. ამასთანავე გაშვებული იქნა ერთ მოქმედებიანი კინო-სურათი ლენინის ცხოვრებიდან.

შემდეგ დაიწყო მოხსენება.

მიმდინარე წელში — დაიწყო მომხსენებელმა—საქარხნო-საფაბრიკო უჯრედების უმთავრეს ამოცანას შეადგენდა მასიური ეკონომიური მუშაობის წარმოება.

თუ გასულ წელში კომკავშირის ეკონომიურ დარგში მუშაობა მიმართული იყო მხოლოდ მუშათა ახალგაზრდობის ეკონომიური მოთხოვნილებათა დაცვისაკენ, ამჟამად ჩვენი მუშაობის ამოცანას შეადგენს აქტიური მონაწილეობა სახალხო მეურნეობის განვითარებაში და წარმოების ნაყოფიერების აწევაში.

შემდეგ მომხსენებელი გადადის მუშათა ახალგაზრდობის მონაწილეობაზე საწარმოო აღმშენებლობაში და ამბობს, რომ საწარმოო თათბირები საუკეთესო ფორმაა მუშათა ახალგაზრდობის ჩასაბმელად რაციონალიზაციის საქმეში.

დასასრულ მომხსენებელი ეხება მოჯამაგირეთა შორის მუშაობას და დასძენს, რომ საჭიროა მომავალში ვიწვევდეთ სოფლად მოჯამაგირეთა კონფერენციებს.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც გამოვიდნენ: ამხ. **პერვუშინი, პეტროვი; ალკეშიანი; გრატიაშვილი, ილინი, დანილევიჩი, ასლამაზოვი** და სხვა.

ამით დაიხურა საღამოს სხდომა.

შ. დ.

საქ. უნივერსიტეტ. ათი წლის თავის აღსანიშნავათ

საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. **ფ. მახარაძის** კაბინეტში შესდგა სახელმწიფო უნივერსიტეტის 10 წლის იუბილეს მომწყობ კომიტეტის პირველი სხდომა. კომისიამ დაადგინა სახელმწიფო უნივერსიტეტის 10 წლის იუბილე გადაიხადოს 26 თებერვალს.

შემდეგ კომისიამ გამოიმუშავა საიუბილეო დღესასწაულის ჩატარების გეგმა. კომისიის გეგმით 26 თებერვალს რაიონებში მოეწყობა სადღესასწაულო საღამოები და მოხსენებები უნივერსიტეტის მნიშვნელობისა და მის მუშაობის შესახებ. თვით უნივერსიტეტი მორთული იქნება დროშებითა და გირლიანდებით და ფერადი ელექტრონის ლამპებით. უნივერსიტეტის შენობის ერთ-ერთ ნაწილში მოეწყობა უნივერსიტეტის მუშაობისა და მიღწევების დამახასიათებელი გამოფენა.

დილით უნივერსიტეტიდან თავისუფლების მოედნამდე მოეწყობა უნივერსიტეტის სტუდენტთა სადემონსტრაციო მსვლელობა და თავისუფლების მოედანზე გაიმართება სტუდენტთა მიტინგი. საღამოს უნივერსიტეტის დიდ დარბაზში სტუმრების, სახელმწიფო, პარტიულ, პროფესიონალურ და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენელთა თანდასწრებით გაიხსნება საზეიმო სხდომა, რომელზედაც სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობის წარმომადგენელი გააკეთებს მოხსენებას უნივერსიტეტის მუშაობისა და იუბილეს მნიშვნელობის შესახებ. შემდეგ დაიწყება მისალმებები და დასასრულ გაიმართება სტუდენტთა საღამო.

საიუბილეო კომიტეტის იმავე სხდომაზე არჩეული იქნა საქმიანი პრეზიდიუმი შემდეგი შემადგენლობით: სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ლ. ქართველიშვილი** (პრეზიდ. ხელმძღვანელია), უნივერსიტეტის რექტორი **თ. ღლონტი** (მდივანი), სახ. განათლების კომისარი **დ. კანდელაკი**, **მ. კახიანი**, თბ აღმასკომის თავმჯდომარე **ლ. სუხიშვილი**, პროფ. **შ. ნუცუბიძე** და სტუდენტთა წარმომადგენელი **სალუქვაძე**.

სასკოლო აღწერა

(ცნობები თელავისა და ახალციხის მაზრებიდან)

გასული წლის დეკემბერში ჩატარებულ სასკოლო აღწერის მასალების დამუშავება მაზრებში დამთავრდა და მასალები ამჟამად ეგზავნება სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოს. ჯერ-ჯერობით სტატისტიკის სამმართველოში მიღებულია მასალები ახალციხის და თელავის მაზრებიდან.

ამ მასალების მიხედვით თელავის მაზრაში არსებობს 78 შრომის სკოლა 312 მასწავლებლით და 9.149 მოსწავლით; გლეხთა ახალგაზრდობის 6 სკოლა 20 მასწავლებლით და 299 მოსწავლით.

პროფგანათლების დაწესებულებები: ტექნიკუმები—1,11 მასწავლებლით და 75 მოსწავლით; პროფსკოლები—11, 31 მასწავლებლით და 697 მოსწავლით.

ეროვნების (სკოლებში სწავლების ენის მიხედვით) მიხედვით აღნიშნული სკოლები დანაწილებულია შემდეგნაირად: შრომის სკოლები: ქართული — 76 სკოლა 8.636 მოსწავლით, სომხური — 1 სკოლა 414 მოსწავლით და თურქული—1 სკოლა 69 მოსწავლით. გლეხთა ახალგაზრდობის სკოლები და პროფ. განათლების დაწესებულებები ყველა ქართულია.

ახალციხის მაზრაში: შრომის სკოლები—52 130 მასწავლებლით და 4.112 მოსწავლით; გლეხთა ახალგაზრდობის სკოლა—1, 10 მასწავლებლით და 83 მოსწავლით; პროფსკოლა—1, 2 მასწავლებლით და 38 მოსწავლით.

ეროვნების მიხედვით სკოლები ახალციხის მაზრაში დანაწილებულია შემდეგნაირათ: შრომის სკოლები: ქართული—7 სკოლა 492 მოსწავლით, სომხური—11 სკოლა 1213 მოსწავლით და თურქული—26 სკოლა 972 მოსწავლით; შერეული ქართულ-თურქული—5 სკოლა 822 მოსწავლით, ქართულ-სომხური—1 სკოლა 36 მოსწავლით, ქართულ-ბერძნული—1 სკოლა 143 მოსწავლით, სომხურ-რუსული—1 სკოლა 434 მოსწავლით. გლეხთა ახალგაზრდობის სკოლები: ქართული—1 სკოლა 40 მოსწავლით, სომხური—1 სკოლა 18 მოსწავლით და თურქული—1 სკოლა 25 მოსწავლით.

გახურებული შანთით

ადმინისტრატორი კომბინატორი

„თაგვმა თახარა თხარაო, კატა გამოთხარაო", ასე ამბობს ბრძნული ხალხური თქმულება. ჩვენ ეს თქმულება იმიტომ კი არ მოგვიყვანია, რომ რკ. გზის მთავარ სახელოსნოს ბუღალტერი მუმლაძე თაგვს შევადაროთ. არა, არც ამ კაცის ჩაფსკვნილი მხარბეჭი, არც მისი ზანტი ძიხვრა-ძოხვრა და საერთოდ არც მთელი მისი ტიპიური ბიუროკრატიული „ფატრეთი", არავის აძლევს უფლებას, რომ მიხეილ მუმლაძე, ეს ზვიხი კაცი სოროს წრიპინა თაგუნიას შეადაროს. მაგრამ გარეგნული მსგავსება ყოველთვის აუცილებელი არაა შინაგან მსგავსებისათვის.

ამიტომ ანალოგია მსუნაგ თაგვსა და ბუღალტერ მუმლაძეს შორის სრულიად ბუნებრივია, როგორც ამას მოწმობს სხვა მრავალ ფაქტებს შორის, შემდეგი ფაქტი:

მართალია, ზედმეტი მუშაობა აკრძალულია, მაგრამ იქ, სადაც არის მუმლაძის სურვილი, ყოველივე აკრძალვა უძლურია. მუმლაძე ყველგან იშოვნის საძრომელს, აქლემს ნემსის ყურში გააძვრენს და თავისას გაიტანს, ამიტომ ზედმეტ საათებში მუშაობა მთავარ სახელოსნოს ბუხჰალტერიაში დაკანონებულ უკანონობად გადაიქცა. მოგეხსენებათ ჩვენი შრომის კოდექსის მშრომელისადმი გულუხვობა, ზედმეტ საათებს ერთი ორად უფასებდენ მთავარსახელოსნოს ბუხჰალტერის მონაგარიშეებს. თავის მხრივ არც მონაგარიშეები იჩენდენ პურ შამობას. ისინიც შესაფერისად უფასებდენ ყოველად მწყალობელ მუმლაძეს მამობრივ მზრუნველობას. მამა-პაპური პურ-მარილი მაისის ვარდივით გაიფურჩქნა მონაგარიშეების სუფრაზე. გიყვარდეს მიხეილ მუმლაძე მუქთათ ჭამა, სუკის მწვადები და კახური ნუნუა. სადაც ღვინოა, იქ ქალიც შორს არ არის. ღვინო, დუდუკი და ქალები კი აყალ-მაყალისა და დავიდარაბის წარმომშობი უებარი წამალია. ასეც მოხდა. ერთ ქეიფის დროს ღვინით ატაცებული ჯაფარიძე და ცინცაძე ქალის გულისათვის წალაპარაკდნენ. სიტყვას სიტყვა მოჰყვა, მუშტს მუშტი, კეტს კეტი და ორი გულითადი მეგობარი ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოთ გადაეკიდა.

მუმლაძემ ეს მუმლის ფასადაც არ მიიჩნა. ის ჩვეულებრივად თხრიდა და თხრიდა... სახელმწიფო სალაროს ზედმეტი საათების დაკანონებით. გაბრაზებულმა მონაგარიშე ცინცაძემ ამასობაში გამოაშკარავა თავისი „მოსისხლე" მტერის ჯაფარიძის პატარა ბოროტმოქმედებები. ჯაფარიძეს თურმე 20 მანეთი მიუთვისებია ყალბი საბუთებით. ბოროტმოქმედების ძაფმა თავი იჩინა. საქმით დაინტერესდა ზოგიერთი ცნობის მოყვარე ორგანოები, რომელნიც ჯაფარიძე - მუმლაძე - ცინცაძეებისთანა კაფისტებისადმი ყოველთვის დიდ პატივისცემას იჩენენ. ჩასჭიდეს ძაფს ხელი და... რა გამოირკვა? ზოგჯერ ამბობენ მთამ თაგვი შვაო, აქ კი თაგვმა იალბუზი შვა. სხვანაირათ არც შეიძლება ვუწოდოთ იმას, რაც გამოძიებამ გვიჩვენა. ჯაფარიძეს ყალბი საბუთებით 1.500 მანეთი მიუთვისებია, სალაროდან კი ავანსების სახით გატანილია 2.600 მანეთი. ამ უკანასკნელ თანხიდან ხელის შეჭყაპათ ცოტა რამ მიხეილ მუმლაძესაც წაუხრამუნებია, ამავე საქმეში მას მხარს უმშვენებს მისი სახელოვანი თანამეგვარე შალვა მუმლაძე და შემდეგ ცინცაძე. დამნაშავე პირები უკვე მიცემულია პასუხისგებაში. ზოგიერთი მათგანი კიდეც ზის დაღონებული რკინის მოაჯირიან ფანჯარასთან, მაგრამ მუმლაძე, როგორც ყოველთვის, აქაც იხვივით მშრალათ ამოცურდა წყალიდან. მთელი ბოროტმოქმედების სათავე კი ის არის, როგორც ადმინისტრატორი და როგორც დაოსტატებული კომბინატორი. დამნაშავე ამნაირათ დაუსჯელათ დაიარება. ბოროტმოქმედება კი ჯერ სავსებით არ არის გამოაშკარავებული.

ჩვენ ვსთქვით, დასაწყისში, რომ თაგვმა თხარა თხარა—კატა გამოთხარათქო. ამ შემთხვევაში მუმლაძემ ჯერ-ჯერობით „კატა" სხვისთვის გამოთხარა, რაც შეეხება თვითონ მას, ის არხეინად დადის და ძველებურათ გაიმღერის: „ა-ა-ა... მუმლი მუ-უ-უ-ხ-ა-ა-ა-ს-ა-ა-ა-ო-ო დ-ა-ა-ა!" ვნახოთ სანამ იქნება მუმლაძე ასეთ მხიარულ გუნებაზე.

ისარი.

„ჩამოწინწილებული" საღამო

„თოჯს, თოჯს ხოშკაკლავს, დედოფალი ხბოს დაკლავს, შენც კი გარგებს, მეც კი მარგებს, ყველას ჩამოვიწინწილებს". ალბათ ბევრს გაუგონია ეს ბავშის გულის მოსაგები მიამიტი სიტყვები. თუმცა თბილისის რკ.-გზის სადგურის მებარგეთა კოლექტივს არც ერთი ხბო და არც ერთი ვარიკაც კი არ დაუკლავს, მაგრამ „ჩამოწინწილება" აქ რომ არის, ქვით იმაზე უკეთესი.

კოლექტივის მოლარე ჩიკვაიძე ორი თვეა, რაც მსახურობს თავის თანამდებობაზე და ამ ხნის განმავლობაში 1.800 მანეთის გაფლანგვა მოასწრო. ასეთ პატარა ორგანიზაციაში, როგორიცაა მებარგეთა კოლექტივი, რომელიც მგზავრების ბარგის გადაზიდვისგან შემოსულ ორ-ორი შაურობით არსებობს, ასეთი თანხის გადასანსვლა და ისიც ორი თვის განმავლობაში, დამეთანხმებით, დიდ გაქნილობათ უნდა ჩაითვალოს. ან კი რატომ არ „გაექნებოდა" ჩიკვაიძე, როცა სარევიზიო კომისიის წევრები ხელის შეშლის ნაცვლათ პირადი მაგალითით ყოველნაირათ ახალისებდენ ჩიკვაიძეს მის საგმირო საქმეებში. უნდა ითქვას სიმართლე, სარევიზიო კომისიის წევრებმა მეტი დამზოგველობა გამოიჩინეს კოლექტივის ფულების მითვისებაში. ერთმა მათგანმა—ზაქრაძემ გაფლანგა 165 მანეთი, ვაშაყმაძემ—563 მანეთი, უჯმაჯურიძემ—94 მანეთი, გიორგაძემ 155 მანეთი, დუნდუამ—175 მანეთი და მეტი, ჩემო ბიძიებო, აღარც იყო გაფხეკილ სალაროში.

ასე ჩამოიწინწილეს კოლექტივის ფულები ძმა ბიჭებმა. როგორც ეს საზოგადოთ ხდება ასეთ შემთხვევაში, გაფლანგულ ფულების ნაწილმა სამიკიტნოების სალაროებში ამოჰყო თავი. ქეიფობდენ ბიჭები შეხმატკბილებულათ, თან დახარჯულ ფულის ანგარიშს წიგნებში აკერებდენ, როგორც გასამართლებელ საბუთს შემდეგი წარწერით: „გადახდილია დუქანში ხუთი მანეთი". სარევიზიო კომისია ამაზე თავის ბეჭედს არტყამდა.

სულ კოლექტივის ფულებიდან ჩამოწინწილებულია 2.953 მანეთი. ჯერ-ჯერობით მხოლოდ ჩიკვაიძეს სცეს სათანადო ორგანოებმა სათანადო „პატივი". დანარჩენები კი თავისუფლად დასეირნობენ და გარედან აქახრაკებენ წამხდარ საქმეს. კოლექტივის წევრებში ეს სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს. სანამ უნდა გაგრძელდეს ასეთი მდგომარეობა? მანამდე ხომ არა, სანამ ეს [illegible] „კოლექტივისტები" მეორე „ჩამოწინწილების" შესაძლებლობას მოიპოვებენ?

ხხაპი.

ა.-კ. პროლეტ. მწერალთა პირველი ყრილობა

მესამე დღე

თანამედროვე ლიტერატურული ცხოვრება საბჭოთა კავშირში

მომხსენებელი ამხ. ავერბახი

თანამედროვე ლიტერატურული ცხოვრების შესახებ — ამბობს მომხსენებელი, საკითხი შემდეგნაირად არის დაყენებული: რუსეთის თანამედროვე ლიტერატურა ამჟამად კრიზისს განიცდის თუ ზრდის პერიოდს? ამხ. ლელევიჩის, პრეობრაჟენსკის და მათი მიმდევრების დასკვნით, ლიტერატურა იმყოფება კრიზისის პერიოდში, რაც გამოწვეულია თვით სოციალური შინაარსის კრიზისით. ასეთი დასკვნები ლიტერატურის შესახებ გამომდინარეობენ ოპოზიციის საერთო სოციალურ-პოლიტიკური კონცეპციიდან. მათი უიმედობა და პესიმიზმი საერთოთ თანამედროვე სოციალურ ეკონომიურ ცხოვრების მიმართ გადადის აგრეთვე ლიტერატურაშიც, რომლის წარმატება მათ დღევანდელ პირობებში არ სწამთ. მეორე შეხედულებით — სულ საწინააღმდეგო მდგომარეობაა, ვიდრე ამას ამტკიცებს ლელევიჩ-პრეობრაჟენსკი. თანამედროვე ლიტერატურა არამც თუ კრიზისს განიცდის, არამედ ზრდის და აყვავების პერიოდში იმყოფება. პირველ ყოვლისა, ლიტერატურული ცხოვრების გაცხოველებას ამტკიცებს თვით მკითხველთა მასის ზრდა. ბაზარზე წიგნი გაცილებით მეტი იყიდება, ვიდრე ოდესმე. ბიბლიოთეკებში იზრდება მხატვრული ლიტერატურის მკითხველთა რიცხვი. მხატვრული ნაწარმოები სადღება გამოცემამდე (დაკვეთით). მხატვრული ლიტერატურის მოთხოვნილებასთან ერთად მრავლდება გამომცემლობათა რიცხვი, უდავოა, — რომ მკითხველი მასით მზარდული ლიტერატურა სავსებით უზრუნველყოფილია და გასაღების მხრივ, არა თუ კრიზისს, არამედ არაჩვეულებრივ ზრდას განიცდის.

შეიძლება მხატვრული ლიტერატურა დაცემის ხანას განიცდიდეს შემოქმედების სფეროში? კრიზისს ადგილი არა აქვს არც შემოქმედების სფეროში, თუმც შემოქმედების განვითარება ყველა ლიტერატურულ ჯგუფებისათვის თანაბარი არ არის. ლიტერატურული ჯგუფი იმდენად, რამდენადაც იგი ახლო სდგას რევოლიუციასთან, სოციალისტურ მშენებლობასთან, უფრო მეტ შემოქმედებითი ძალას და უნარიანობას იჩენს, ხოლო რამდენადაც ლიტერატურული ჯგუფი ჩამოშორებულია თანამედროვეობას, იმდენად იგი კრიზისს უახლოვდება.

თანამედროვე რუსული მწერლობა შეიძლება დაიყოს შემდეგ ჯგუფებად: ახალი ბურჟუაზიული მწერლები, ძველი თანამგზავრები, ახალი თანამგზავრები და პროლეტარული მწერლობა. ახალი ბურჟუაზიული მწერლობა თავისი შემოქმედებით გამოხატავს ძველი ინტელიგენციის, მსხვილი გლეხობის-კულაკობის სულისკვეთებას, უსტრიალოვის მაგვარ განწყობილებას, (ბულგაკოვი, ზამიატინი) და ხშირად წარმოადგენს სოფლის პატრიარქალური ცხოვრების რეაქციონურ იდეალიზაციას (კლიჩკოვი). ბევრი ახალ ბურჟუაზიულ მწერალთაგანი თავის ნაწარმოების ფონათ ღებულობს რევოლიუციის წინა დროინდელ რუსეთის ყოფა-ცხოვრებას. რაც არ უნდა დამალონ ამ ახალ ბურჟუაზიული მწერლების შემოქმედების ბუნება და ხასიათი, იგი ჩვენი ახალი საზოგადოებისათვის მაინც მავნებელი და მიუღებელია. ნაწილი ახალი ბურჟუაზიული მწერლებისა ცდილობს ასახოს თანამედროვე ყოფა-ცხოვრება, მაგრამ ამ საკითხს მხოლოდ სქესობრივ ურთიერთობის ასახვით ამოსწურავენ. ამით ისინი აკმაყოფილებენ წვრილ ბურჟუაზიულ მკითხველის მოთხოვნილებას.

მეორე ჯგუფს მწერლებისას წარმოადგენენ თანამგზავრები, რომელთა სოციალური ბუნება წვრილბურჟუაზიულია. ამ ჯგუფის მწერალთა ნაწილი აღიზარდა და განვითარდა სამოქალაქო ომის პერიოდში და ახალი მშენებლობის პირველ ფაზისში. მათი ნაწერებიც გამოხატავს ჩვენი ბრძოლისა და მშენებლობის სხვა და სხვა ეტაპებს. მათ შემოქმედებას ახასიათებდა რწმენა, იმედი, საერთოთ ოპტიმისტური განწყობილება და რევოლიუციის მიღება. უკანასკნელ წლებში შემჩნეულია თანამგზავრული მწერლობის ფენებათ დაყოფა. ნაწილი თანამგზავრებისა შორდება რევოლიუციას, მათში უფრო და უფრო ფეხს იკიდებს უიმედობა, და ნათელი შეგნების ნაცვლად მათ ეუფლებათ მისტიციზმი — ბედისწერა (ვ. ს. ივანოვი).

ახალი თანამგზავრები ცდილობენ დაუახლოვდენ რევოლიუციას და თავისი ნაწარმოებით ეხებიან თანამედროვე ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებას. ახალ და ძველ თანამგზავრებს შორის არის თანამგზავრთა შუა ფენაც, რომლის შემოქმედება საკმაოდ გარკვეული არ არის. საერთოდ თანამგზავრული მწერლობა განიცდის კრიზისს. მწერალი შაგინიანი ამ კრიზისს იმით ხსნის, რომ მათთვის თანამედროვე ცხოვრებაში საკმარისად არ მოიპოვება ორგანიული საზრდო.

დასკვნა ასეთია: ძველმა თანამგზავრებმა უკვე დაკარგეს თავისი ჰეგემონია, რომელიც თანდათან გადადის პროლეტარული მწერლობის ხელში. პროლეტ მწერლობა რომ იპყრობს ჰეგემონიას, ამას ამტკიცებს ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების შემდეგი ფაქტები. პირველ ყოვლისა, როგორც ბიბლიოთეკების გამოკვლევა ამტკიცებს, ყველაზე მეტი ვრცელდება და იკითხება პროლეტარული მწერლობის ნაწარმოები. თემატიკა პროლეტარულ მწერალთა ნაწერებისა შეიცავს უფრო მეტ ყოველდღიურ საჭირბოროტო საკითხებს, ვიდრე სხვა ჯგუფის მწერალთა თემატიკა. მესამე, თვით მხატვრული ფორმების და სტილის სიძლიერე პროლეტ. მწერლებს უფრო ემჩნევათ, ვიდრე სხვა ჯგუფებს.

ყველა ეს ფაქტები ამტკიცებს, რომ პროლეტ. მწერლობა უკვე დაადგა ჰეგემონიის მოპოვების გზას.

შემდეგ ყრილობამ მოისმინა ამხ. ვანანდეცის მოხსენება პროლეტარული ლიტერატურის შემოქმედებითი გზების შესახებ.

ახალი კანონი სახელმწიფო საშემოსავლო გადასახადის შესახებ

საშემოსავლო გადასახადის ახალი კანონი არ სცვლის საფუძვლიანად გადასახადის სისტემას, შეაქვს მხოლოდ არსებითი შესწორებანი ა. წ. 1-ლ იანვრამდე მოქმედ დებულებაში. ცვლილებანი უმთავრესად ეხება მუშების, მოსამსახურეების და სახელმწიფო პენსიონერების დაბეგვრის წესს.

1. ახალი კანონის თანახმად მუშები, მოსამსახურეები და სახელმწიფო პენსიონერები იბეგრებიან: ა) თვიური განაკვეთებით მიმდინარე თვის ხელფასის ან პენსიის რაოდენობის მიხედვით, როგორც შეთავსებითი, ისე უმისოდ — თვითეულ სამუშაო ადგილში ცალ-ცალკე, თანახმად ახლად შემოღებულ № 1 განრიგებით დაწესებულ თვიურ განაკვეთებისა და ბ) წლიური განაკვეთებით წინა საგადასახადო პერიოდში მთელი წლის განმავლობაში სხვა წყაროებიდან, გარდა ხელფასისა და პენსიისა, მიღებულ შემოსავლის მიხედვით — საუბნო საგადასახადო კომისიებში, გადამხდელის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით და №№ 1 და 2 განრიგებებით დაწესებულ განაკვეთების თანახმად.

2. სავალდებულო ანარიცხები, რომლებსაც იხდიან საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წევრები ამ ორგანიზაციათა სასარგებლოდ, გამოირიცხება როგორც დაქირავებულ, ისე დაუქირავებელ პირადი შრომის პირთა დასაბეგრავ შემოსავლიდან მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ხსენებული ანარიცხები აღემატება გადამხდელის სათანადო შემოსავლის 10 პროც.-ს.

3. მუშების, მოსამსახურეების და სახპენსიონერებისათვის, რომლების კმაყოფაზე იმყოფება 3 სული, გადასახადის განაკვეთი მცირდება ერთი მეოთხედით, ხოლო —ოთხი— და ოთხზე მეტი ერთი მესამედით.

აღნიშნული შეღავათი არ ვრცელდება, უკეთუ გადამხდელის შემოსავალი აღემატება: ა) ხელფასიდან ან პენსიიდან — 350 მან. თვეში და ბ) სხვა წყაროებიდან, გარდა აღნიშნულისა, 3.000 მან. წელიწადში.

4) დაუბეგრავ მინიმუმებათ დაწესებულია: ა) თვიური: 1 ზოლში (თბილისი) — 100 მან., მე-2 ზოლში (ბათომი, ქუთაისი და თბილისის მაზრა) — 90 მან., მე-3 ზოლში (ყველა დანარჩენი ქალაქები და დაბები) 80 მან. და მე-4 ზოლში (ყველა დანარჩენი ადგილები)— 75 მან. თვეში და ბ) წლიური — დასაბეგრავ პირთათვის: ა) განაკვეთთა № 1 განრიგების თანახმად: 1-ლ ზოლში — 1.200 მან., 2—1080 მან., 3—960 მან. და 4—900 მან და ბ) განაკვეთთა № 2 და 3 თანახმად: 1-ლ ზოლში— 800 მან., 2— 700 მან., 3—600 მან. და 4— 500 მან.

5. გადასახადი შემოსავლის მიხედვით ხელფასიდან და პენსიიდან ა. წ. იანვრიდან დაკავებული უნდა იქნეს ყოველთვიურად ყოველთვის ხელფასის (პენსიის) უკანასკნელ მისაცემ თანხიდან

6. ახალი კანონი ახდენს სხვა კატეგორიების გადამხდელთა, გარდა მუშების, მოსამსახურეების და პენსიონერების, ერთგვარ გადაჯგუფებას და ადიდებს მოსახლეობის არა მშრომელ ელემენტების დაბეგვრას საშუალოთ 11-13 პროცენტამდე.

საბჭოთა საქართველო

წერილები

საჭიროა მეტი სიფრთხილე

საბჭოთა კანონმდებლობით გაუქმებულია მიწის კერძო საკუთრება და აკრძალულია მიწების ყიდვა-გაყიდვა. ეს ზომა მით აა გამოწვეული, რომ კულაკურ ელემენტებს, შეძლებულ გლეხობას წაერთვას საშუალება ღარიბი გლეხობის მიწების შესყიდვის და მით კვლავ მემამულის როლში გამოსვლის. მიწა ეკუთვნის იმას, ვინც საკუთარი შრომით ამუშავებს მას და ეძლევა იმდენი, რამდენის დამუშავებასაც შესძლებს.

შესაძლებლობის ფარგლებში, რამდენადაც ამას საქართველოს ბუნებრივი პირობები იძლევა, გლეხობა დაკმაყოფილებულია მიწის ნორმით. მართალია, ყველას არ მოეპოვება იმდენი, რამდენის დამუშავებასაც შეძლებს, მაგრამ ხელისუფლება ჭაობების ამოშრობით, მორწყვის საქმის უკეთ მოწყობით და გაუმჯობესებულ სასოფლო-სამეურნეო იარაღების გლეხობაზე მიწოდებით ცდილობს შეავსოს ეს დანაკლისი.

სწორედ მშრომელი გლეხობის ინტერესები მოითხოვენ მიწების ყიდვა-გაყიდვის აკრძალვას, მაგრამ ეს გარემოება ყველა გლეხს როდი აქვს შეგნებული. ხშირია შემთხვევები, როდესაც ამა თუ იმ საშუალებით სოფლად დღეს ხდება მიწების ყიდვა-გაყიდვა.

ამისათვის არსებობს „თავის დასაძრომი" ერთი საშუალება: როდესაც მიწის მფლობელს სურს გაყიდოს ესა თუ ის ნაკვეთი მიწა, ჩასდგამს შიგ პატარა შენობას, სწორედ ისეთს, რომლის დაშლა და გადატანა შეუძლებელია და ამგვარად ხელისუფლების დასანახად ვითომც ყიდის არა მიწას, არამედ სახლს.

კანონმდებლობის მიხედვით ასეთი კომბინატორები, გარდა იმისა, რომ მათ ნაყიდი მიწა უნდა ჩამოერთვათ, ისჯებიან აგრეთვე ლატუსალებითაც როგორც მყიდველი, ისე გამყიდველიც, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევებში ასეთები დაუსჯელიც რჩებიან, რაც უნდა მიეწეროს ადგილობრივი ხელისუფლების გულგრილობას. ეს გარემოება კი ათამამებს სხვებსაც, რომელთაც განზრახული აქვთ შემდეგში მიწის ნაკვეთების გაყიდვა.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ მავნე მოვლენამ განსაკუთრებით იჩინა თავი უკანასკნელ ხანებში, რასაც სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს.

უმთავრესი როლი ამ საქმეში ეკისრება ადგილობრივ პარტორგანიზაციებს, თემსაბჭოებს და თემაღმასკომებს. მათ ყველაზე უკეთ შეუძლიათ თავის დროზე გაიგონ მიწის ყიდვა-გაყიდვის შემთხვევები და აწარმოონ ასეთებთან ბრძოლა.

საჭიროა მეტი სიფრთხილე საბჭოთა კანონმდებლობის მტკიცედ დასაცავად.

მეთვალყურე.

კოოპერაციის როლი კულტურულ ფრონტზე

(წერილი საგარეჯოდან)

(საგარეჯოს თემი)

საგარეჯოს თემის კულტურულად დაწინაურების საქმეში დიდი როლი შეასრულა ადგილობრივმა კოოპერატივმა. ამით აიხსნება ის, რომ დღეს ადგილობრივ მშრომელთა საკმაო ნაწილი დარაზმულია მის რიგებში.

საგარეჯოში დღეს ყველა გრძნობს და ხედავს კოოპერაციის დიად საქმიანობას თემის კულტურულად ამაღლების საქმეში. საგარეჯოს თემის სკოლებში მოსწავლე მრავალ ობოლსა და ღარიბ მოწაფეს ყოველ წელიწადს კოოპერატივი უძენს თავის ხარჯზე წიგნებსა და სხვადასხვა სასწავლო ნივთებს, გარდა ამისა რაიონის პოლიტ-საგანმანათლებლო მუშაობის გაცხოველებაშიაც კოოპერატივს თავისი წვლილი შეაქვს. ქოხ-სამკითხველოებს, წითელ კუთხეებს, თეატრებს და სხვა ამგვარს—საგარეჯოს კოოპერატივი სისტემატიურად უწევს მატერიალურ დახმარებას. იგი იძენს მათთვის წიგნებს, უწერს ჟურნალ-გაზეთებს და სხვა.

საგარეჯოს ქოხ-სამკითხველოში კოოპერატივმა მოაწყო კოოპერატიული კუთხე, სადაც სწარმოებს მუშაობა გლეხობაში კოოპერატიულ ცოდნის ასამაღლებლად.

ყოველივე ამის შემდეგ თვითეული გლეხი დარწმუნებულია, რომ საგარეჯოს კოოპერატივი მას ემსახურება, როგორც სამეურნეო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში, ისე მის კულტურულად განვითარების საქმეში.

ვუსურვებთ საგარეჯოს კოოპერატივის ხელმძღვანელებს ამხ. პ. ქურდოვანიძეს და გაბრიელოვს მომავალში უფრო ნაყოფიერ მუშაობას.

ალ. ბ—ლი.

გლეხკომების გადარჩევა ქუთაისის მაზრაში

გლეხკომების გადარჩევის წინასწარი სამზადისი, როგორც გაფართოებული უჯრედების კრებებზე, ისე ღარიბ აქტივის კრებებზე მთელს მაზრაში დამთავრდა.

ყველა 50 თემში, შერჩეულია ახალი პლენუმის კანდიდატები მასიურ ყრილობაზე წარსადგენად, რომელნიც შეადგენენ ენერგიულ მუშაკებს გლეხკომებისათვის.

ძველმა გლეხკომებმა ჩააბარეს როგორც უჯრედებს, აგრეთვე თემის ღარიბ აქტივის კრებებს განვლილი მუშაობის საანგარიშო მოხსენებები, რაც მიღებული და შეფასებულია დამაკმაყოფილებლად, გარდა სამი თემისა..

ზოგიერთ თემში უკვე დამთავრდა არჩევნებიც და ახალი კომიტეტი შეუდგა მუშაობას. დანარჩენ თემებში კი არჩევნები დამთავრდება 25-დან 30 იანვრამდე, ხოლო სამაზრო ყრილობის მოწვევა განზრახულია 5 თებერვლისათვის.

მ. ჟორ—

წერილებიდან

მისაბაძი მაგალითი

ზესტაფონი

ზესტაფონის 7-წლედის პედაგოგიური საბჭო მადლობას უძღვნის ზესტაფონის წითელი ჯვრის საზ. გამგეობას, რომლებმაც დიდი დახმარება აღმოუჩინა სასკოლო აფთიაქის მოწყობას; იმერეთის მევენახეთა საზ. გამგეობას, ნახევარი ვედრო სპირტის უფასოდ დათმობისათვის და მოქ. ერმალო იაშვილს სკოლის ბიბლიოთეკისათვის 50 მანეთის ლიტერატურის შემოწირვისათვის.

პედაგოგიური საბჭო.

უნდა დაგვეხმარონ

ს. ხოტევი, რაჭის მაზრა

ამ სოფლის გლეხობა რამოდენიმე წელია თემის ცენტრში აშენებს სასწავლებლისათვის თლილი ქვის საუკეთესო შენობას, მაგრამ მისი დამთავრება მარტო ერთი სოფლის გლეხობისაგან დიდად საძნელოა. ამიტომ თემაღმასკომმა მასში მონაწილეობა უნდა მიაღებინოს თემში შემავალ დანარჩენ სოფლებსაც და აგრეთვე მაზრაღმასკომმაც უნდა აღმოუჩინოს მატერიალური დახმარება.

ვ. ყრუაშვილი.

სოფლის ქრონიკა

— **რომოსეული მამული.** აფხაზეთის მიწსახკომმა გადასცა ცენტრ. საცდელ-საჩვენებელ სადგურს.

— **საბინაო მშენებლობა.** გორის აღმასკომმა ბორჯომში საბინაო მშენებლობისათვის მთავრობიდან სესხად გამოითხოვა 30.000 მანეთი.

— **ქოხ-სამკითხველოების** გამგეთა გადასამზადებლად დუშეთის აღმასკომმა გადასწყვიტა გახსნას მოკლევადიანი კურსები.

— **ბაგა.** თელავის აბრეშუმის ძაფის სახვევ ქარხანასთან გაიხსნა ბავშთა ბაგა.

— **წყალსადენი.** სოფ. ცივწყაროში (სურამის თემი) გლეხებმა გადასწყვიტეს გაიყვანონ წყალსადენი.

— **ახალი სახლი.** ბათომის აღმასკომმა მუშათა ახალი სახლის ასაგებათ გადასდო 40.000 მანეთი.

— **მგლები.** ბაღდადის რაიონში დიდი თოვლის გამო გამოჩნდა მგლების ხროვები.

— **არტელი.** ბათომის რაიონში დაარსდა ახალი არტელი „შრომა", რომელსაც გადაეცა რამდენიმე დესეტინა მიწა დასამუშავებლად.

პარტიული ცხოვრება

9 იანვარი

დღეს ქუჩები ჩადრს მოისხამს
ქარი იქვითინებს,
მაღლით ზეცა ცრემლს დააფრქვევს,
ფერმკრთალ ბილდახინებს.
დღეს მუშები მოიგონებს
ტანჯულ შრომის შვილებს
გაპონების ოინებით
დაჭრილ - დახოცილებს.
დღეს ქუჩებში პროცესია
იგრძნობს მძიმე წუთებს,
მხეცურ ელეტის მოგონება
გაგვიახლებს წყლულებს.
მაგრამ დღეს ძმათა საფლავებს
ცრემლს ვინ დაატირებს,
შრომის დროშა დაუმშვენებს
საფლავს შრომის გმირებს,
დღეს მშრომელ ხალხის მაგიერ
ქარი იქვითინებს,
მაღლით ზეცა ცრემლს დააფრქვევს
ფერ მკრთალ ბილდახინებს.

ბ. ჩხიკვაძე.

—:—

სისხლიანი დღე

1905 წლის 9 იანვარი (ძველი სტილით) მსოფლიო მუშათა მოძრაობის და განსაკუთრებით კი ძველი რუსეთის მუშათა მოძრაობის უდიდესი ისტორიული დღეა. ამ დღეს პეტროგრადის ქუჩებში დიოდა პეტროგრადის პროლეტარიატის სისხლის ღვარი, რომელშიც ხელებს იბანდენ მშრომელი ხალხის ჯალათები, თვითმპყრობელური რუსეთის გენერლები.

მონარქიულმა მთავრობამ არ დაინდო ქუჩებში ეკლესიის დროშებითა და ხატებით გამოსული მშვიდობიანი პროლეტარიატი. მშრომელი ხალხის მოღალატე მღვდელ გაპონს, რომელიც თვითმპყრობელობის მიერ იყო დანიშნული მუშებში სამუშაოთ და მათში მღელვარების ჩასაქრობათ, წინასწარ ჰყავდა გაფრთხილებული მონარქიული ხელისუფლება, რომ 9 იანვარს ეკლესიის დროშებით გამოვიდოდენ პუტილოვის ქარხნის მუშები და მოითხოვდენ თავიანთი ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ჯალათები ტყვიით გაუმასპინძლდენ მშვიდობიან მშრომელ ხალხს. მათ არც ბავშვები და დედაკაცები დაინდვეს.

ეს იყო 1917 წლის დიად ოქტომბრის რევოლიუციის 12 წლის წინათ. 1905 წლის 9 იანვრის პრაქტ. დაარწმუნა რუსეთის პროლეტარიატი, რომ შეიარაღებულ ბრძოლის გარეშე შეუძლებელია პოლიტიკური თავისუფლების მოპოვება და ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესება. ოქტომბრის რევოლიუციით მუშათა კლასმა სამუდამოთ დაამხო თვითმპყრობელური ბურჟუაზიული მთავრობა და მის ნანგრევებზე აფრიალა ბრძოლის ქარცეცხლში გამობრძმედილი წითელი დროშა.

1905 წლის 9 იანვრის სისხლიანმა დღემ როგორც კერძოთ რუსეთის მშრომელ ხალხს, ისე მთელი ქვეყნის პროლეტარიატს აღუძრა თვითმპყრობელობისა და უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლის სურვილი. საბჭოთა კავშირის პროლეტარიატმა ოქტომბრის რევოლიუციის სახით შეასრულა ეს სურვილი. მან დაამსხვრია მონობის ბორკილი და დაარსა მტკიცე და ურყევი მუშურ-გლეხური ხელისუფლება.

მშრომელმა ხალხმა ეს შესძლო მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ამხ. ლენინის და მის მიერ შექმნილ კომუნისტურ პარტიის ხელმძღვანელობით.

დღეს საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი გლოვობს როგორც 1905 წლის სისხლიან დღეს, ისე მის უდიდეს ბელადის გარდაცვალების ოთხი წლის თავსაც, მაგრამ ამავე დროს ამტკიცებს და აკაჟებს თავის რიგებს, ყველა ქვეყნის პროლეტარიატს თავს უყრის ერთად-ერთ პროლეტარულ პარტიაში და გაერთიანებულ ძალით იბრძვის ლენინურ დროშის დასაცავად და მის საბოლოოდ გასამარჯვებლად.

პროლეტარი.

—:—

ორი დღე

დღეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების მშრომელი მასა გლოვობს ორ ისტორიულ დღეს. პირველი არის რევოლიუციის დიდი ბელადის და მასწავლებლის ვლადიმერ ლენინის გარდაცვალების დღე. გარდაცვალების ფიზიკურად, მაგრამ რომლის სახელი და საქმე მუდამ სცოცხლობს მშრომელი ხალხის ხელმძღვანელად.

მეორე დღე—ეს არის დღე ძველი თვითმპყრობელობის უხეში და პირსისხლიანი ბოროტმოქმედების გამომხატველი, რომელმაც სისხლის მორევში ჩაახრჩო სამართლიანობის მაძიებელი მშრომელი მასა. ეს დღე აღსანიშნავია როგორც ისტორიული სინამდვილე თვითმპყრობელობის ვერაგობისა და გაუტანლობის.

ამ ვერაგობის ნანგრევებს, საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელმა მასამ დიადი ლენინის ხელმძღვანელობით დაასვა სამუდამო დაღი მოგონებისა და მის ნაცვლად აღმართა მტკიცე და ურყევი მუშურ-გლეხური ხელისუფლება.

საბჭოთა კავშირის მშრომელი ხალხი გლოვობს ამ ორ დღეს—21—22 იანვარს და ფიცს სდებს რევოლიუციისათვის დაღუპულ გმირების ცხედრის წინაშე, რომ მტკიცეთ ატარებს და დაიცავს იმ წითელ დროშას, რომლისათვისაც იბრძოდა ის.

ჯაფარა-ფუმი.

—:—

9 იანვარი

პროლეტარიატი ყოველი წლის 9 იანვარს აღნიშნავს მოგონებით და გლოვით.

9 იანვარმა აგრძნობინა მუშათა კლასს, რომ მღვდლის ანაფორა ვერ გაუწევდა სამსახურს სოციალიზმის დაგვირგვინების საქმეში. ამ დღეს დარაზმულმა პროლეტარიატმა მიიღო ტყვიით დაკმაყოფილება და თავის რიგებიდან შესწირა საუკეთესო მებრძოლნი. მაგრამ ეს დამარცხება შეიქნა დიდი გაკვეთილი მომავლისა, რომელმაც მოგვიტანა ძლევამოსილი ოქტომბერი, რომელსაც უხელმძღვანელა უკვდავმა ბელადმა ილიჩმა.

დღეს გამარჯვებული პროლეტარიატი იგონებს წარსულს და ირაზმება საბოლოოთ გამარჯვებისათვის მსოფლიო მასშტაბით.

დორე-ისი.

—:—

საბჭოს წევრთა საერთო კრება

(მთავარ სახელოსნო)

17 იანვარს, რკინისგზების მთავარ სახელოსნოს ადგილკომში შესდგა მთავარ სახელოსნოს თბილისის საბჭოს წევრების საერთო კრება, რომელსაც დაესწრო საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, ამხ. მესხი.

მთავარ სახელოსნოში არსებულ საბჭოს [illegible] შესახებ, მოხსენება გააკეთა ამხ. [illegible]უბიშვილმა. მან გააცნო კრებას მაგიდის მუშაობა და აღნიშნა, რომ მუშა-მოსამსახურეთა განცხადებებს ქალაქის აღმასკომის სხვა და სხვა განყოფილებებში, აგვიანებენ ამა თუ იმ საკითხის მოგვარებას. ზოგს კი სრულებით არ აქცევენ ყურადღებას.

როგორც მომხსენებელმა განაცხადა, ლენინის უბანში, ავჭალის მიმართულებით ამ ბოლო ხანებში, ძალიან გამრავლდა მოსახლეობა, ჯერ კიდევ დაუგეგმავ მიწებზე. გარდა ამისა მოსახლეობის მხრივ დიდ ბოროტმოქმედებასაც ჰქონია ადგილი. ხშირად, აღმასკომის [illegible], იტაცებენ მიწას და შემდეგ ყიდიან.

კრებამ ამ საქმის გამოსარკვევად და მომავალში ასეთ ბოროტმოქმედების თავიდან ასაცილებლად, აირჩია კომისია, რომელმაც ერთი თვის განმავლობაში უნდა მოახდინოს ყველა მოსახლეობის აღრიცხვა და ჩარჩი სპეკულიანტები და უგეგმოდ დასახლებულნი აუცილებლად უნდა განიდევნონ იქიდან.

კრებამ დაადგინა აგრეთვე, მუშების განცხადებები იხილებოდეს კვირაში ორჯელ და განცხადების პატრონს კვირაში ორჯელ ეძლეოდეს პასუხი თავიანთ განცხადებებზე. მუშებმა იმედი გამოსთქვეს, რომ ეს დადგენილება გატარდება ცხოვრებაში. მით უმეტეს, რომ მთავარ სახელოსნოზე მომაგრებულია თბილისის საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ამხ. მესხი.

გ.

—:—

მუშკორთა წერილებიდან

— **ვთხოვთ სინათლე.** მალე ერთი წელიწადი შესრულდება მას შემდეგ, რაც კალინინის ქ. № 68-ში მცხოვრებმა მოქ. კობახიძემ განცხადება შეიტანა ტელასში ბინაზე სინათლის გაყვანის შესახებ. მაგრამ დღემდე ეს განცხადება უყურადღებოდ არის მიტოვებული. „ტელას"-ო, გვაღირსე სინათლე.

მარნელი.

— **მოგვეცით სპეცტანსაცმელი.** რკ. გზის წევის დარგის მუშებს მზეთავებს და სხვ. ჯერ კიდევ არ მიუღიათ სპეცტანსაცმელი. საუბნო კომიტეტო, გამოარკვიე, როდის დაარიგებს ადმინისტრაცია სპეცტანსაცმელს.

მზეთავი.

— **როდის დაარსებენ.** აღმასკომის მუშა-მოსამსახურეთა ერთ-ერთ საერთო კრებაზე დადგენილ იქნა დაარსებული იქნეს საავიაციო საზოგადოების უჯრედი. მას შემდეგ კარგა დრომ განვლო, მაგრამ უჯრედი ჯერაც არ არის დაარსებული. ვინ ამოიცნობს, როდის დაარსებენ აღნიშნულ უჯრედს?

მუშკორთაგანი.

ქრონიკა

ცაკის წევრების გამგზავრება

დღეს, საღამოს 9 საათსა და 40 წუთზე, მოსკოვის ღრუთ, თბილისიდან ბათომში მიემგზავრებიან საქართველოს ცაკის წევრები და კანდიდატები ცაკის სესიაზე დასასწრებლად ბათომში.

სესია გაიხსნება ბათომის აკადემიურ თეატრში 23 იანვარს, საღამოს 6 საათზე. ამ დღისათვის თეატრში იხსნება გამოფენა, რომელზედაც წარმოდგენილი იქნება აჭარისტანის სახალხო მეურნეობის განვითარების მაჩვენებელი დიაგრამები, კარტოგრამები და ფოტოგრაფიული სურათები.

საღამო აკადემიკოს ბეხტერევის ხსოვნის აღსანიშნავად

ორშაბათს, 23 იანვარს, საღამოს 7 საათზე საქართველოს მუზეუმის აუდიტორიაში შესდგება საქართველოს საფსიქოლოგიო საზ-ბის საგანგებო სხდომა აკადემიკოს ბეხტერევის ხსოვნის აღსანიშნავად. ბეხტერევზე მოხსენებებს წაიკითხავენ: პროფ. ანფიმოვი, პროფ. ზ. ახათიანი და პროფ. ხვ. ყიფშიძე.

თათბირი ხალიჩების ქსოვის განვითარების შესახებ

21 იანვარს გაიხსნა ამიერ-კავკასიის შინავაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ მოწვეული თათბირი ხალიჩების ქსოვის განვითარების შესახებ—ამიერ კავკასიაში. თათბირზე ჩამოვიდნენ აზერბეიჯანის, საქართველოს და სომხეთის შინამრეწველ კოოპერაციის და ხალიჩების მქსოველი არტელების წარმომადგენელნი და აგრეთვე ამიერ-კავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულები. პირველ სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენებები ხალიჩების ექსპორტის შესახებ სამი წლის განმავლობაში, ხალიჩების ქსოვის განვითარების ხელის შეწყობის, ჯეჯიმების წარმოების და ხალიჩის ქსოვის საქმის მდგომარეობის შესახებ აზერბეიჯანში.

136.000 მან. მოწყობილობის შემოტანა

ს. მ. უ. ს. ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებასთან შემდგარმა სპეციალურმა თათბირმა დაადგინა რესპუბლიკის კომუნალურ მეურნეობათა საჭიროებისათვის საზღვარგარეთიდან შემოიტანოს 136.000 მანეთის მოწყობილობა.

ეს მოწყობილობა განაწილებულ იქნება: ტრამვაის, წყალსადენის, მაზრებში არსებულ ელექტრო-სადგურების და სხვა კომუნალურ წარმოებათა შორის.

მუშების მომარაგება საქონლით

პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი მუშების იმ საქონლით მომარაგების შესახებ, რომლის ნაკლულოვანება არის ბაზარზე, მან საჭიროდ სცნო გამოყოს განსაკუთრებული კომისია მომარაგების საკითხის მოსაწესრიგებლად. პროფსაბჭოს სატარიფო განყოფილებას დაევალა დაამუშაოს საამისო კომისიის გამოყოფის საკითხი და დასვას შინავაჭრობის კომისარიატში; კომისიაში შევა საქართველოს პროფსაბჭოს წარმომადგენელი.

თვითმფრინავი „საქართველოს პროფკავშირები“

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს სალაროში სხვადასხვა პროფორგანიზაციებიდან თვითმფრინავის ასაშენებელ ფონდის გასაძლიერებლად შემოვიდა სულ 64.926 მანეთი 25 კაპ.

ს. პ. ქ. ს. პრეზიდიუმმა დაადგინა ეს თანხა გადასცეს წითელ ჯარს მისი არსებობის 10 წლის თავზე და სთხოვოს მას, რათა უკანასკნელმა ამ თანხით ააგოს თვითმფრინავი „საქართველოს პროფკავშირები“-ს და „თბილისის პროლეტარიატი“-ს სახელწოდებით.

შაქრის ქარხანა

საქართველოში შაქრის ქარხნის ამგებ კომისიის დავალებით მიწად-მოქმედების სახ. კომისარიატის ტეხნიკურ კულტურების ინსპექტორი ქურდიანი გაემგზავრა გორში, გორის რაიონში შაქრის ქარხნის ასაგებ ადგილის ამოსარჩევად. დღეს, ქურდიანი გორში წაიკითხავს ლექციას ჭარხლის მეურნეობის შესახებ საქართველოში.

„აგრონომის სახლი“

მიწა-ტყის სამეცნიერო-ტეხნიკურ ძალთა სექციას განზრახული აქვს თბილისში მოაწყოს „აგრონომის სახლი“. სახლთან დაარსებული იქნება სხვადასხვა სამეცნიერო სექტორები, როგორიცაა აგრონომიული, სატყეო, მიწისმზომელთა სექტორები. სახლთან აგრეთვე მოეწყობა სპეციალური კაბინეტები და შესაფერი ბიბლიოთეკა, საექსკურსიო და ცნობათა მიმწოდებელი ბიურო, საერთო საცხოვრებელი ბინა ადგილებიდან ჩამოსულ მუშაკთათვის და სხვა.

აგრეთვე განზრახულია სახლთან დაარსებული იქნას მეცნიერულ-საზოგადოებრივი კომიტეტები სოფლის მეურნეობის (ცალკე დარგების მიხედვით მათ შორის მესაქონლეობის, მემინდვრეობის. საზოგადოებრივი აგრონომიის და სხვ. კომიტეტები.

თბ. აღმასკომში

◆ ახალი გზები. მაზრაში ახალი გზების გასაყვანად გადაიდო 34.000 მანეთი.

◆ წყალსადენი. თბ. აღმასკომმა სოფ. გუდანელებში წყალსადენის გასაყვანად გადასდო 1200 მანეთი

◆ საბჭოს ქუჩაზე ნიაღვრების საწინააღმდეგო გვირაბის გასაყვანად კომუნალურ მეურნეობას გადაეცა 70.000 მანეთი.

◆ მტკვრის ნაპირების გასამაგრებლად გადაიდო 11.000 მ.

◆ სკოლების შეკეთება. 9 და 7 წლედების შენობების შესაკეთებლად და გასაფართოებლად განათლების განყოფილებას გადაეცა 10 ათასი მანეთი.

მიწსახკომში

◆ ღვინის სარდაფი. მიწსახკომმა მიავლინა სპეციალური კომისია ს. ხვანჭკარაში ღვინის სარდაფის ასაგებ ადგილის ამოსარჩევად. სარდაფი დაიტევს 300 000 ვედრო ღვინოს.

◆ აგრო-პუნქტების ქსელის გასაფართოებლად აგრონომიულ განყოფილებას დაევალა შეიმუშაოს სპეციალური გეგმა

შემთხვევები

კომინტერნის ქუჩაზე მომხდარ უბედური შემთხვევის მიზეზების გამორკვევა

გუშინ, მეორე უბნის სახალხო გამომძიებელმა ლ. ვაჩნაძემ დაჰკითხა მთელი რიგი მოწმეები.

დაკითხვიდან გამოირკვა, რომ ოქ. ნიკოლოზ ზაკუტოვი და მიხეილ პეტროვი კომინტერნის ქუჩიდან (№ 5 სახლის პირდაპირ) გადადიოდნენ ქუჩის მეორე მხარეზე. ქუჩის შუა ადგილას შეამჩნიეს დიდი სისწრაფით მომავალი ავტომობილი, რომლის მოახლოვებისას მათ ერთმანეთს ჩასჭიდეს ხელი და ცდილობდნენ თავი დაეღწიათ მოსალოდნელ უბედურებისაგან, მაგრამ შოფერმა მგზავრების დანახვაზე არ დაამუხრუჭა ავტომობილი, რასაც მოჰყვა უბედური შემთხვევა.

დადასტურდა, რომ შოფერს ავტომობილი მიჰყავდა დიდი სისწრაფით.

ზაკუტოვის და პეტროვის დაკითხვიდან გამოირკვა, რომ შოფერმა მათ არ მისცა გამაფრთხილებელი სიგნალი.

აბანოს გაქურდვა

გუშინწინ ღამით მორგებული გასაღების საშუალებით გაქურდეს გოგილოს აბანო (კახეთის ქუჩა ნომერი 25). წაიღეს 60 მანეთის ნივთები.

ჯიბგირების დაპატიმრება

გუშინ სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა აპო ხალილოვი, ივანე პავლეს ძე ფლოროვი და ნიკოლოზ ზალიკოს ძე მჭედლიშვილი.

ხსენებულ პირებს ბრალდება ჯიბგირობა.

თვითმკვლელობა

გუშინ, სისხლის სამართლის მილიციაში მიიღეს ცნობა, რომ 19 იანვარს, ავჭალის წყალსადენის სამმართველოში „ნაგანის“ რევოლვერით თავი მოიკლა ამავე სამმართველოს თანამშრომელმა ვლიკო სილიბისტროს ძე ძახჯგალიძემ.

თვითმკვლელობის მიზეზი ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია.

აფერისტების დაპატიმრება

გუშინწინ, სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა მიკირტიჩ სედრაკის ძე კამათანიანცი, ალექსანდრე ივანეს ძე კაუფმანი და ნიკოლოზ გიორგის ძე პავენსკი.

როგორც გამოირკვა, ხსენებული პირები ყოფილან დახელოვნებული სისხლის სამართლის დამნაშავენი.

ხსენებული აფერისტები დაიარებოდნენ თბილისის მაღაზიებში; მაღაზიის პატრონებს ეცნობოდნენ, როგორც მსხვილი სავაჭრო ფირმის წარმომადგენლები და ყალბი დოკუმენტების საშუალებით არწმუნებდნენ მათ, რომ ისინი თბილისში მივლინებული არიან „კომერციული მიზნით“.

ბევრი გულუბრყვილო მოქალაქე შეიქნა ამ აფერისტების მსხვერპლი

ხშირად აფერისტები შემდეგ ოინს მიმართავდნენ: როცა ქუჩაში, სადმე შესაფერ ადგილას დაინახავდნენ კარგად ჩაცმულ მოქალაქეს, ერთი მათგანი მივიდოდა მოქალაქესთან და ეტყოდა, რომ ძვირფას ნივთებს ჰყიდის დაკლებულ ფასებში. როცა მოქალაქე შეაძლევდა მას თავის ფასს, მასთან მიდიოდა მეორე აფერისტი და ნივთის „გამყიდავს“ შეაძლევდა უფრო მეტ ფასს. „ვაჭრობაზე“ თავს იყრიდნენ დანარჩენი აფერისტებიც, ანიშნებდნენ ერთმანეთს და მოქალაქეს გახდიდნენ პალტოს და გარბოდნენ.

ერთმა მოქალაქემ, რომელსაც ამგვარი ხრიკებით პალტო წაართვეს, მომხდარი ამბის შესახებ განაცხადა ს. ს. მილიციაში, რომელმაც ლიკვიდაცია უყო აფერისტთა ორგანიზაციის ყველა წევრებს.

ხანძარი

გუშინ, დილით ხანძარი გაუჩნდა კოოპერატიული ამხანაგობის სახლს (კალინინის ქ. ნომერი 63).

ხანძარი 12 წუთში ჩააქრო ცეცხლის მქრობელმა რაზმმა.

როგორც გამოირკვა, ხანძარი გაჩნდა საკვამლე მილის უსუფთაობის გამო.

ხელოვნება

სახელმწიფო აკადემიური ოპერა

„ტრილბი“

ყოველი თეატრის საერთო აკადემიურობა მტკიცდება მისი შემოქმედების ხასიათით და გამოიხატება მის რეპერტუარში. ოპერა „ტრილბი“, რომელმაც სამი წლის განმავლობაში მოიპოვა მტკიცე ადგილი ჩვენი ოპერის რეპერტუარში და რომლის განახლება ამ სეზონში ჩვენ ვიხილეთ ა. წ. იანვრის 20-ს, ვერც თვითონ შეიძენს უკვდავებას, და ვერც ჩვენ თეატრს მიანიჭებს აკადემიურობას. ოპერის იდეოლოგიური მხარე ყოვლად დაშორებულია თანამედროვე ცხოვრების ტემპიდან, გაუცხოებულია რევოლუციონურ მასის ფსიქიკისათვის და წარმოადგენს გულჩვილ მოქალაქეთა ცრემლსადენად აშენებულ მეშჩანურ-სენტიმენტალურ დრამას. რაც შეეხება ოპერის მუსიკალურ მხარეს, იგი შესდგება სუსტი შინაარსის ფრიად საინტერესო ინსტრუმენტალობასთან უცნაურ შეთანხმებებიდან. შინაარსის სისუსტე გამოიხატება იმაში, რომ იგი სრულებით არ შეიცავს მხატვრულ ინდივიდუალობას ან და გარკვეულ გეზს მხატვრულ დამოუკიდებლობას არსად აქვს ადგილი. ოპერის თითქმის ყველა თემატიურ კუთხეებიდან გამოიცქირებიან ჩვენი ძველი სხვადასხვა მიმართულების ფრიად პატივცემული ნაცნობები, მაგალითად ჩაიკოვსკი, ბიზე, სკრიაბინი, სინდინგი, სიბელიუსი, შოპენი, როცა თვით ავტორის ვერ გამოურკვევია თავისი მხატვრული მიმართულება—მისი ნაწარმოების აკადემიურობაზე ზედმეტია ლაპარაკი.

ამას უფრო ამტკიცებს ის ყოვლად შეუწყნარებელი დილეტანტიზმი, რომელსაც მეტ დროდ მოუკალათებია იურასოვსკის ოპერაში. ოპერა და სიმფონია ხასიათდებიან მუსიკალურ აზრის სერიოზულ განვითარებით, გაფართოვებით და გაქანებით და თუ ეს თვისებანი შეიზღუდება ვიწრო ფარგლებით მუსიკალური აზრის განუვითარებელ ნაწყვეტებით (რომანსების სტილი) და თუ რომ მუსიკალურ შთაბეჭდილების და ზეგავლენის მისაღწევად ავტორი იძულებულია მიმართოს სანტიმენტალური მელოდეკლამაცია, სტვენა და ყვირილი, ბევრი სხვა ოპერისათვის გამოუსადეგარი რესურსები და კომპოზიტორ შოპენის ნიჭი (ორკესტრიდან განცალკევებული დაკვრა როიალზე მისი თხზულებებისა) ცხადია, ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა აკადემიურობასთან, არამედ ნიღაბჩამოხსნილ დილეტანტიზმთან.

ფრიად საყურადღებოა აგრეთვე ის გარემოება, რომ თითქმის არც ერთი მუსიკალური თემა არც „ზეგავლენით“ დაწერილი და არც საკუთარი, არ არის ავტორის მიერ სრულიად დამუშავებული და გაფართოვებული. ამიტომ მთელი ოპერა იშვიათი გამონაკლისების გარდა წარმოადგენს მრავალფეროვან თემატიურ წვრილ ნაწყვეტების ძაფს. ეს ძაფი ღებულობს სხვადასხვა ყოვლად მოულოდნელ და ხშირად გაუმართლებელ მოხაზულობას და ხშირად ამ ძაფის შესამაგრებელ მასალად ავტორი იძულებულია გამოიყენოს მსახიობთა უბრალო ლაპარაკი.

სრულიად სხვა სურათს წარმოადგენს ოპერის ინსტრუმენტალობა. სრული შევსება ბგერათა სხვადასხვა ელფერის შეთანხმებისა, ინსტრუმენტების სხვადასხვა ჯგუფების კარგი კომბინაციები, ორკესტრის კარგი ხმოვანება, ლირიული დამახასიათებელი მომენტები, პსიქოლოგიურ მომენტების ხაზგასმულობა—ყველა ეს მაჩვენებელია ავტორის ნიჭიერებისა ინსტრუმენტალობის სფეროში და ძნელად დასაჯერებელია, რომ სუსტი მუსიკალურ აზროვნებისა და ფრიად საინტერესო შემოქმედება ინსტრუმენტალობის სფეროში—შეფარდებული იყვნენ ერთ და იმავე პირობებში. საერთოდ ამ ოპერას ახასიათებს მცირე მუსიკალური შემოქმედება, რომელიც გადმოცემულია ინსტრუმენტალური სიმდიდრის საშუალებით.

სუსტად უნდა ჩაითვალოს ასრულება მარკოვას მიერ „ტრილბი“-ს როლისა. თბილისს უნახავს საუკეთესო ტრილბი ბოკოვას ასრულებაში და ამიტომ მარკოვასთვის საჭირო იყო ამ როლის დიდი ყურადღებით დამუშავება, როგორც ვოკალურად, ისე სცენიურად. ტრილბის ტრაღედია გამოიხატება არა მის მოტყუებულ სიყვარულში, არამედ სვენგალის ზეგავლენით სულის დამონავებაში და ეს დამონავება მარკოვამ ვერ განახორციელა სცენიურად. ვოკალურად კი საჭირო ადგილებში ტანჯვის გამომხატველ და გულჩამწყდომ ინტონაციას ადგილი არა ქონია.

მენსიოვს ჩვეულებისამებრ მშვენივრად აქვს შესწავლილი სვენგალის როლი და არ არის ამიტომ გასაკვირი, რომ იძლევა მთლიან და მხატვრულ შთაბეჭდილებას. განსაკუთრებით კარგად შესრულა მან ძნელი არია „მორგ“-ის შესახებ და საუკეთესოთ წარმოგვიდგინა სვენგალის სულის განცდა მე-4 სურათში.

ფრიად რეალური იყო ვენაძე სენდის პატარა როლში. მსახიობის ბრალია, რომ ამ როლს აშენებდა ხმის მაღალ ფარდებში, რითაც ხელს უშლიდა თავის თავს ხმის სასიამოვნო მოხმარების უნარის გამოჩენაში. კულაგინმა ვოკალურად დამაკმაყოფილებლად ჩაატარა ბილლის როლი, მაგრამ სცენიურად გათამამებულ და მდიდარ არისტოკრატის სახის მაგივრად—გვიჩვენა რაღაც მკრთალი რომეოს სურათი. ნემანმა მედიდური ლედი—ბეგოტის მაგივრად გვაჩვენა დარბაისელი სახე თანამედროვე მოქალაქისა. ტიპიური იყო დემიანენკო მხიარულ მიგებაში ჩართულ სანდის როლში.

ოპერის უმთავრეს ნაწილს—ინსტრუმენტალობას დიდის ხელოვნებით ხელმძღვანელობდა სახალხო მსახიობი ი. ფალიაშვილი, ისე რომ არც ერთი საყურადღებო ადგილი ინსტრუმენტალობისა არ დარჩა მის მიერ ხაზგაუსმელი.

კ. მელვინეთ-უხუცესი (გობოი)

ლენინის ხსოვნის საღამო

სახელმწიფო ოპერაში

დღეს საღამოს, სახელმწიფო ოპერის თეატრში გაიმართება ლენინის ხსოვნის საღამო. პირველად შესრულებული იქნება შოპენის სამგლოვიარო მარში, შემდეგ წარმოდგენილი იქნება ოპერა: „არწივთა აჯანყება“. დასასრულ ინტერნაციონალი.

განათლების მუშაკთა სახლში

განათლების მუშაკთა სახლში დღეს წაკითხული იქნება მოხსენება ლენინის ცხოვრება-მოღვაწეობაზე და „9 იანვრის“ მნიშვნელობის შესახებ. შემდეგ გაიმართება სიმფონიური კონცერტი.

მუშათა ახალ კლუბში

დღეს, საღამოს 8 საათზე მუშათა ახალ კლუბში ლენინის გარდაცვალებიდან 4 წლის თავის აღსანიშნავად გაიმართება დიდი საღამო. საღამოს წინ წაკითხული იქნება მოხსენება. შემდეგ ადგილობრივი დრამატიული წრის მიერ წარმოდგენილი იქნება „ხუთი წუთი“.

ასეთივე საღამოები გაიმართება მუშათა დანარჩენ კლუბებშიც.

ხელოვნების ქრონიკა

◆ პროფ. ე. ლანსერეს მოხსენება. დღეს, დილის 12 საათზე სამხატვრო აკადემიის კლუბში პროფ. ე. ლანსერე წაიკითხავს მოხსენებას: „პარიზის მხატვრობა“. მოხსენების შემდეგ გაიმართება კამათი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ მხატვარი ლადო გუდიაშვილი და დ. შევარდნაძე.

◆ კ. გამსახურდიამ გერმანულიდან თარგმნა ვერტერი. წიგნს სცემს „ქართული წიგნი“.

◆ „რღვევა“. ახლო ხანში რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება პრემიერა: „რღვევა“ („რაზლომ“) დადგმა ა. ახმეტელის.

◆ ახალი წიგნი სოფიო მგელაძემ დასწერა ახალი წიგნი: „ლიანა ლორდია“.

◆ ია ეკალაძის ავადმყოფობა. მწერალი ია ეკალაძე ამჟამად მძიმე ავადაა და მოთავსებულია სახ. უნივერსიტეტის კლინიკაში.

„პროლეტარული მწერლობა“

გამოვიდა ჟურნალ „პროლეტარულ მწერლობა“-ს № 11, № 12 შემდეგი შინაარსით: რედაქციისაგან, საქართ. პროლეტ. მწერლების მეორე ყრილობისათვის. პოეზია: ა. მაშაშვილი „ჩემი ცხოვრების მთავარი თემა“. (ძღ. დ. რონდელს), ი. ვაკელი — „შენ თუ გგონია“, კ. ლორთქიფანიძე — „ერევნიდან ეჩმიაძინამდე“. ილ. ხოშტარია — „ორი დღე ტომსკელ კომკავშირელთან“, ფ. ნაროუშვილი — „ამბავი არტემ ნაბარაგალის“, ა. ბობოხიძე — „სასტიკი გაფრთხილება“, შ. ნავთლუღელი — „ცხრას ოცდა მერვიდს“. მოთხრობა: პ. სამსონიძე — „დიდი ბლინდა ყვირილაძე“, ჩანახატი —„დაშლილი ტალღა“. დრამა: ი. ვაკელი „ნასაკირალი“, თეორია და კრიტიკა: ვ. სუტირინი — „საბჭოთა ამიერ-კავკასიის თანამედროვე ლიტერატურა“. ვ. ლუარსაბიძე — „ა. მაშაშვილი“ (კრიტიკული შენიშვნები), დ. რონდელი „თემის საკითხი“ (საუბარი ერთ პროლ. მწერ.), შ. რადიანი „კონს. ლორთქიფანიძე“. ალ. სულავა— „შენიშვნები ლიტერ. თანამგზავრობაზე“, ბიბლიოგრაფია: ა. ე.—„ი. დავითაშვილი“, ა. სულავა — ე. სინკლერი „მეფე ნახშირი“, შ. კელერმანი — „გვირაბი“, ჟურ. მოთავსებულია ქრონიკა.

კინო

„მთის კანონი“ *)

სახკინმრეწვის დადგმა.—რეჟისორი მიხინი.—ოპერატორი—პოლიკევიჩი

ამ რამოდენიმე ხნის წინათ მოხდა სახკინმრეწვის ხელმძღვანელ აპარატის და საერთოდ მხატვრული და წარმოებითი კურსის სრული გამოცვლა. ეს სურათი, მაშასადამე, ახალი ხელმძღვანელობის და ახალი კურსის პროდუქტი არის. მით მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს საბჭოთა საზოგადოებრიობამ მას. სახკინმრეწვის ახალი კურსი ნიშნავდა, მთელი მუშაობის მობრუნებას თანამედროვე მასალისაკენ, მისი მხატვრულ ფორმებში ასახვას. არა ერთხელ აღგვინიშნავს ის გარემოება, რომ შეუძლებელია ჩვენმა კინემატოგრაფიამ არ დაინახოს თანამედროვე ცხოვრება და ის მეტად საინტერესო კოლიზიები, რომელიც თან მოაქვს ახალ ყოფას. ლენინი მოითხოვდა, რათა ჩვენი კინემატოგრაფია გადაქცეულიყო ერთერთ საშუალებათ მასების კულტურულ დონის ამაღლებისა და მათი აღზრდისათვის. სამწუხაროთ ამ მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს ჩვენი კინემატოგრაფიის პროდუქცია. სახკინმრეწვი ამ უკანასკნელ წლებში მოექცა საშინელ ჩიხში. ის ვერ გამოვიდა ძველი მასალიდან. საკვირველი მდგომარეობაა! მაშინ, როდესაც საკავშირო კინემატოგრაფია იძლევა თანამედროვე სურათებს, როგორიც არის: „ჯავშნოსანი პოტიომკინი“, „დედა“, „სანკტ-პეტერბურგის დასასრული“ და ბევრი სხვა, ჩვენი „ამოკებს“ და „იბრაგიმ და გოდერძებს“ ვერ გავშორებივართ.

სრულებით დაუშვებელია ისეთი მდგომარეობა, როდესაც ჩვენ არც ერთი სურათი არ მოგვეპოვება სოფლის ეკრანისათვის, ბავშვებისათვის არც ერთი მეცნიერული ან საწარმოო ფილმი, სამაგიეროთ არის ათიოდე „ბელლა“, „თავადის ასულის მერი“ ბევრი ამდაგვარი სისაძაგლე. დროა რომ სახკინმრეწვი მოუბრუნდეს ჩვენ ცხოვრებას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სახკინმრეწვისათვის არ არის ორი გზა. ის ან უნდა წამოვიდეს თანამედროვეობისაკენ, ან, თუ არა, უფსკრულში გადავარდება და დაიღუპება.

სურათი „მთის კანონი“ ზემოდ თქმულის სრული ილიუსტრაციაა. ნუ თუ ჩვენ მთაში რეჟისორმა მიხინმა და სახკინმრეწვმა სისხლის აღების ადათის გარდა ვერაფერი დაინახა? ნუ თუ ვერ იქნა შემჩნეული ის ახალი პროცესები, რომელთაც ადგილი აქვს დღეს მთაში? მთაში ახალი ცხოვრება იბადება, საპიონერებს სვანეთის მთებში გზა გაჰყავს, აჭარისტანის შორეულ მთებში სოფლის საბჭოს თავმჯდომარეთ სოფელმა ერთხმათ ახლახან ჩადრ მოხდილი ქალი აირჩია. ნუ თუ ეს ფაქტები უფრო მეტ მასალას არ იძლევიან ჩვენი კინემატოგრაფიისათვის, ვიდრე მოძველებული ადათი? შეიძლება გვითხრან სისხლის აღებას ახლაც აქვს ადგილი მთაში. ეს მართალია, მაგრამ განა ეს ისეთი ტიპიური მოვლენაა, რომ ყოველთვის ის აუცილებლათ ეკრანზე უნდა გადავიღოთ? ჩვენი კინემატოგრაფია ეგზოტიურ სანახაობიდან აუცილებლათ უნდა გადავაქციოთ ახალი ცხოვრების მშენებლობის უძლიერეს ფაქტორად. ამ მხრივ „მთების კანონი“ სრულებით გაუმართლებელი და დასაგმობი სურათია.

ვერც ტეხნიკურად არის კარგად შესრულებული სურათი. შეუძლებელია ძველი ნატურალისტურ ხერხებით თანამედროვე კინემატოგრაფიულ ფაქტის შექმნა. სურათი მოკლებულია დინამიკას, რაც ახასიათებდა და რითიც გაიმარჯვა მიხინის პირველმა სურათმა „აბრეკ ზაურ“-მა. მსახიობები თამაშობენ მეტად სუსტად, პსიქოლოგიური მეთოდის საშუალებით, რითაც ვერავითარ ეფექტს ვერ აძლევენ მაყურებელს. მართალია არის ორიოდე ადგილი, სადაც ბესტაევი და სანოვი იძლევიან საინტერესო მომენტებს, მაგრამ ეს გამონაკლისია. მეტად სუსტია სემიონოვი. ის მაყურებელზე ახდენს მთაში შემთხვევით ჩასულ გიმნაზისტის შთაბეჭდილებას.

სცენარის კონსტრუქცია მეტად სუსტია. სცენარისტი, როგორც ეტყობა, შეეცადა მოეცა მთიულების ყოველდღიური ცხოვრება, მაგრამ ეს მომენტი სრულებით არ არის დრამატიულად დაკავშირებული სიუჟეტის შემდგომ განვითარებასთან და ამისათვის მაყურებელისათვის სრულებით იკარგება სურათის პირველი ნაწილების (სადაც ნაჩვენებია ყარაჩოღელთა ცხოვრება და მუშაობა) შედარებით საინტერესო ადგილები. სურათში არ არის არც ერთი საინტერესო კონსტრუქციით მოცემული კადრი (გარდა ორისა, როდესაც ხე ეცემა და მეორე—ბესტაევი სახრჩობზე). სურათი სავსეა თეატრალური მიზანსცენებით. განსაკუთრებით პავილიონში გადაღებული კადრები.

ვ. მაჭავარიანი

---

*). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ „ზაკონ გორ“ რომ თარგმნილი ყოფილიყო „მთის ადათი“ უფრო სწორი იქნებოდა.

სასამართლო

მილიციელი კვარტებით

აგვისტოს საღამოა. მოქ. იმერლიშვილი თავის სტუმარს უმასპინძლდება და გართულია მასთან საუბარში.

დაღამდა. ელექტრონის შუქმა გაანათა. იმერლიშვილს მოესმა ფეხის ხმა და ფანჯარას მოადგა მთვრალი მოქალაქე მილიციის ფორმაში.

— ვინა ხართ? რა გნებავთ?

— ვსიო რავნო კტო ბი ნი ბილ ზდეს„— რიხით იძახის მილიციელი.

— მაინც რა გნებავთ?

— „რაზრეშიტე ეტო მნე ზნატ“..

— ამხანაგო, თუ რამე საქმე გაქვს, სთქვით. არა და რა ზრდილობაა სხვის ოთახში ცქერა, — მიმართავს მილიციელს იმერლიშვილის სტუმარი.

— იცით თუ არა მე ვინა ვარ?

— როგორც გეტყობათ მილიციელი ხართ, მაგრამ ისიც გეტყობათ, რომ ვერ ხართ დანიშნულების სიმაღლეზე.

— რაო? მე თქვენ გიჩვენებთ თვენი ასე და ისე.. მე ვარ მთვრალი?..

მილიციელმა გადმოალაგა სიტყვები, რაც კი რამ გაუგონია ქუჩის ნაძირალებისაგან. მასდგო სტუმარსაც და მასპინძელსაც და არ დაუტოვებია შეუგინებელი არც ცოცხალი და არც მკვდარი.

აღელვებული იმერლიშვილი გაიქცა მე-12-ე სამილიციო უბანში და მოახსენა ყოველივე საუბნო მილიციის უფროსს წერეთელს. უფროსი იმ წამსვე გაეშურა იმ ადგილას, სადაც ამბავი მოხდა.

მივიდა და ხედავს ასეთ სურათს.

საუბნო მილიციის უფროსი თანამშრომელი ალექსი მეგრელიშვილი ღვინით გალეშილი ზის გასტრონომიულ მაღაზიაში დახლის შიგნით, წინ უდგას კვარტი და ხელში უჭირავს სავსე ჩაის ჭიქა. ამავე მილიციის მეორე თანამშრომელი პეტრე კოლუმბეგოვი ჩამომჯდარა დახლზე და მაღალის ხმით „სოლოს“ მღერის.

— რა ამბავში ხართ, რას ჩადიხართ, არა გრცხვენიათ, ფორმას მაინც ნუ ატარებთ, — აღელვებულის კილოთი შეხიშნა უფროსმა წერეთელმა.

— ააა! „ვაშე ბლაგოროდიე“, ამ ცხელ გულზე ერთი ჭიქა ღვინო მოგიხდება. ცოტა კილოს დაუწი, ძორემ..

— წამოდი ეხლავე კომისარიატში, უბრძანა უფროსმა.

ალექსი და პეტრე [illegible] იბერტყავენ და „ბრუდერშაფტად“ მიირთმევენ სადღეგრძელოს. დალიეს, გადაკოცნეს ერთმანეთი და ზედ დააყოლეს დედის გინება.

ავად იყო თუ კარგად, მეგრელიშვილი და კოლუმბეგოვი მიიყვანეს ძალით კომისარიატში. ჯერ მთელი დაიდარაბა დასჭირდა „კვარტისტებისათვის“ იარაღის აყრას.

შემდეგ კიდევ ლანძღვა-გინების კორიანტელი დააყენეს ჩვეულებრივ, სანამ საპატიმრო ოთახში არ შეაგდეს.

— რა გინდოდათ, სხვის ოთახში რომ იჭყიტებოდით? — ეკითხებიან წინასწარ გამოძიების დროს მეგრელიშვილს.

მეგრელიშვილი „განმარტავს“, რომ „საჭიროების ადგილი ეგონა“ და რომ არ აღმოჩნდა, ნაწყენი დარჩა.

— იყავით თუ არა ძლიერ მთვრალი?, — ეკითხებიან პეტრე კოლუმბეგოვს.

კოლუმბეგოვი ამბობს, რომ ოთხი კვარტი ღვინო დავლიეთ, მაგრამ მაინც ფხიზლად ვიყავითო.

საქმე გაირჩევა მოკლე ხანში.

ე. წამალაშვილის საქმე

თბილისის სამაზრო-საქალაქო სასამართლომ გუშინ გაარჩია მოქალაქე ესტატე წამალაშვილის საქმე.

წამალაშვილი მსახურობდა თბილისის რკინის გზის მთავარ სახელოსნოში ქვაბის გამხურებლის თანამდებობაზე.

მორიგეობის დროს მას დაავიწყდა ქვაბში წყლის ჩამატება, ქვაბი დაზიანდა, რითაც დაწესებულებამ იზარალა 538 მანეთი.

წამალაშვილს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ერთი წლით, რაც შეეცვალა პირობითად.

ვერ.

„პასუხისმგებელი“ ნოქარი

მოქ. სვიმონ გონჯიაშვილი თიანეთის კოოპერატივში მუშაობდა პასუხისმგებელ ნოქრად.

ერთი ცუდი ზნე სჭირდა გონჯიაშვილს. საქონელს არიგებდა ნისიად ისე, რომ არც კი იწერდა ვის რას აძლევდა.

ხათრიანი კაცი იყო სვიმონი. ამხანაგებს და ნაცნობ-მეგობრებს შუაღამეზედაც გაუღებდა კოოპერატივს რასაკვირველია, როცა „ზარხოშად“ იყო.

ამრიგად „პასუხისმგებელმა“ „ნოქარმა თავისი უპასუხისმგებლობით და დაუდევრობით 479 მანეთი აზარალა კოოპერატივს.

— მე იმაში ვარ დამნაშავე, რომ ხალხს ვენდე. რა ვიცოდი, თუ ნამუსს შეირცხვენდნენ და ნისიას არ გაისტუმრებდნენ, — განაცხადა გონჯიაშვილმა.

გონჯიაშვილი მიცემულია პასუხისგებაში.

„მწყემსში“

მატყლის ექსპორტი

„სოფლის კავშირ“-მა რუსეთის მესაქონლეობის კოოპერაციასთან დასდო ხელშეკრულება 53.000 ფ. მატყლის დამზადების შესახებ. მეცხვარეთა საზოგადოება „მწყემს“-მა დადებულ ხელშეკრულების შესასრულებლათ უნდა დაამზადოს 27.000 ფ. გაზაფხულის მატყლი.

მწყემსების მომარაგება საქონლით

„მწყემს“-მა შუამდგომლობა აღძრა ა.-კ. ვაჭრობის კომისარიატის წინაშე, რათა მწყემსებს მიეცეს ხორბლის, ქერის და მანუფაქტურის საჭირო რაოდენობა.

საზოგადოებამ თავისი წევრების უზრუნველსაყოფათ ხორბლითა და ქერით ხელშეკრულება დასდო ახალ ქალაქის „ეპოსთან“ 3.000 ფ. ხორბლისა და 3.000 ფ. ქერის დამზადების შესახებ

ხორცის ბაზარზე

საზოგადოება „მწყემსი“ [illegible] ფეხა საქონელს ღებულობს ჩრდილოეთ კავკასიიდან.

იანვრის 15-მდე მორეკილია 800 სული საქონელი, 80.000 მან ღირებულების. თებერვალში განზრახულია 100.000 მან. საქონლის დაკვლა.

ხორბლის გაგზავნა

საძოვრების უქონლობის გამო „მწყემს“-ის წევრ მეცხვარეების ერთმა ჯგუფმა ცხვარი დააბინავა აზერბეიჯანში ქიურდამირის რაიონში „მწყემს“-მა ამ დღეებში გაუგზავნა მათ ერთი ვაგონი ხორბალი.

ინდუსტრიალიზაციის სესხის ტირაჟი

15 იანვარს, დილით, გათამაშებულ იქნა ას-ას მანეთიანი მოგებანი, მოგებანი ხვდა შემდეგი სერიების ობლიგაციებს:

001.911
003.197
003.584
007.905
008.155
008.256
008.260
008.755
009.212
010.356
010.566
012.089
012.897
017.041
018.554
021.788
022.108
023.019
025.024
025.288
026.069
026.965
028.097
028.113
028.543
028.586
032.277
032.337
032.892
033.002
033.712
035.518
035.815
036.173
036.416
036.459
038.082
038.095
038.116
038.979
040.164
041.356
042.702
044.105
044.529
045.366
046.931
047.516
049.454
049.650
050.667
051.285
051.511
052.206
056.777
057.271
058.984
059.627
060.266
060.550
062.258
067.117
069.592
070.615
070.803
071.003
072.180
072.522
072.962
075.376
079.756
080.474
082.984
084.101
084.568
085.901
088.064
090.976
093.048
094.279
095.536
095.906
096.285
096.366
098.713
099.019
099.191
100.059
100.850
102.455
102.497
103.091
105.302
106.019
107.155
108.944
111.889
112.264
113.971
114.221
115.613
115.701
117.711
118.538
118.850
119.148
119.538
121.948
122.983
130.363
131.100
132.568
132.668
134.593
135.645
135.770
135.999
138.262
138.335
138.398
141.253
141.740
142.332
142.532
143.039
146.335
148.396
150.119
150.906
151.712
151.821
153.940
158.417
158.467
159.163
159.789

15 იანვარს, საღამოთი, გათამაშებულ იქნა ას-ას მანეთიანი მოგებანი, მოგებანი ხვდა შემდეგი სერიების ობლიგაციებს:

000.607
000.610
003.214
003.672
004.889
005.286
006.212
006.394
008.829
011.994
014.060
014.278
014.829
014.962
017.878
018.590
018.669
020.603
021.491
022.748
023.931
024.306
024.451
025.261
026.825
029.831
030.736
034.868
035.749
035.834
036.130
036.876
037.263
037.579
037.754
038.866
039.442
039.968
040.407
040.909
043.226
044.143
045.019
045.165
045.555
046.044
046.108
046.246
047.530
047.806
048.173
048.331
051.901
052.689
052.989
053.175
053.776
055.913
056.694
057.253
057.286
057.479
063.138
064.743
064.799
065.066
065.375
070.987
071.251
071.458
072.430
075.448
075.875
076.528
078.458
078.642
079.697
080.315
080.911
081.756
082.685
084.311
085.200
086.449
088.365
088.710
088.889
088.919
090.586
090.961
092.542
093.459
095.816
102.084
103.225
103.279
103.523
103.636
104.261
104.421
104.703
106.326
106.531
107.252
107.528
108.819
109.912
111.067
114.401
114.685
118.742
120.188
121.189
121.739
122.720
123.547
124.477
124.749
127.083
127.807
128.110
131.197
132.020
132.081
136.490
137.646
137.951
138.336
138.874
139.272
141.983
142.215
144.216
144.487
144.952
147.649
147.690
148.228
148.417
148.663
148.874
148.943
149.335
150.277
152.263
153.565
153.953
154.166
154.649
154.871
155.682

(გაგრძელება იქნება).

ორშაბათს, 23 იანვარს, საღამოს 6 საათზე მოწვეულია

თბილისის საბჭოს შემდეგი სექციების სხდომა,

სექციებზე მიმაგრებულ აქტივთან ერთად.

1. კომუნალური—მუშათა თეატრში (ძორესის ქ.)
   დღის წესრიგი: 1) სარაიონო კომისიის მოხსენება რაიონში ჩატარებულ მუშაობის შესახებ, 2) ბიუროს ცნობა დაწინაურებულთა შესახებ, 3) მიმდინარე საკითხები.
2. სახალხო განათლების - განათლების მუშაკთა სახლში—ფურცელაძის ქ. № 3, (ყოფ. კალოუბნის ქ.)
   დღის წესრიგი: 1) სექციის მუშაობის 3 თვიური გეგმის დამტკიცება, 2) განყოფილების მუშაობის საწარმოო გეგმის განხილვა. 3) მე 83 შრომის სკოლის მდგომარეობის შესახებ, 4) მიმდინარე საკითხები.
3. სახალხო ჯანმრთელობის - აღმასკ. წითელ-დარბაზში (ოთახი № 234).
   დღის წესრიგი: 1) კომისიის მოხსენება სექციების დადგენილების ცხოვრებაში გატარების შესახებ, 2) სანიტარულ ჰიგიენურ ინსტიტუტის მოხსენება, 3) მიმდინარე საკითხები.
4. ფინანსიური—აღმასკომის წითელ კუთხეში (შესავალი ყოფ. ბენიამინოვის ქ.)
   დღის წესრიგი: 1) მოხსენება საფინგანის ქ. განყოფილების შემსწავლელ კომისიის მუშაობის შესახებ, 2) მიმდინარე საკითხები.
5. სავაჭრო კოოპერატიული სექცია—აღმასკომის შენობა ოთახი № 278.
   დღის წესრიგი: 1) სექციის მუშაობის 3 თვიური გეგმის დამტკიცება, 2) მოხსენება სამანუფაქტურო კომისიის და თანამოხსენება ა.-კ. მ. გ. ინსპექციის, 3) კომისიის გამოყოფა ლენინის რაიონში კოოპერატიული ქსელის გამოსაკვლევად, 4 მუშკოოპის რწმუნებულთა გადარჩევაში მონაწილეობის მიღების საკითხი.

ნ. 514. თბილისის საბჭოს პრეზიდიუმი.

მეცნიერება და ტეხნიკა

მიწისძვრები და მისი „წინასწარმეტყველების“ შესაძლებლობა *)

როგორც ვიცით ლენინაკანისა და ყირიმის მიწისძვრები დახასიათებულნი იყვნენ, როგორც ტექტონიური ხასიათის ე. ი. მთების წარმოშობით გამოწვეული მიწისძვრები. მთების წარმოშობის შესახებ გეოლოგიაში არსებობს ექვსი ჰიპოტეზა, რომელთაგან საბოლოოდ ჯერ არც ერთი არ არის მიღებული, რადგან ეს ჰიპოტეზები მთლიანად არავის აკმაყოფილებენ. საკავშირო პრესაში დაბეჭდილ მრავალ სტატიებში ტექტონიკა დახასიათებული იყო შემდეგნაირად: დედამიწის გული (ядро) თანდათან ცივდება და პატარავდება. დედამიწის ქერქსა და გულს შუა ჩნდება ცარიელი ნაწილი, ამის გამო დედამიწის ქერქი ვეღარ რჩება წინანდელ მდგომარეობაში, თავისი სიმძიმით აწვება დედამიწის გულს, ამ დროს ხდება მიწის ძვრა.

აი, ამ აზრს კითხულობენ მილიონი მკითხველი. იგი მიაჩნიათ მეცნიერების უკანასკნელ სიტყვათ და მეცნიერებს არავინ არ აძლევს შემდეგ კითხვებს:

1) საიდან ცივდება ყოველივე სხეული და ცხელი გულიდან—გარედან თუ გულიდან?

2) ციმბირში, ჩრდილოეთ რუსეთში, ჩრდილოეთ ამერიკაში უფრო დიდი სიცივეა, მაგრამ იქ 16 მილიონ კვადრატულ კილომეტრზე არც ერთი გორაკი არ იპოვება. ნუ თუ დედამიწის გული ლენინაკანში, გორში, ნამანგანში და ყირიმში უფრო ცივდება, ვიდრე აქ ჩრდილოეთ ქვეყნებში?

3) დედამიწის გულსა და ქერქ შუა რომ ცარიელი ადგილები აღმოჩნდეს, ნუ თუ იმ წამსვე არ ჩაქრება 334 მოქმედი ვულკანი, 10.000-ზე მეტი გეიზერი და თბილი წყაროები, გაზოვანი მინერალური წყლები, ტალახების ტბები და სხვა?

4) კვერცხს რომ გული ამოუშროთ თითის, შუშის ან ლითონის ბურთი რომ შიგნიდან დაცარიელოთ, ნუ თუ ისინი მოიმუშნებიან და ბზების მსგავს რამეს წარმოშობენ?

5) აგრე სწრაფად რომ ცივდებოდეს დედამიწის გული, როგორც ეს მიწის ძვრების საწყისიდან უნდა გამომდინარეობდეს, განა ჩვენამდე გაძლებდა დედამიწა და არ გაიყინებოდა ათასი წლების განმავლობაში?

6) თუ რომ დედამიწის გული აგრე ჩქარა ცივდება, მაშინ რატომ არის, რომ პარიზის ბოტანიკურ ბაღის სარდაფში 36 მეტრის სიღრმეზე მეცნიერ არაგოს ხელით მე-18 საუკუნეში ჩამოკიდებული თერმომეტრი 150 წლის განმავლობაში მუდმივ მეთერთმეტე გრადუსზე სდგას?

7) თუ რომ მიწისძვრა ტექტონიური ძალების შედეგია, მაშინ წინასწარ როგორ იგებენ ამას [illegible], თაგვები, ძაღლები და სხვა პირუტყვები?

8) რათ იცვლება მიწისძვრის წინ წყაროების დებეტი? რათ ემატება მათ სითბო, გაზი და მიწისძვრის შემდეგ რატომ ჩნდებიან ახალი გოგირდის წყაროები, რათ ამოდის გაზი, რათ ეკიდება მას ცეცხლი და სხვა?

შეიძლებოდა მიეცემა კიდევ მთელი რიგ ასეთი კითხვების, რომლებიც ეწინააღმდეგებიან მეცნიერების ზემოთმოყვანილ შეხედულებას მაგრამ მოყვანილი კითხვებიც საკმაო არის ამ შეხედულების უსაფუძვლობის დასამტკიცებლად.

მიწისძვრის დახასიათებისათვის უპირველესად საჭიროა გამოვიკვლიოთ, თუ რა ცვლილებები მოხდა მიწისძვრის წინ, მიწისძვრის დროს და შემდეგ—მინერალურ და თბილ წყაროებში, რა დროს და როგორ შეუტყვიათ მომავალი მიწის ძვრა პირუტყვებს.

დედამიწასაც აქვს თავისი „სუნთქვა“, თავისი „პულსი“. აი სწორედ ამას შევაქციე ყურადღება გორში 1920 წ. და წარსული წლის ოქტომბრის 24-ს მომხდარ მიწისძვრის დასახასიათებლად და მათი მიზეზების გამოსარკვევად.

წარსულ წლის ნოემბერში ვიყავ გორის ჯვრის აბანოში, სადაც ყველა მსახურებმა ერთხმად გადმომცეს, რომ გორის ჯვრის გოგირდის წყლებს ორივე მიწისძვრის დროს მოუმატებიათ, იიდოლატიანთ თედოს ბაღში აღმოჩენილია ახალი გოგირდის გაზოვანი წყარო, რომელიც დღევანდლამდის მოქმედობს და რომლის გაზსაც ცეცხლი ეკიდება. ამგვარი წყარო აღმოჩენილია ბაღის თავზედაც, გორის სადგურის სამხრეთით, ატენის ხეობაში მიწისძვრის წინ წყაროებს უმატნიათ. ნოდარაანი ხევში სამხილი წყარო გარდაქცეულა გოგირდის წყაროთ. ეს გოგირდის წყარო დღესაც არსებობს და 14 გრად. სითბო აქვს. ამ ხეობაში გავსინჯე გარდატენის პირდაპირ ჭალაში ბაღის ზემოთ ამომდინარე გოგირდის წყარო, რომელსაც პირველი მიწისძვრის შემდეგ უმატნია. ერთი გოგირდის წყარო გამოდის ჭექელიანი ხევში, ამასაც მიწისძვრის დროიდან უმატნია. ატენის სიონის პირდაპირ, ტრახიტის ნახეთქებიდან გამოდის მინერალური წყარო, რომელსაც 20 გრად. სითბო აქვს.

მაგრამ უმეტესად ყურადღების ღირსია შემდეგი: გორის მაზრაში კანონიერი კაპტაჟი აქვთ მხოლოდ ბორჯომის მინერალურ წყაროებს და აქ სდგას წყალსაზომი. 1920-ის მიწისძვრის ოთხი-ხუთი დღის წინ ამ წყალსაზომს უჩვენებია წყლის დებეტის და გაზის მომატება. წყალსაზომის ჩანაწერები იგზავნებოდა მოსკოვში პროფ. გალიცინისათვის. პროფესორი გალიცინი გაკვირვებული იყო ამგვარი ცვლილებით. მაგრამ როდესაც მოხდა გორის დიდი მიწისძვრა, მან მაშინვე გამოარკვია, რომ ეს ცვლილება წყლის დებეტში და გაზოვნობაში წარმოშობილი იყო იმ ძალებით, რომლებმაც გამოიწვიეს ეს მიწისძვრა. წარსული წლის ოქტომბრის 24-ს მომხდარ მიწისძვრის წინ უფლის-ციხისა და ნადარბაზევ შუა აღმოჩენილა ახალი გოგირდის წყარო. 1920-ში გორის მიწისძვრა დიდხანს არ დაწყნარდა. იგივე მოხდა შარშანწინ ლენინაკანში, სადაც იქლისის 27-მდე 26-ჯერ მოხდა მიწისძვრა. გორისა და ლენინაკანის მიდამოებსაც კარგად ეს ცნობ. არც გორი და არც ლენინაკანი არ ჩაწეულა, არც აწეულა, არც აღმოსავლეთისაკენ, არც დასავლეთისაკენ, არც ჩრდილოეთისაკენ და ან სამხრეთისაკენ წაუწევიათ. მაშასადამე, ამ მიწისძვრათა მიზეზების დახასიათება ტექტონიურად უსაფუძვლოა და ჩვენ სხვაგან უნდა მოვეძებნოთ მიწისძვრის მიზეზები.

მიწისძვრის ადგილები დიდი ხანია გამორკვეული არიან, მაგრამ წელს მიწისძვრებმა დედამიწის ჩრდილოეთ ნახევარს გარს შემოუარეს. დიდი მიწისძვრა მოხდა ლენინაკანში შარშანწინ ოქტომბრის 26-ში, შემდეგ ჩინეთის ნაპირებზე, შემდეგ სამხრეთ-სლავიაში; პოლაცესთან შარშან მარტის დასაწყისში, სადაც ცივ მთვარიან ღამეში მიწისძვრას მოჰყვა ელექტრონული ამოხეთქა, ელვა-ქუხილი და დაინგრა ქალაქის ერთი ქუჩა. შემდეგ მიწისძვრა მოხდა გორში, თბილისში, განჯაში, ბაიაზეთში, ნამანგანში რომელმაც ორი თვეზე მეტი გასტანა. ამის შემდეგ ამოხეთქა ვეზუვიმ. შემდეგ მიწისძვრა მოხდა ყირიმში, ალეუტის კუნძულებზე და აღმოჩნდა ახალი კუნძული, განმეორდა მიწისძვრა ყირიმში, მცირე აზიაში, სტამბოლში, ბალკანეთზე, ვენაში; ამოხეთქა კამჩატკის ორმა ვულკანმა, რომლებიც ქ. დღეს მოქმედობენ, მიწისძვრა მოხდა ირლანდიის კუნძულზე, ალიასკის ნახევარ კუნძულზე და სხვაგან. ყველა ამ მიწისძვრებში ცხადად არ სჩანს საერთო მიზეზი. დედა-მიწის ჩრდილოეთ ნახევარს ხომ ციებ-ცხელება არ მოსვლია, ან ხომ ხომ არ გაყიიცლა? მაშასადამე ერთმა საერთო მიზეზმა გამოიწვია ყველა ეს მოვლენები და ეს მიზეზი უნდა გამოარკვიოს მეცნიერებამ.

მთელ რიგ მიწისძვრების ყურადღებით და ყოველ მხრივ შესწავლამ იმ დასკვნამდე მიმიყვანა, რომ ყველა ამ მოვლენების მიზეზი არის მაგმის*) (გამდნარი მასის წამოწევა (прилив) დედამიწის ჩრდილოეთ ნახევრისაკენ. ჩრდილოეთ პოლიუსზე მდებარეობს ოკეანე.

აქ რომ ყინულებმა მოიმატოს (გაიზარდოს), ისინი ჩაიწევენ ოკეანეს სიღრმეში, გამოიწვევენ წყლის მოძრაობას დიდი და ატლანტიურ ოკეანეებისაკენ და დედამიწის ქერქს ტვირთი შესამჩნევად არ მოემატება. სულ სხვა მდგომარეობაში იმყოფება სამხრეთ პოლიუსი. აქ მდებარეობს მიწა ვიქტორია, რომელზედაც მუდმივად იზრდება ყინულის მთები და როგორც გადმოგვცემს ფრიდრიხ ფონ-ლიუდვალი, აქ ყინულების სიმაღლე 43.000 მეტრს ანუ 43 კილომეტრს უდრის. აი ამ მძიმე ტვირთს მუდმივ ვერ გაუძლებს დედამიწის ქერქი და მან სამხრეთის პოლიარულ წრის ხაზში უნდა დაიწიოს, რითაც დააწვება მაგმას და გამოიწვევს მის წამოწევას დედამიწის ჩრდილოეთის ნახევრისაკენ, მაგმა მოაწვება დედამიწის ქერქქვეშ მყოფ გაზებს, ორთქლსა და ლავას, რომლებიც გამოიწვევენ ვულკანურ მოქმედებას და მიწისძვრას დედამიწის მთელ ჩრდილოეთ ნახევარში. ის მოვლენები, რომლებიც ახასიათებენ გორის მიწისძვრას და რომლებიც მე ზემოდ აღვწერე, თან სდევენ ყველა მიწისძვრებს, რომლებიც მოხდა მაგ. ვენაში, ლისაბონში, სამხრეთ-სლავიაში, ამერიკაში და სხვაგან.

აი, სწორედ ეს მიწისძვრის წინაცვლილებანი ატყობინებენ ადამიანებს (უმეტესად მეზღვაურებს), ცხოველებს (თაგვებს, თხუნელებს, ძაღლებს) და ფრინველებს მიწისძვრის მოახლოვებას. ჩვენ რომ კანონიერი კაპტაჟი გაუკეთოთ ვულკანურ ნახეთქებზე ამომდინარე თბილ და მინერალურ წყაროებს, დავსდგათ წყალის საზომი, ყურადღებით მივაქციოთ წყალის დებეტის, გაზოვნების და სითბოს ცვლილებას, მუდამ შევიტყობთ მოახლოვებულ მიწისძვრას. ამასთანავე რომ მოვთხაროთ არტეზიანული ჭები, ჭის ფსკერზე დავდგათ ტელეფონი და ზედ სამეთვალყურეო ოთახში კი—ხმის გამაძლიერებელი აპარატი, მუდამ შევიტყობთ მოახლოვებულ მიწისძვრას. ადამიანმა დაიპყრო ხმელეთი, ოკეანე და ჰაერი, მან შესპო მანძილი, იგი კავკასიაში ისმენს ამერიკის ქალაქებში მომღერალის ხმას და ეს ადამიანი დღემდე თხუნელაზე უძლურად სთვლის თავის-თავს დედამიწის ქერქში 10—15 ვერსის სიღრმეზე მომხდარ ცვლილების შეტყობაში. მაგრამ ადამიანის გონება ალბად ჩქარა შესძლებს მიწისძვრების „წინასწარმეტყველების“ მეთოდების შემუშავებას და მაშასადამე, შესაძლებელი შეიქნება მთელ რიგ გამაფრთხილებელ ზომების მიღება მიწის ძვრებთან დაკავშირებულ მრავალ უბედურებათა თავიდან ასაცილებლად.

ჰიდრო-გეოლოგი ნ. მურადიანი

---

*) ვინაიდან მიწისძვრების გამომწვევი მიზეზები ჯერ სავსებით არ არის გამორკვეული და მეცნიერებს შორის ამ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობა არსებობს, ვაძლევთ ავტორის თავის შეხედულებების გამოთქმის საშუალებას.

*) მაგმა—ნახევრად გამდნარი ნივთიერება, რომელიც, როგორც ფიქრობენ მოქცეულია დედამიწის მაგარ გულსა (ბირთვისა) და დედამიწის გაცივებულ ქერქს შორის.

„გულის ასოციაცია“

ამერიკაში შექმნილია რამდენიმე საზოგადოება სპეციალურად გულის ავადმყოფობათა მკურნალობის მიზნით. 1914 წლიდან ეს საზოგადოებები გაერთიანდნენ ერთ ორგანიზაციაში —ე. წ. „გულის ასოციაციაში“, რომლის ამოცანას შეადგენს სპეციალური პოლიკლინიკის შექმნა იმ მიზნით, რომ ავადმყოფებმა მუშაობის შეუწყვეტლად შესძლონ ამბულატორიულად მკურნალობა. ასეთი პოლიკლინიკაცი შეერთებულ შტატებში ამჟამად 178-ია.

ტუბერკულოზის დისპანსერების მსგავსად, მათ აქვთ გამომკვლევი აპარატი, რომლის ამოცანას შეადგენს: ავადმყოფთა ნახვა ბინაზე, გულით ავადმყოფთა შემოწმება და სხვ. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა რევმატიზმით ავადმყოფ ბავშვებს, რადგან რევმატიზმისათვის დროზე აღმოჩენა და სათანადო მკურნალობა ხშირად აცილებს ბავშვებს საფრთხეს გულის დაავადებისას, რომელიც ემუქრება მას რევმატიზმით დაავადების დროს. ნიუ-იორკის 42 კლინიკიდან 16 აწარმოებს მხოლოდ ბავშვების მიღებას, 16 მხოლოდ დიდებისას და 10 ორივესას.

ამ კლინიკებში მარტო 1926 წ. გაიარა 8.500 ავადმყოფმა.

გარდა პოლიკლინიკებისა, გულის ასოციაციამ შექმნა მთელი რიგი სპეციალური სკოლები გულით ავადმყოფ ბავშვებისათვის, სადაც მათი სწავლა მიმდინარეობს ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ.

ერთი ხანია ნიუ-იორკში მოეწყო სახლები განკურნების გზაზე დამდგარ გულით ავადმყოფთათვის: იქ ისინი ატარებენ რამდენიმე თვეს და თითეული მათგანისათვის, ავადმყოფობის სერიოზულობის მიხედვით, შემუშავებულია შესაფერი შრომის რეჟიმი. ზოგიერთი ასეთი სახლები სპეციალურად ბავშვებისათვის არის მოწყობილი.

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ გულის სნეულებებიც, სისხლსადენი მილების ავადმყოფობა და სახსრების რევმატიზმი (რომელიც წარმოშობს გულის ავადმყოფობის უმრავლესობას) ძლიერ გავრცელებულია, მძიმე ვაკლებას ახდენენ ავადმყოფების მთელ არმიაზე, და მართალია, რომ დიდ უბედურებას წარმოადგენენ, ამერიკელების მიდგომა გულის სნეულებებისადმი, როგორც სოციალური ბოროტებისადმი, უსათუოდ სწორია.

ექ. მ. მოისეევი.

სიცოცხლე 256 გრადუს ყინვაში

ცნობილ ჰოლანდიელ ფიზიკოსის კამერლინგ ონნესის ლაბორატორიაში ამ რამოდენიმე ხნის წინად დაასრულეს შესანიშნავი ბიოლოგიური სამუშაოები, რომლებიც შესაძლებლად ხდიან მთელ რიგ საინტერესო დასკვნების გაკეთებას სიცოცხლის დაცვის შესაძლებლობის შესახებ მეტად დაბალი ტემპერატურის პირობებში.

რამდენიმე ზოოლოგის მონაწილეობით ჩაატარეს ცდები შედარებით მაღალ საფეხურზე მდგომ ცოცხალ არსებებზე ხოჭოებზე. ხოჭოებს ფრთხილად აშრობდნენ ისე, რომ მათგან გამოეცალათ, რაც შეიძლება მეტი სისველე, მაგრამ იმგვარათ, რომ მათში სიცოცხლე დარჩენილიყო და სისველის დაბრუნების შემდეგ შესაძლებლობა მოძრაობა და თავისი სასიცოცხლო ფუნქციების შესრულება. ასეთი გამოშრობის შემდეგ ხოჭოები გადაჰქონდათ გათხევადებულ წყალბადში, სადაც ინახავდნენ განსაზღვრული დროის განმავლობაში. ტემპერატურა, რომელსაც ამყოფებდნენ ხოჭოებს უდრიდა—253 (ყინვის) გრადუსს. გათხევადებულ წყალბადიდან ამოღებულსა და სისველის დაბრუნების შემდეგ, ხოჭოებს ისევ უბრუნდებოდა სიცოცხლე.

ამრიგად აღმოჩნდა, რომ ასეთი დაბალი ტემპერატურა, სულ რაღაც ოცი გრადუსით მეტი აბსოლიუტურ ნოლზე (ყინვის უმაღლესი გრადუსია 273, რომელსაც აბსოლიუტურ ნოლს უწოდებენ) არ ახდენს დამღუპველ გავლენას სიცოცხლის პროცესებზე.

საინტერესოა, შესაძლებელი იყო ასეთი ხოჭოების შენახვა რამოდენიმე თვის განმავლობაში (ზოგი ცდები, მაგალითად, 9 თვეს გაგრძელდა) და მიუხედავად ამისა სურვილისამებრ მათში აღადგენდნენ სიცოცხლის პროცესებს.

ბრძოლა ცოფთან

პარიზში შესდგა საერთაშორისო კონგრესი ცოფთან ბრძოლის საკითხებზე. კონგრესმა გამოიმუშავა თეზისები ამ ავადმყოფობის სხვადასხვა ფორმების, მისი მკურნალობის და მას თან ბრძოლის შესახებ. დღემდე სადაო საკითხზე—აცრის საჭიროების შესახებ იმ პირებისათვის, რომელთა კანზე დაეცა ცოფიანი ძაღლის ნერწყვი, მაგრამ ცოფიან ძაღლს არ უკბენია (კანზე კი, სადაც ნერწყვი დაეცა მანამდი არ ყოფილა არავითარი ჭრილობა ან გაფხაჭნილი ადგილი)—კონგრესის წევრთა ხმები თანაბრად გაიყო. მაგრამ ასეთი აცრა ერთხმად იქნა აღიარებული საჭიროდ, თუ ნერწყვი დაეცა ადამიანის ლორწოვან გარსზე. ზოგიერთ შემთხვევაში აცრამ გამოიწვია დამბლა, მაგრამ ასეთ მოვლენებს ადგილი ჰქონდათ მხოლოდ მაშინ, როცა აცრიდნენ აშკარა ალკოგოლიკებს (ლოთებს), ვენერიული სნებით დაავადებულებლთ და ნერვებ აშლილებს. ბავშვებს შორის ასეთი მოვლენა არ ყოფილა შემჩნეული. კონგრესმა საჭიროდ ცნო გამაფრთხილებელი აცრა ძაღლებისათვის.

20 წლის ძილი

მეცნიერებაში (ფიზიოლოგიაში) უკვე დიდი ხანია ცნობილია, რომ დაბალ ორგანიზმები ზოგიერთ პირობებში ვარდებიან ე. წ. ანაბიოზის მდგომარეობაში, ე. ი. ისეთ მდგომარეობაში, როცა ყოველგვარი სასიცოცხლო ფუნქციები წყდება. როცა ასეთ „დაძინებულ“ ორგანიზმს კვლავ მოაქცევენ სიცოცხლისათვის ხელსაყრელ პირობებში, იგი „ცოცხლდება“ და განაგრძობს ძილს, ვითომ არაფერი მომხდარა. მეცნიერებაში ცნობილია შემთხვევები, როცა ანაბიოზის მდგომარეობა ძლიერ დიდხანს გაგრძელდა სრულიად უვნებლად ორგანიზმის სიცოცხლისათვის. მაგრამ „ძილის“ ხანგრძლივობის ყველა რეკორდები უკან დასტოვა ლოკოკინამ, რომელიც ამერიკელ ზოოლოგის ვებბის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება. ამ ლოკოკინამ „ძინა“ განუწყვეტლივ ოცი წლის განმავლობაში. ამ რამდენიმე ხნის წინათ ვებბმა მცირე დროით „გააღვიძა“ თავისი ლოკოკინა, რის შემდეგ ისევ მოაქცია იგი ანაბიოზის მდგომარეობაში.

აკად. ა. პ. კარპინსკი

8 იანვარს ლენინგრადის სამეცნიერო მუშაკებმა აღნიშნეს საკავშირო სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტის აკადემიკოს ა. პ. კარპინსკის დაბადების 80 წ. თავი.

ა. პ. კარპინსკი ცნობილია, როგორც გამოჩენილი გეოლოგი. უმაღლესი განათლება მიიღო ლენინგრადის სამთო ინსტიტუტში, სადაც 1877 წლიდან ეჭირა პროფესორის თანამდებობა. 1886 წ. ა. პ. კარპინსკი აირჩიეს სამეცნიერო აკადემიის წევრათ.

აკად. ა. პ. კარპინსკი

ა. პ. კარპინსკის მრავალრიცხოვანი სამეცნიერო შრომები შეეხება დედამიწის აგებულობას, სასარგებლო მინერალების მოპოვებას, მთის ჯიშების და დედამიწაზე სიცოცხლის უძველესი ნაშთების შესწავლას.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგაც ა. პ. კარპინსკი, მიუხედავად მოხუცებულობისა, შეუსუსტებელი ენერგიით განაგრძობს სამეცნიერო მუშაობას.

ძეგლი კოლუმბს

პან-ამერიკულმა ლიგამ (რომელიც აერთიანებს ამერიკის ყველა სახელმწიფოებს) დაადგინა შეუდგეს შემოწირულების შეგროვებას ქრისტ. კოლუმბისათვის ძეგლის ასაგებად. ძეგლი აგებული იქნება სან-დომინგოს ნავსადგურის შესასვლელთან ([illegible]).

ძეგლის თავზე დადგმული იქნება ფანარი, რომელიც გაანათებს 150 კილომეტრის მანძილზე. ძეგლის აგება გაგრძელდება ორ წელიწადს და დაჯდება 8 მილიონი მანეთი.

35 წ. შრომის ნაყოფი

ამ რამდენიმე ხნის წინად შეერთებულ შტატებში გაიმართა მეყვავილეების გამოფენა, რომელზედაც პირველი ჯილდო მიიღო კოლორადოელ მებაღის — ბურგხარდის მიერ გამოფენილმა ხრიზანტემებმა. ბურგხარდის ხრიზანტემები არაჩვეულებრივად დიდია და მდიდარია ფერებით. მცენარის სიმაღლე თითქმის 2 ნახ. მეტრს უდრის. თვით ყვავილის დიამეტრი კი — 30 სანტიმეტრს აღემატება. ბურგხარდის ხრიზანტემები — 35 წლის დაღალავი შრომის ნაყოფს წარმოადგენს.

ფანჯრის მინა და რახიტი

საკავშირო სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ქიმიური მრეწველობის სამმართველოს დირექტორმა ამხ. კრასიკოვმა ლენინგრადის გაზეთების წარმომადგენლებთან საუბარში განაცხადა:

„ერთი შეხედვით არაფერი საერთო არ უნდა არსებობდეს ჩვეულებრივ ფანჯრის მინასა და რახიტს შორის, მაგრამ ახლა უკვე საბოლოოდ გამორკვეულია, რომ ფანჯრის მინა, რომელიც ჩვენს ქარხნებში მზადდება, არ ატარებს ულტრა-იისფერ სხივებს, რომლებსაც ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვთ ადამიანის ჯანმრთელობისათვის. ამის შემოწმება ყველაზე უკეთ შეიძლება იაპონიის მაგალითზე. იაპონიაში უკანასკნელ დრომდი თითქმის სრულიად არ იცნობდნენ რახიტს. ახლა კი, მას შემდეგ, რაც ფანჯრის მინა ფართოდ გავრცელდა იაპონიაში, იქ ფართოდ ვრცელდება რახიტიც. ბევრი მხრივ ცდები, რომლებიც ამერიკაში, გერმანიაში და ინგლისში მოახდინეს ისეთი სპეციალური შუშების დასამზადებლად, რომლებიც ულტრა-იისფერ სხივებს ატარებენ, შესანიშნავის წარმატებით დასრულდა: გამოირკვა შესამჩნევი გაუმჯობესება წიწილების განვითარებაში და ზრდაში.

— ყველაფერმა ამან,—განაცხადა ამხ. კრასიკოვმა,—აიძულა საკავშირო სახ. მეურნეობის სამეცნიერო-ტეხნიკური სამმართველო დღის წესრიგში დაესვა საკითხი საბჭოთა სამეცნიერო, და პირველ რიგში—ლენინგრადის სამეცნიერო დაწესებულებების ჩაბმის შესახებ ფანჯრის მინის ნორმალიზაციის საქმეში. ულტრა-იისფერი სხივების გამტარ ფანჯრის მინის დამზადების შესწავლა დაევალა ლენინგრადის ოპტიკურ ინსტიტუტს აკადემიკოს ლაზარევის ბიო-ფიზიკურ ინსტიტუტთან ერთად.

„მიწისძვრების მუსიკა“

ამერიკელმა გეოლოგმა კირპატრიკმა, შეიმუშავა მიწისძვრების შესწავლის ახალი მეთოდი — იმ მუსიკალური ტონის მიხედვით, რომელსაც მიწისძვრები წარმოშობენ. მიწისძვრის დროს ნიადაგის რყევის სიხშირის მიხედვით მუსიკალური ხელსაწყო წარმოშობს ამა თუ იმ ტონს. ამ ტონის მიხედვით შეიძლება თქმა იმის — კატასტროფიული არის თუ არა მომხდარი მიწისძვრა. არის, მაგალითად, შემთხვევები, როცა ძლიერ მიწისძვრებს არ მოჰყოლია ნგრევა და პირიქით, შედარებით სუსტ მიწისძვრებს კატასტროფიული შედეგები ჰქონია, კირპატრიკი ამ მოვლენას ხსნის იმით, რომ შენობები მიწისძვრების დროს ინგრევა მხოლოდ მაშინ, როცა ნიადაგის რყევის სიხშირე „საშიშ“ ფარგლებში იმყოფება, რყევა, რომელიც სცილდება ამ ფარგლებს (მაღალია ან დაბალი), არ არის საშიში. კირპატრიკი ფიქრობს, რომ მისი მეთოდის გამოყენება შესაძლებლად გახდის არა მარტო მიწისძვრის მოახლოვების, არამედ მისი ძალის წინასწარმეტყველებასაც.

ელვების აღრიცხვა

მეტეოროლოგების საერთაშორისო ყრილობამ, რომელიც ამ რამოდენიმე ხნის წინათ შესდგა ჩეხო-სლოვაკიაში, ყველა ბუნების მეტყველების მოყვარულებს მიმართა თხოვნით აწარმოონ ელვების აღრიცხვა. დღემდი ასეთ აღრიცხვას აწარმოებდა მხოლოდ რამოდენიმე მეტეოროლოგიური სადგური. განზრახულია სპეციალური საერთაშორისო ხელშეკრულების დადება ამ ამოცანის განხორციელების გასაადვილებლად. მეცნიერები ფიქრობენ, რომ გამორკვევა იმ ელვების რიცხვის, რომლებსაც ყოველდღე აქვთ ადგილი და იმ ენერგიის რაოდენობის, რომელიც ამ დროს თავისუფლდება, შესაძლებლად გახდის მთელ რიგ მეტად საინტერესო სამეცნიერო და პრაქტიკული დასკვნების გაკეთებას.

სურათების შემოწმება რენტგენის სხივებით

პარიზში მოეწყო სპეციალური საექსპერტო კომისია, რომელიც რენტგენის სხივებით შეამოწმებს ლუვრის მუზეუმის 9.000 სურათს. პირველ რიგში შემოწმებული იქნა სურათი „ჯოკონდა“, რომლის შესახებ მისი გატაცების მომენტიდან (1911 წ.) არსებობდა ეჭვი, რომ დაბრუნებულია სურათის ასლი. მაგრამ ექსპერტიზმა დაამტკიცა, რომ სურათი ნამდვილია.

წყალქვეშა ვულკანი

ბატავიიდან (კუნძულ იავაზე) ლონდონში დაბრუნებული გეოლოგიური ექსპედიცია, რომელსაც დავალებული ჰქონდა ვულკან (ცეცხლისმფრქვეველი მთა) კრაკატოას გამოკვლევა, იუწყება, რომ ვულკანმა, რომელიც ამჟამად წყალქვეშ იმყოფება, კვლავ განაახლა მოქმედება და ისვრის ლავას (ღვარცოფს) და ფერფლს. ზღვის ზედაპირზე ვულკანის გარშემო დევს სქელი ნისლი, რომელსაც 550 მეტრის სიმაღლე აქვს.

ვულკანი კრაკატოა იმყოფება პატარა კუნძულზე ზონდის სრუტეში, სუმატრასა და იავას შუა. 1883 წ. კრაკატოამ ამოხეთქა და გაანადგურა კუნძულის ორიმესამედი. ამოხეთქის დროს წარმოშობილმა ღელვამ გამოიწვია 35.000 კაცის დაღუპვა.

ნავი, რომელიც არ იღუპება

ამ რამოდენიმე ხნის წინათ ინგლისში ააშენეს ნავი, რომელიც არ იღუპება. ეს ნავი— წარმოადგენს ორ ჩვეულებრივ ნავს. ერთი ნავი ჩადგმულია მეორეში, შიგნითა ნავი მოძრაობს გარეთა ნავში. როცა გარეთა ნავი ღელვის გამო რყევას დაიწყებს, შიგნითა ნავი თავისი სიმძიმის გამო მუდამ სწორად იდგება. დიდი ღელვის დროს ჩატარებულმა ცდებმა დაამტკიცა, რომ ახალი ნავი აბსოლუტურად საიმედოა. ნავის ნაკლს წარმოადგენს ის, რომ მას ორმაგი წონა აქვს ჩვეულებრივთან შედარებით.

აეროპლანი—ნავი

ამერიკის საავიაციო ფირმამ — ფარმინგდეილმა — გამოუშვა ბაზარზე მოდელი აეროპლანის, რომელსაც წყალში ცურვაც შეუძლია. ამ აეროპლანის ფრთები—მოსაკეცია. წყლის ზედაპირზე დაშვების დროს აეროპლანის ფრთები იკეცება კორპუსის გასწვრივ და აეროპლანი იქცევა ნავად.

ყველაზე გრძელი ხიდი მსოფლიოში

ყველაზე გრძელი სარკინიგზო ხიდის აგება განზრახულია გერმანიაში. ეს ხიდი კუნძულ რიუგენს (ბალტიის ზღვაშია) შეაერთებს მატერიკთან. ახალი ხიდის სიგრძე იქნება 3 კილომეტრი. აგებული იქნება იგი 70 მეტრის სიმაღლეზე ზღვის ზედაპირიდან, ისე, რომ მის ქვეშ თავისუფლად გაივლიან უდიდესი საოკეანო გემები.

ბიბლიოგრაფია

„პროლეტარული მწერლობა“

საქ. პროლეტ. მწერალთა ასოციაციის ყოველთვიური ორგანო, № 11—12.

ჟურნალ „პროლეტარულ მწერლობის“ ეს ნომერი იხსნება რედაქციის მოწინავე წერილით. წერილში რედაქცია ჯამს უკეთებს იმ ნაყოფიერ ლიტერატურულ მუშაობას, რომელიც აწარმოვა საქართველოს პროლეტარულმა მწერლობამ ამ ორი წლის განმავლობაში. ამ მუშაობაში მთავარი ის არის, რომ პროლეტარულმა მწერლობამ შესძლო თავისი კლასობრივი სახის გამომჟღავნება და იდეოლოგიური ჩამოყალიბება. იგი უკვე ხდება ახალი კულტურული მშენებლობის მძლავრი ფაქტორი. პროლეტარულმა მწერლობამ თავისი მუშაობის სიმძიმის ცენტრი, უკვე შემოქმედების სფეროში გადაიტანა. როგორც სწორადაა წერილში აღნიშნული, პროლეტარულმა მწერლებმა ეხლა მთავარი ყურადღება უნდა მიაქციონ შემოქმედების საკითხებს, მხატვრული ნაწარმოების პროდუქციის გაუმჯობესებას, რათა ჭეშმარიტად გაამართლონ პროლეტარული მწერლის სახელი

მხატვრული ლიტერატურის განყოფილება იხსნება **ალიო მაშაშვილის** ლექსით „ჩვენი ცხოვრების თემა“. ალიო მაშაშვილი უკვე საკმაოთ დამთავრებული პოეტია. ლექსის ფორმალურ შესრულების მხრივ, პოეტმა საგრძნობლად წაიწია წინ. სანიმუშოდ ავიღოთ თუნდაც ზემოხსენებული ლექსი „ჩვენი ცხოვრების თემა“, რომელშიაც ხვდებით მხატვრულად გამართულ სტრიქონებს.

მივალ იქ, სადაც
ხახშიო-კლდიანხი
ტრიბუნებივით
დგანან მკერდები.

ლექსში მოცემული განწყობილება დინამიურია თავისი შიგაგანი რიტმით. მაგრამ პოეტს, უნდა ახსოვდეს, რომ იმისათვის, რომ მისი ლექსი დარჩეს

როგორც მერანი
ბრძოლის ველიდან
გამოქცეული!

უცილობლად უნდა ერიდოს ისეთ არა ესთეთიურ შედარებებს, როგორიცაა თქმა:

რა დროს ცეცხლია
ხშირ—დორბლიანი?!

ასეთი გამოთქმა მხატვრული ნაწარმოების ღირებულებას ამცირებს.

სუსტია **იონა ვაკელის** ლექსი „შენ თუ გგონია“. პოეტს აკლია სიტყვის ესთეთიური განცდა. საერთოდ ი. ვაკელს სჩვევია ერთი და იმავე მოტივის რამოდენიმეჯერ გამეორება. ავტორი შენიშნავს, რომ

— ვართ ჩაწყობილნი როგორც ვაზნები
რევოლიუციის პოეტი ოთხი.

კარგი იქნება, თუ მართლაც რევოლიუციის ეს „ოთხი პოეტი“ და „მეოთხე“ (იგულისხმება) თვით იონა ვაკელი, როგორც „ვაზნები“ ისე იქნებიან „ჩაწყობილნი“ და არც ერთი არ იმტყუნებს. განსაკუთრებით უხდა აღინიშნოს **კონსტანტინე ლორთქიფანიძის** ლექსი „ერევნიდან ეჩმიაძინამდე“. როგორც მრავალჯერ აღგვინიშნავს, კ. ლორთქიფანიძე ყველაზე უფრო ნიჭიერი პოეტია ქართულ პროლეტარულ პოეტებს შორის, რომელსაც ეხერხება გრძნობით გაათბოს სტრიქონები. ამ ლექსის ყოველი სტრიქონი წვდება მკითხველის გულს და ერთხელ კიდევ არწმუნებს მას, რომ დღიდან საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა ამიერ-კავკასიაში, იმ „მწარე იარებს“. რომელიც დაასვა ამიერ-კავკ. ეროვნებათა ორგანიზმს ბურჟუაზიის ბატონობამ,—მეშევიკების დიქტატურის სახით,—უკვე „პირი შეუკრავთ“, რომ ეს ორგანიზმი სავსებით გაჯანსაღებულა.

„მახარებს პირი რომ შეუკრავს მწარე იარებს
რომლებსაც ძველათ ჩვენი ტანი დაუკბენია“ და სხ.

ეტლის „მწყობრ ქანაობაში“ პოეტი აქსოვს [illegible] სტრიქონებს

გამოვიარეთ ზანგის წყალი, ბაღებს გავცილდით.
იგერ ქვის ძეგლი მაღლობიდან ძმათ სასაფლაოს
თავს დასდგომია უკანასკნელ ჯარისკაცივით.

კ. ლორთქიფანიძემ შესძლო ამ ლექსით ჭეშმარიტი შემოქმედების სათავეებთან მისვლა.

მეტად სუსტია **ფრიდონ ნაროუშვილის** „ამბავი არტემ ნააბრაგალის“. ეს „ამბავი“ მოკლებულია ყოველგვარ შინაარსს. ავტორი ეტყობა „თემის“ კრიზისს განიცდის, პარალელურად „ფორმის“ დიდი კრიზისისა.

ილია ხოშტარიას ლექსში „ორი დღე ტომსკელ კომკავშირელთან“ აკლია ლექსის კულტურა, რასაც მომავალში უნდა მიაქციოს ყურადღება.

შემდეგ მიდის **პეტრე ქუთათელაძის** (სამსონიძე) მოთხრობა: „დიდი ბლინძა ყვირილაძე“.

„მისი სახელი და გვარია: დიდი ბლინძა ყვირილაძე.

— სახელი და გვარი მესმის, მაგრამ ეს დიდი რაღას ნიშნავს?—მეტყვის ალბათ ცოტათი განცვიფრებული მკითხველი“.

მკითხველი, რომელსაც მიმართავს ავტორი, „ცოტათი“ კი არა, დიდათ განცვიფრდება,—როცა გადაიკითხავს ზემოაღნიშნულ ავტორის ნაწარმოებს.

ავტორს ვითომც განუზრახავს „დიდი ბლინძა ყვირილაძის“ სახით მოეცა ქართველ დეგენერატ ინტელიგენტის ტიპი, რომელსაც ზერელედ შეუთვისებია ევროპის ზნე-ჩვეულებანი. ასეთები შეიძლება დღესაც მოიპოვებოდეს ჩვენში. მაგრამ, მთავარი ისაა, რომ ავტორის ეს განზრახვა სამწუხაროთ მხოლოდ განზრახვად დარჩენილა.

შთაბეჭდილება ისეთი რჩება, რომ თითქოს ავტორს არ სცალოდა და დედანი „შავად“ გადასცა რედაქციას. მაგ. მოვიყვანოთ ერთი დამახასიათებელი ადგილი, რომელიც ნათელჰყოფს ჩვენს მოსაზრებას:

„რა უნდოდა ამით ეთქვა გლეხებს არ ვიცი, მაგრამ ეს კი ნათელი იყო, რომ მათ **უმანკო და ბავშვურ ალღოს** საქსებით შეეგრძნო ბლინძას ბუნება გოროზული და იყვნენ კმაყოფილი იმ კოხტა სტუდენტის ტანისამოსით, თუ სხვა რამეებით“...

მიუწვდომელია, თუ რატომ გამოჰყავს გლეხობა ავტორს „უმანკო და ბავშური ალღოს მქონეთ.“ ვფიქრობთ, რომ მეტად გადაჭარბებული სანტიმენტალობაა თუ უხეში შეცდომა არა. მოთხრობის პირველ კარს, რომელიც მოთავსებულია ამ ნომერში ავტორი შემდეგი სიტყვებით ამთავრებს: „...თუმცა ბოდიშს კი ვიხდი მკითხველის წინაშე, რომ ჩემი დაპირება ე. ი. ის, თუ ბლინძა ყვირილაძემ, რათ დაირქვა დიდი, შეუსრულებელი მრჩება... მაგრამ ნათქვამია: „აღდგომა და ხვალეო“... მეც ამ სიტყვებით ვტოვებ ეხლა წერას და ვწვები ლოგინში“.

არჩილ ჩაჩიბაიას მოთხ. „დაშლილი ტალღა“ მეტად სუსტი და პრიმიტიულია. გაკვირვებას იწვევს, თუ რატომ გამოაქვეყნა ასეთი სუსტი ნაწარმოები რედაქციამ.

აღსანიშნავია **იონა ვაკელის** დრამა „ნასაკირალი“ 5 მოქმედებათ და ექვს სურათად. პიესის სიუჟეტი ავტორს აღებია თვითმპყრობელობის ბატონობის ეპოქიდან. როგორც პიესიდან სჩანს ავტორს არ ეხერხება დრამატიული ფორმა შემოქმედების. ზოგი ადგილები ტრივიალობამდე არის დაყვანილი და ამიტომაა, რომ იგი „ვოდევილის“ შთაბეჭდილებას უფრო სტოვებს, ვიდრე დრამის. ყალბი არის ის ადგილი, როცა თავადის ქალი ხარიკო სიყვარულს უხსნის თავის მეპაღეს სირმას.

სირმა კი, ამ სიყვარულის „თხოვნას“ ვერ ასრულებს. ცხადია, რომ ასეთი ხელოვნურად გარედან მოტანილი მომენტები, რომელიც ორგანიულ მთლიანობაში არ არის მოცემული, ჰქმნის პიესის მეტად არადამაჯერებელ ტონს. ამას წინ ეღობება ის სოციალური უფსკრული, რომელიც გათხრილი იყო ხარიკოსა და სირმას შორის და მას ვერავითარი „ტრფობის სურა“ ვერ ამოავსებდა. კარგად არის დაწერილი პროლოგი.

თეორია და კრიტიკიდან აღსანიშნავია **ვ. სუტირინის** წერილი „საბჭოთა ამიერ-კავკასიის თანამედროვე ლიტერატურა“. ავტორი ვრცელ მარქსისტულ ანალიზს უკეთებს თანამედროვე ლიტერატურულ მიმდინარეობათ ამიერ-კავკასიაში.

სხვა წერილებიდან აღსანიშნავია **დ. რონდელის** წერილი „თემის საკითხი“.

ამ წერილში ავტორი არკვევს თემის პრობლემას.

ავტორი აცხადებს, რომ „გარესკნელიდან კიდებულ შეგრძნებათა გადამუშავება“ „არა-ცნობიერ ველში“ ხდება. მართალია, მარქსიზმი არ ეწინააღმდეგება არა-ცნობიერს, მაგრამ ისიც მართალია, რომ შეუძლებელია მარქსისტული თვალსაზრისით, მთელი შემოქმედების პროცესის არა-ცნობიერის სტიქიამდე დაყვანა.

ცოტათ ქვევით იგი თავადვე ეწინააღმდეგება ზემოთ მოყვანილ დებულებას, როცა ლაპარაკობს „მწერლის ცნობიერებაში მასალის ემოციონალური დაძლევის“ შესახებ. მაშასადამე, აქ დიდი მნიშვნელობა ჰქონია აქტიურ გონებრივ (сознательных) იმპულსებსაც. ანუ იმასა საიდანაც „იწყება შემოქმედებითი პროცესი“. მწერლის აზროვნებაც „გარესკნელით“ განისაზღვრება, ავტორის ტერმინოლოგია, რომ ვიხმაროთ და ამდენათ იგი არ ასრულებს მხოლოთ და მხოლოთ არა-ცნობიერის დირექტივებს. ეს მომენტი უნდა გვქონდეს მხედველობაში, როდესაც ანალიზს უკეთებთ შემოქმედების ბუნებას. წერილი საერთოდ საყურადღებოა.

ჟურნალში მოყვანილია ბიბლიოგრაფიული განყოფილება.

დ. დ—ძე.

ჭადრაკი

თბილისის მოჭადრაკეთა ჩემპიონატი

მეხუთე ტური

მე-5 ტური აღინიშნა მოულოდნელი შედეგებით. ტალვიკმა და ებრალიძემ, რომლებიც მიდიან დაუმარცხებლად, თავის პარტიები მოლუნცევთან და კასპარიანთან გადასდეს თითქმის უიმედო მდგომარეობაში. ეს ქმნის ძალიან საინტერესო ბრძოლას პირველ ადგილისათვის ტალვიკის, საროკინის, გოგლიძის და ებრალიძის შორის.

ტალვიკ—მალუნცევი. (ჰოლანდიური პარტია). ტალვიკმა გააკეთა არაჩვეულებრივი სვლა რკუთი ჰოლანდიურ პარტიაში, რითაც გამოიწვია მოპირდაპირის მეფის პაიკების შესუსტება, და მიიღო შესაძლებლობა მიეტანა იერიში მალუნცევის მეფის ფლანგზე. მაგრამ მალუნცევმა უპასუხა კონტრ-იერიშით ლაზიერის ფლანგზე და აიძულა მოპირდაპირე გაეცვალა ლაზიერები, რითაც მიიღო უკეთესი ენდშპილი, რადგან მას ორივე რკუთი ეკავა ღია ხაზები. მან არ მისცა ტალვიკს არავითარი შანსები, მოიგო პაიკი და გადასდო პარტია მოგებულ მდგომარეობაში.

კასპარიან—ებრალიძე. (ინდიური დაცვა). პარტიის დასაწყისშივე ებრალიძე გაიტაცა პაიკის მოგების სურვილმა, რისთვისაც ჩქარა იქნა დასჯილი: იძულებული შეიქნა თავის გაბმულ ლაზიერის დასახსნელად მიეცა ფიგურა. ამით უკვე ფაქტიურად გადაწყვეტილი იყო პარტიის ბედი. ხანგრძლივი და მძლავრი წინააღმდეგობის შემდეგ პარტია გადადებულია მინიმალურ შანსებით ყაიმზე. ეს პარტია კიდევ ზედმეტჯერ ადასტურებს, თუ როგორ სახიფათოა თამაშის დასაწყისში ნაადრევი გასვლა ლაზიერით პაიკების მოგების მიზნით.

საროკინ—ტარაიან (სიცილიური პარტია). ტარაიანმა დასაწყისში გააკეთა სუსტი სვლა პაიკით, რითაც დაასუსტა თავისი პოზიცია. ამით ისარგებლა საროკინმა, ხელთ ჩაიგდო ყველა დასაყრდნობი პუნქტები და თანდათანობით დაწოლით ტარაიანის პოზიციაზე მოიგო პაიკი, შემდეგ ფიგურა და მასთან ერთად პარტიაც.

კარლინსკი—გოგლიძე (ლაზიერის პაიკთა დებიუტი). კარლინსკიმ გააკეთა დებიუტშივე რამოდენიმე სუსტი სვლა, რითაც მიიღო შედარებით შევიწროებული პარტია. ამის შემდეგ გატაცებულმა შეტევით მეფის ფლანგზე მან საშუალება მისცა მოპირდაპირეს ლამაზი შეწირვით მიეტანა მასზე მძლავრი იერიში. რამოდენიმე სვლის შემდეგ კარლინსკი იძულებული გახდა დანებებულიყო.

მარტიროსოვ—დანილოვი (ლაზიერის პაიკთა დებიუტი). ამ პარტიაში ორივე მოპირდაპირე თითქოს ერთმანეთს ეცილებოდენ შეცდომებში. მარტიროსოვმა დანილოვის წინდაუხედაობით მოიგო ხარისხი, შემდეგ თვით შეძლო მიეღო შამათი, უკეთეს შემთხვევაში დაეკარგა ორი ფიგურა, მაგრამ მისდა საბედნიეროთ მოპირდაპირემ ვერ შეამჩნია ეს. საბოლოო შეცდომა დაუშვა დანილოვმა და წააგო პარტია.

ტურნირის მდგომარეობა მეხუთე ტურის შემდეგ ასეთია: ტალვიკი 3 ნახ. და ერთი დაუმთ., გოგლიძე და მარტიროსოვი+3, საროკინი და ებრალიძე+2 ნახ. და ერთი დაუმთ. კასპარიანი+2 და ერთი დაუმთ.; ტარაიანი+2, მალუნცევი+1 ნახ. და ერთი დაუმთ.; დანილოვი+1 და ერთი დაუმთ. და კარლინსკი+1.

სამშაბათს შესდგება მე-6 ტური. თამაშობენ: **საროკინ—ტალვიკ, ტარაიან—გოგლიძე, ებრალიძე—მარტიროსოვ, მალუნცევ—კასპარიან და დანილოვ—კარლინსკი.**

რკინის გზებზე

საცდელი მატარებელი

ა.-კ. რკ. გზ. სამმართველოს ცნობით, საცდელი მატარებელი — წონით 90 000 ფუთი, რომელიც ბაქოდან გამოვიდა 20 იანვარს, 21-ს მივიდა აჯიქაბულში

თბილისში მატარებელს მოელიან 22 იანვარს საღამოთი.

ცეცხლი ორთქლმავალზე

გუშინ სადგ. აჯიქაბულში ცეცხლი გაუჩნდა ორთქლმავალს. ცეცხლი სასწრაფოდ ჩააქრო ადგილობრივ ცეცხლის მქრობელთა გუნდმა.

ბრძოლა შემთხვევებთან

უკანასკნელ ხანებში რკინის გზებზე ძალიან გახშირდა ერთი-მეორის მიმდევრად გაშვებულ მატარებლების დაჯახების შემთხვევები.

ამის გამო გზათა კომისარიატმა წინადადება მისცა ა.-კ. რკ. გზების გამგეობას აწარმოოს ასეთ შემთხვევების მიზეზების ზედმიწევნითი გამოკვლევა და ამასთანავე ადევნოს თვალყური მოძრაობასთან დაკავშირებულ გზის აგენტების მიერ მატარებლების მოძრაობის წესების დაცვას

გლეხების თხოვნა

სოფ. მელექედურის (ოზურგეთის მაზრა) მცხოვრებლებმა სთხოვეს ა.-კ. რკ. გზ. გამგეობას მათი სოფლის პირდაპირ, სადგ. ოზურგეთიდან ორი კილომეტრის დაშორებით მოაწყოს მატარებლების გასაჩერებელი ბაქანი.

—•—

შრომის დისციპლინის ასაწევად

ამ უკანასკნელ ხანებში ა.-კ. რკინისგზებზე ძლიერ იმატა შემთხვევების რიცხვმა.

ამ გარემოებამ მიიქცია როგორც გზის ადმინისტრაციის, ისე პროფორგანიზაციის ყურადღება.

შემთხვევებთან ბრძოლისმიზნით, ა.-კ. რკინისგზების პროფკავშირის საგზაო კომიტეტმა საუბნო კომიტეტებს დაუგზავნა ცირკულიარი.

ცირკულიარში საგზაო კომიტეტი აღნიშნავს, რომ შემთხვევები უმეტესად გამოწვეულია გზის აგენტების სამსახურისადმი გულგრილად მოპყრობით, რაც მოწმობს მათ შორის შრომის დისციპლინის დაცემას.

ამის გამო საგზაო კომიტეტი მოუწოდებს პროფორგანიზაციებს და კავშირის შეგნებულ წევრებს აწარმოონ სასტიკი ბრძოლა რკინისგზაზე შრომის დისციპლინის აღსადგენად.

ამ მიზნით საგზაო კომიტეტს საჭიროდ მიაჩნია: კამპანიის ჩატარება შრომის დისციპლინის ასაწევად გზებზე; კლუბებში, წითელ კუთხეებში და სადელეგატო კრებებზე ლექციების და მოხსენებების ჩატარება უმთავრესად ტრანსპორტის მნიშვნელობის შესახებ.

საგზაო კომიტეტი საჭიროდ თვლის განსაკუთრებით მკაცრ ბრძოლას ლოთობის წინააღმდეგ და წინადადებას იძლევა ამ მიზნისათვის გამოყენებულ იქნეს კულტმუშაობის ყველა სახეები. ლოთობაში და საქმისადმი გულგრილად მოპყრობაში შემჩნეულთა სია უნდა გამოქვეყნდეს პრესაში და უნდამოეწყოს მათი საჩვენებელი გასამართლება.

რადიო-გადაცემა

კვირა, 22 იანვარი

დღეს, 22 იანვარს საქართველოს პროფსაბჭოსთან არსებულ რადიო-სტუდიიდან გადაცემული იქნება:

მოხსენება: საბჭოთა კავშირის საერთაშორისო და შინაური მდგომარეობა და ლენინის პარტიის ამოცანები — ქართულ და რუსულ ენებზე.

მოხსენება: ლენინი წითელი არმიის შესახებ —სომხურ ენაზე.

მოხსენება: სისხლიანი კვირა —ქართულ და რუსულ ენებზე.

კონცერტი; ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია — რუსულ და ქართულ ენებზე; ტეხნიკური კონსულტაცია; ობსერვატორიის ცნობები — რუსულ და ქართულ ენებზე.

ორშაბათი, 23 იანვარი

მოხსენება; ლენინი და სოციალისტური აღმშენებლობა — რუსულ ენაზე; ლენინი წითელი არმიის შესახებ — თურქულ ენაზე; ავიაქიმის მოხსენება: ავიაქიმის ამოცანები — ქართულ ენაზე; კომკავშირის გაზეთი — რუსულ ენაზე; მოხსენება: ლენინი წითელი არმიის შესახებ — ოსურ და აფხაზურ ენებზე; კონცერტი: ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია — რუსულ და ქართულ ენებზე.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

ხვალ, 23 იანვარს, სამუშაოზე გასაგზავნათ გამოძახებული არიან:

კვალიფიციურ მუშაკთა პირველი სექციიდან: ვასილ მოდებაძე, არშაკ არუთინოვი, ელისაბედ კრუჩკოვა.

გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან: შალვა ცაგარეიშვილი, გრიგოლ გაწერელია, ილარიონ მკერვალიშვილი, ექვთიმე აბწკირველი და ანტონ სავლუღინსკი.

მედიკურ მუშაკთა სექციიდან: სოფიო ვოლტერ კამინსკი, ელზე პირაუკოვი, ანტონინა საპრიკინა, ნინა გრაჩევა, პარასკევა რუბაშკინა, მარიამ ვარულევა, სონია ზამბახიძე, ერმალე ჯინჭარაძე, სერაპიონ მაჩაიძე.

შრომის ბირჟის მედსექციაში დამატებით მიღებულია მოთხოვნილება მედპერსონალზე, როგორც რუსეთიდან, ისე საქართველოს სხვა დასხვა მაზრებიდან.

მსურველებმა დაწვრილებითი ცნობების მისაღებათ უნდა მიმართონ თბილისის შრომის ბირჟის მედსექციაში ამხ. **გოგეშვილს.**

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 100

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

სისხლის სამართლის კოდექსის 38 მუხლის რედაქციის შეცვლისა და ამ კოდექსისათვის 38^1 მუხლის დამატების შესახებ

სრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „სასამართლო წესით შესაფარდებელი კონფისკაციის შეზღუდვის შესახებ“ 1927 წ. ივნისის 15 თარიღით გამოცემული (სრკ კან. კრ. 1927 წ. 35 №-რი მუხ. 365) დადგენილების თანახმად და სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-2 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-რის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ — სრულიად საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 38 მუხლის რედაქცია შეცვლილ იქნეს შემდეგნაირად:

მუხ. 38. ქონების კონფისკაცია არის სახელმწიფოს სასარგებლოდ იძულებითი და უსასყიდლოთ ჩამორთმევა მსჯავრდადებულის მთელი ქონებისა ან ამ ქონების იმ ნაწილისა, რასაც სასამართლო ზედმიწევნით განსაზღვრავს. კონფისკაციის შეფარდება, იქნება იგი ძირითადი სოციალური დაცვის ღონისძიება, თუ დამატებითი, შეიძლება მხოლოდ იმ სახელმწიფოებრივი, სამხედრო უუმნიშვნელოვანესი თანამდებობრივი და სამეურნეო დანაშაულისათვის, რაც კანონით ზედმიწევნით არის გათვალისწინებული და, აგრეთვე; სრკ კანონმდებლობის წესით განსაზღვრულ სხვა შემთხვევაშიც.

2.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსს დაემატოს 38^1 მუხლი შემდეგი შინაარსისა:

მუხ 38^1—კონფისკაციით არ ჩამოირთმევა:

ა) მსჯავრდადებულისა და მის რჩენაზე მყოფ პირთათვის საჭირო საზამთრო და საზაფხულო ტანსაცმელი, საცვალი, ფეხსაცმელი; ავეჯეულობა და სხვა საოჯახო საგნები;

ბ) მსჯავრდადებულის პირადი შინამრეწველობისა და ხელობისათვის საჭირო იარაღი, აგრეთვე ყველა ის ინსტრუმენტი, ხელსაწყო და წიგნი, რაც საჭიროა მისი პირადი პროფესიონალური მუშაობისათვის. უკეთუ ეს პროფესია მას სასამართლოს მიერ არ ექნება აკრძალული;

გ) საშრომო სამიწათმოქმედო მეურნეობის წარმოებისათვის საჭირო სასოფლო-სამეურნეო უსულო და სულიერი ინვენტარი: ერთი გუთანი, ერთი სახვნელი კავი, ერთი ფარცხი; ერთი ცხენი ან ერთი ჯორი ან უღელი ხარი, უღელი კამეჩი ან და სხვაგვარი მუშა-საქონელი სათანადო რაოდენობით; ერთი ძროხა; აგრეთვე საქონლის საკვების მარაგი იმდენი: რამდენიც საჭირო იქნება საქონლის საძოვარზე გარეკამდე, ხოლო არაუმეტეს 6 თვის სამყოფი საკვებისა; ამასთანავე საგლეხო კომლის ქონებიდან, საერთოდ კონფისკაციით შეიძლება ჩამორთმეული იქნეს ამ ქონების მხოლოდ ის ნაწილი, რაც ეკუთვნის ამა თუ იმ დანაშაულისათვის კომლის მსჯავრდადებულ წევრს და უკეთუ მოქმედი კანონების მიხედვით შეიძლება ამ ნაწილის გამოყოფა;

დ) თესლეულობა, რაც საჭირო იქნება საშრომო სამიწათმოქმედო მეურნეობაში მორიგი თესვისათვის (საშემოდგომო და საგაზაფხულო), და მოუმკელ - მოუკრეფავი მოსავალი, გარდა იმ სამრეწველო ბაღებისა და ბოსტნების მოსავლისა, რომელთა ექსპლოატაციასაც საშრომო ხასიათი არა აქვს;

ე) საცხოვრებელი და საკარმიდამო შენობები სოფლად, რაც საჭიროა მსჯავრდადებულის ოჯახის საცხოვრებლად ან და რაც შეადგენს სასოფლო-მეურნეობის განუყოფელ კუთვნილებას;

ვ) სათბობი მასალა და საკვები, რაც საჭიროა პირადად მსჯავრდადებულისა, მისი ოჯახისა და მის რჩენაზე მყოფ პირთა გამოსაკვებად ექვსი თვის განმავლობაში;

ზ) ფული არა ნაკლებ იმ თანხისა, რაც შეადგენს ამა თუ იმ ადგილას მუშის საშუალო სამუშაო საშოვარს ექვსი თვის განმავლობაში;

თ) საპაიო შენატანი კოოპერატიულ ორგანიზაციაში, სასოფლო-სამეურნეო კრედიტის საზოგადოებაში და შრომის არტელში.

3.

ამოშლილ იქნეს ქონების კონფისკაცია სისხლის სამართლის კოდექსის 176 მუხ. 188 მუხ. მე-2 ნაწილისა, 197 და 199 მუხლების სანქციებიდან.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ს. თოდრია.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. [illegible]**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **შ. მათიკაშვილი.**

1927 წ. ნოემბრის 30
თბილისი-სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის არსენალის რაიკომის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება იტყობინება, რომ **ორშაბათს, 23 იანვარს, საღამოს 6 საათზე** რაიკომის შენობაში მოწვეულია პარტიის წევრ პედაგოგთა თათბირი საქართველოს ა. ლ. კ. კ. სასკოლო უჯრედების მდივნებთან ერთად.

—:—

ორშაბათს, 23 იანვარს, საღამოს 6 საათზე მუშათა ახალ კლუბის შენობაში (სასახლის ქ. ნომერი 5) მოწვეულია საქართველოს კომ. პარ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის მორიგი პლენუმი.

—:—

ორშაბათს, 23 იანვარს, საღამოს 6 საათზე საქართველოს კომ. პარ. (ბ) თბილ. ორგან. ქალაქის რაიკომის შენობაში მოწვეულია ქალთა ორგანიზატორების თათბირი საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიონის ქალთა კომისიებთან ერთად.

—:—

საქართველოს კომ. პარ. (ბ) თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდენ ხსენებულ განყოფილებაში ამხ. **თარხნიშვილთან** (ოთახი ნომერი 11):

მექი გიორგის ძე კვანტალიანი, ნიკოლოზ ვარდენის ძე ცულაია, სერგო არსენის ძე ვასიევი, ივანე როსტომის ძე დეკანოსიძე, იობა ძათეს ძე ნიბოშვილი, არშაკ გრიგოლის ძე ნარქისოვი, სერგო ვასილის ძე მაისურაძე.

საქართველოს კომ. პარ. (ბ) თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება ხელმეორედ აძლევს წინადადებას ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს სასწრაფოდ გამოცხადდენ აღნიშნულ განყოფილებაში ამხ. **კვირიკაძესთან.** (ოთახი ნომერი 11).

ივანე ნიკოლოზის ძე ჩხეიძე; მიხეილ სვანიძე, კ. ჯავახია, პიმან სპირიდონის ძე დვალი, ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე კონოვალოვი, ნიკოლოზ ევსტაფის ძე ხუციშვილი, კალისტრატე კვირიკეს ძე გველესიანი, ამაღლობელი და გოდაბრელიძე (სახ. პოლიტ. ინსტ. ლექტორები).

—:—

საქართველოს კომ. პარ. (ბ) საკონტროლო კომისია სთხოვს ამხ. **გარეგინ დემუროვს და ელიზბარ ჯაჯანაშვილს** გამოცხადდენ ორშაბათს 23 იანვარს, დილის 9 საათზე საქართველოს კომ. პარ. (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისიაში (რუსთაველის პროსპ. 24, მესამე სართული, ოთახი ნომერი 13).

—:—

საქართველოს კომ. პარ. (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისია წინადადებას აძლევს ქვემოდ დასახელებულ პირთ გამოცხადდენ ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში ორშაბათს, 23 იანვარს, ამხ. ქერჭაძესთან:

ნიკოლოზ კიკაბიძე, პლატონ ჭელიძე; იროდიონ ბელქანია, აგრაფინა კუკულაძე; იულია ხარაბაძე, ქეთო ცაგარელი, შალვა გაგანიძე, ბენიამინ ქანთარია, ივანე სირაძე, ვასო პანტეურია და ი. ახობაძე.

ნინო დიმიტრის ასული ვაშაკიძისა, ეკატერინე ანდრიას ასული ვაშაკიძე, ბარბარე ანდრიას ასული ორდინისა, მარიამ ანდრიას ასული კარაბლიოვისა და ევსევი ნიკიფორის ძე [illegible] მეუღლით მაკათი და შვილებით თემით და ზურაბით ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ ქ. გორში 20 იანვარს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ექიმი

დავით ანდრიას ძე ვაშაკიძე

დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 1163

ქალ. გორის ამბულატორიის თანამშრომლები მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ 20 იანვარს გარდაიცვალა ამბულატორიის გამგე ექიმი

დავით ანდრიას ძე
ვაშაკიძე

დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული 1164

ქალ. გორის საექიმო სექცია ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ 20 იანვარს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სექციის თავმჯდომარე ექიმი

დავით ანდრიას ძე
ვაშაკიძე

დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული 1164

გორის მაზრის ჯანმრთელობის განყოფილება მწუხარებით აცხადებს, რომ 20 იანვარს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა განყოფილების ძვირფასი და დამსახურებული თანამშრომელი, ექიმი

დავით ანდრიას ძე
ვაშაკიძე

დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული 1164

ბაღდადის სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობის გამგეობა და თანამშრომლები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს ძვირფასი და დაუვიწყარი თანამშრომლის

ივანე (ვანიჩკა) მალაქიას ძე
ჩიტიძის

უდროვოდ გარდაცვალებას ნ. 512

მწუხარებით აღსავსე ხეო (პასიკო) კანდელაკი-სირაძისა ქმარ-შვილით, თამარა იაშვილისა და ოლია სირაძე აუწყებენ ნაცნობს და მეგობრებს დაუვიწყარ

ვალოდია ბაგრატის ძე ბაკურაძის

უდროოდ გარდაცვალებას. პანაშვიდი ვერის (ძველ) სასაფლაოზე 22 იანვარს დღის 12 საათზე. ნ. 513

მეგობრების ერთი ჯგუფი მწუხარებით აცნობებს ამხანაგებსა და ნათესავ-ნაცნობებს მათი დაუვიწყარი ამხანაგი-სტუდენტის

ვალოდია ბაგრატის ძე ბაკურაძის

უდროოდ გარდაცვალებას პანაშვიდი გადახდილ იქნება დღეს 12 საათზე ვერის (ძველ) სასაფლაოზე. ნ. 501

უსაზღვრო მწუხარებაში მყოფი მშობლები: იაგორი და ეფროსინე, მეუღლე ვარვიკო, შვილები: მოთა, იროდი, პოლიკო და ეთერი, ძმები: სილოვანი, ილიკო და ამბროსი და რძალი ლიუბა ბალავაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობრებს, რომ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი

კოლია იაგორის ძე
ბალავაძე

რომლის დაკრძალვა მოხდება სამშაბათს, 24 იანვარს ნაშუადღევის 4 საათზე. სოფ. [illegible] ქვიტირის სასაფლაოზე. (გ)



მოითხოვეთ ახალი წიგნები.

პროფ. ივანოვი — მეღორეობა გლეხის მეურნეობაში. გვ. 120, ფასი—50 კაპ.
პროფ. კონგე—მაკე საქონლის მოვლა. გვ. 52, ფასი—25 კაპ.
Ш. МАТИКАШВИЛИ. Работа городских советов. Стр. 128, ц. 40 к.

ნ 429
25—1

სახელმწიფო ოპერა

დღეს, საღამოს **ვ. ი. ლენინის** გარდაცვალების მე-4-ე წლის თავის აღსანიშნავად

I. შოპენის სამგლოვიარო მარში
II. არწივთა აჯანყება (მთლიანად)
III. ინტერნაციონალი

ნ. 510 1—1

ორშაბათიდან 23 იანვრიდან
1927 წელში გამოშვებული ორი მხატვრული სურათი

კინო **სოლეილში**
სასიკვდილო ნახტომს
მთავარ როლში: ცნობილი ტრიუკისტი
ალფრედ ბოკოლინი

კინო **არფასტოში**
ნიკ. რიმსკი, სიუზანა ბიანკეტი პრემიერაში
ბედნიერი სიკვდილი

ნ. 511

საქ. ს.ს.რ. რესპუბლიკის ს.მ.უ. საბჭოს
ლითონის მრეწველობის ტრესტი
„ლითონტრესტი“
თბილისი, საბჭოს ქუჩა, № 115, ტელ 20—53
არის ლენინგრადის ორთქლსადენ არმატურისა და საქაჩავების ქარხნების სახელმწიფო ტრესტ „ზნამია ტრუდა“-ს
გენერალური წარმომადგენელი

ტრესტი „ზნამია ტრუდა“ ამზადებს:

1) სხვადასხვა მანომეტრებს ჰიდრომეტრებს, ბაროვაკუუმმეტრებს, მანომეტრის ონკანებს და შემაერთებელ ნაწილებს, საქაჩავებს მანომეტრების შესამოწმებლად.
2) თუჯის და ბრინჯაოს საკეტ და მკვებავ კლაპანებს.
3) თუჯის და ბრინჯაოს ონკანებს.
4) ხელით სამართავ საქაჩავებს, ინჟექტორებს და სხვ.
5) საკონდენსაციო ქოთნებს. წყლის გამომყოფებს და ზეთის გამომყოფებს.
6) სარედუქციო კლაპანებს.
7) რეგულიატორებს.
8) ყოველგვარ საზეთავებს („შარკო“, „შტაუფერ“ და სხვ.) და მზეთავ აპარატებს.
9) ვერცხლის წყლის თერმომეტრებს.
10 წყალსადენისა და გაზის არმატურას: ხრახნისა და საცობ ონკანებს და სხვ.

ფასები ქარხნისაა, დანართების დაუმატებლად. დაკვეთები მიიღება, ქარხნებიდან გაგზავნით უმოკლეს ვადაში. მუდმივად სრული ასორტიმენტი საწყობში და მაღაზიაში—პუშკინის ქ. № 29, ტელ. 7—10. ნ. 516

საქართველოს ფინსახკომი

აცხადებს სათანაბრო გამოსაღების და ფასეულთა მიმოქცევაზე დაწესებულ გადასახადის გადამხდელთა საყურადღებოდ, რომ 1927 | 28 წლის განაკვეთების გამოანგარიშება და უწყების დაგზავნა დამთავრდა ა. წ. 20 იანვარს. იმ მოქალაქეებმა, რომლებსაც უწყებები არ მიუღიათ, უნდა მიმართონ ქ. თბილისში—გადასახადების ამკრეფ და საგადასახადო ანგარიშ-წარმოების სექციას, რომელიც მოთავსებულია თბილისის შემოსავალ-გასავლის სალაროს შენობაში (ხაზინის ქ. № 3), ხოლო დანარჩენ ადგილებში-პირდაპირ გადასახადთა სათანადო ინსპექტორის კანცელარიას შეტყობილ გადასახადის რაოდენობის შესახებ ცნობის მისაღებათ. უბნის საგადასახადო კომისიებში (პირდაპირ გადასახადთა ინსპექტორებთან) საჩივრების წარდგენის ვადა თავდება ა. წ. 20 თებერვალს. საჩივრის შეტანა არ აჩერებს გადასახადის გასტუმრებას ან დანიშნულ ვადის გასვლის შემდეგ საურავის დარიცხვას.

თანასწორ ნაწილებათ გადასახადის შეტანის ვადები:

სათანაბრო გამოსაღები

1.	განაკვეთის პირველი მეოთხედი		1 თებერვალს
2.	„ მეორე	„	15 აპრილს
3.	„ მესამე	„	15 ივნისს
4.	„ მეოთხე	„	15 აგვისტოს

ფასეულთა მიმოქცევაზე გადასახადი

1.	განაკვეთის პირველი ნახევარი		15 აპრილს
2.	„ მეორე	„	15 აგვისტოს

ურჩ გადამხდელების წინააღმდეგ მიღებული იქნება იძულებითი ზომები, ვიდრე ქონების აღწერა-გაყიდვამდე.

საქართ. ფინანსთა სახალხო კომისარი — მგალობლიშვილი

საგადასახადო სამმართველოს უფროსი — ღეზირგანიშვილი.

ნ. 513.

ექიმი
ქ. ს. ფონ-ირტელი
პლეხანოვის პროსპ. № 10

სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს, და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობის (სიმსივნე, ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და 4 ნ.ხ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე: დილ. 11—12 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე. 25—1

ექ. **ს. ი. ვოლოხი**

ქალთა სნეულებანი და ბებიობა მიღება საღამოს 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა ბელგიის ქ. № 5 რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოს (ყოფ. მიხეილის) ახლოს. ტელეფონი 10—80. 25—1

მედიც. დოქტორი
გ. ა. ახვერდოვი
ვენერიული ავადმყოფობანი და სიფილისი.

დილით 9—12 ს., საღამ. 6—8 საათზე, პლეხანოვის პროსპექტი № 7, (შესავალი კუთხიდან ხარიყალის ქ. № 1.) 25—1

საქ. სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სასინჯი სამმართველო აცხადებს
რომ ა. წ. 24 თებერვლიდან შემოღებულ იქნება
ოქროს და ვერცხლის ნაწარმოებთა დაღვლა მეტრიული დაღებით

ოქროს ნაწარმოებთათვის:				ვერცხლის ნაწარმოებთათ.			
56	სინჯი	უდრის	583,	76	სინჯი	უდრის	800,
72	„	„	750,	84	„	„	875,
92	„	„	958	88	„	„	916

ს.ს.ს.რ. სასინჯი სამმართველოს უფროსი ა. ნიშნიაძე.
ნ. 506

თელავის უბნის სასამართლოს აღმასრულებელი გ. ზ. ყარასაშვილი.

ამით აცხადებს, რომ 25 იანვარს ა. წ., შუადღის 12 საათზე, ქ. თელავში, ალექსა ლომბაროვის ეზოში, **საჯარო ვაჭრობით** გაიყიდება ლომბაროვის ქონება: ტანისამოსის შკაფი, ფარდაგი, მაგიდა, სამი სკამი, ერთი სპილენძის თუნგი და ორი ქვაბი—შეფასებული 141 მანეთად, „ზაკგოსტორგის“ საქმეზე, თანახმად აღმასრულებელი ფურცლისა № 3169.
ნ. 507

ექიმი
ი. ი. ჭეიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმ.

იღებს ავადმ. დილ 8—9 საათ. და საღ. 6—8 საათ. კამოს ქუჩა № 72 (ყოფილი დიდიმთავრის ქ.)

კბილის ტეხნიკოსის წოდების მისაღებად გამოცდები შესდგება კბილის ტეხნიკოსთა კურსებზე მხოლოდ ამა წლის ივნისში კურსების პროგრამით. რომლის შეძენა შეიძლება კურსებზე (პლეხანოვის პროსპ. № 126) იანვარში გამოცდები არ შესდგება. დაწვრილებითი პირობები გამოქვეყნებული იქნება ა. წ. მაისში.

კბილის ტეხნიკოსთა კურსების გამგე პროფ.
13—1 გ. შ. მუხაძე

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
ხაწოლებით
ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—1

ექიმი **ჯალალოვი**

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.

ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—4

თვალის საავადმყოფო
მუდმივ საწოლებით და ამბულატორიით. ღებულობენ ექიმები:
ა. ნ. შატილოვი
საოპერაციო დღეებში
ა. გ. მალაევი

დილით 8 - 9 საათ. საღამოთი 6—7 ს. სტაციონალური ავადმყოფების მიღება ყოველ დროზე. კლარა ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) № 47, ტელეფონი № 5—90. 25—1

ექიმი
გ. ო. ზანდუკელი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი და ნერვიული სნეულებანი. ელექტრონის და სინათლის კაბინეთი ავადმყოფების მიღება ორშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით, საღ. 7—8 საათ. მისამართი ლენინის (ოლღას) ქუჩა № 11, ტელ. 4—62 ს. 25—1

ექიმი
ი. პ. მჭედლიშვილი
შინაგანი სნეულებანი.

სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა № 7 (ყ. ნაბერეჟნაია) ვერის ხიდთან. ტელ. № 15—02 25—1

დავკარგე: ატესტატი № 612 გაცემული ქ. ხონის ცხრაწლიან შრომის სკოლის მიერ მარიამ ქებურიას სახელზე, ჩ. გ. 1165

ექიმი
პ. ი. მგალობლიშვილი
სპეციალობა: კანის და ვენერიული დაავადებანი ათაშანგი

ავადმყოფების მიღება: დილით 8—9 ს. საღამოთი. 5—7 ს. ლენინის ქუჩ. № 3. (ყ. მელიქ-აზარიანცის სახლი) ბინა № 2. 25—1

დავკარგე ქვითარი, გაცემული საქართვ. ს.ს.რ.შ.ს.ს.კ-ის უცხოელთა განყოფილებიდან, ქალ. თბილისში დროებით საცხოვრებლად [illegible] სედრაკისძე კანოიანის სახელზე, ჩ. გ. 1169

ექიმი
ი. დ. თოფურიძე
მოსკოვის ქუჩა № 7

იღებს ავადმყოფებს (კანის, ვენერიული და სიფილისით) დაავადებულებს, აგრეთვე სასქესო ორგანოთა დაავადებით მკურნალობა გამოწვეული მწვავე და ქრონიკული გონორეით მიღება საღამოს 5—8 საათამდის. ნ. 25—11

ექიმი **ი. ი. გერიშვილი**

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპა“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევი (ყ. პლეხანოვის მესახვევი) № 8. 25—

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა

ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე საღამოთი 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ელისაბედის ქუჩა, № 3, 25—1

კბილის ექიმი
დავით სავვატის ძე
რექინაშვილი

კბილების და პირის სნეულება, პლომბები და ყოველი გვარის ხელოვნური კბილები. ავადმყოფთა მიღება: 10—2 საათ. და 5—7 ს. მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34, რუსთაველის და ლენინის მოედნის კუთხე. 25—1 1142

იონა გაბიჩვაძე

პლეხანოვის (მიხაილოვის) პროსპექტი 65 ვენერიული და კანის ავადმყოფობანი სიფილისი და მისი შედეგები დილით 7—8 ნახ. ს. საღამოს 5 - 8 ს.

დავკარგე მმაჩის ქალაქის [illegible] ნა ალექსანდრეს ასული ჯავახიშვილის სახელზე, ჩ. გ. 1167

დავკარგე: საარმიო ფურცელი და პირადობის მოწმობა [illegible] გიორგისძე ჯ. ნიჟარაძეს სახელზე, ჩ. გ. 1161

დავკარგე: პირადობის მოწმობა და სამხედრო აღრიცხვის წიგნაკი თეოფილე სილოვანის ძე ჩაგელიშვილის სახელზე, ჩ. გ. 1163

პოლიგრაფტრესტის მე-4-ე სტამბა, კამოს ქ. № 62